ყოველთვიური ბეჭდური, „ვერსიანი" ელფთი

ვერსია

№69 (825) 21 – 23 ივნისი, 2013 წელი

ორშაბათი ოთხშაბათი პარასკევი

სკანდალი გამოთვლითი მათემატიკის ინსტიტუტში



ვანო მერაბიშვილმა, ერთსიტყვიანი რეზოლუციით, 3 700 000 ლარად შეფასებული ქონება 1 770 000 დოლარად გაყიდა გვ. 5–6

გვ. 5

საპროტესტო აქციების ტალღა „მოროდიორი, თაღლითი და აფერისტი" ვანო ჩხარტიშვილის წინააღმდეგ

„ვინც კარგი პოლიციელი გვეგონა, მეზობელ სპეცსამსახურებთან შეკრული სადისტი აღმოჩნდა!"

დავით დარჩიაშვილი ხელისუფლებას „კომპრომატების ომის" დაწყებაში ადანაშაულებს

გვ. 4

„ამ სისტემურ დანაშაულში, ბრალი ხელისუფლებას მიუძღვის!"

რატომ ამბობს უარს საკონსტიტუციო კომისიის თავმჯდომარეობაზე და „ვერსიის" რა კითხვები აღიზიანებს ვახტანგ ხმალაძეს

გვ. 6

მხოლოდ 40 თვისრი

წარუდგენს თუ არა ირაკლი ღარიბაშვილი სამეგრელოში ნაპოვნ ვიდეოფირებს პარლამენტს

გვ. 2

ვეტერანები პოლიტიკურ კოალიციას ქმნიან!

გვ. 3

სამართალი

ლევან მურუსიძე: „ქვეყნის ინტერესი და ჩვენი მიზანი დამოუკიდებელი მართლმსაჯულების მიღწევაა"

გვ. 7

ზესტაფონის ბაზარი მერაბ სამადაშვილის ინტერესებს შეეწირა?!

გვ. 8

„ირაკლი მეფეა! მე არ ვარ დედოფალი, მაგრამ აუცილებლად ვიტყვი ჩემს სათქმელს!"

რატომ არ მოსწონს ქართული რეალობა და რატომ რცხვენია საქართველოში ცხოვრების გამო ქეთათო ჩარკვიანს

გვ. 12

ეკა ბესელიას „ტაბურეტკებიანი“ აქცია მოუწყვეს

20 ივნისს, სასტუმრო „რედისონში“, ადამიანის უფლებათა დაცვის კომიტეტი, ეკა ბესელიას ხელმძღვანელობით, ექვსი თვის განმავლობაში გაწეული საქმიანობის პრეზენტაციას მართავდა. სწორედ ამ დროს, მოქალაქეთა ჯგუფმა, 17 მაისის მოვლენებთან დაკავშირებით, იმავე კომიტეტის მიერ მომზადებული დოკუმენტის პროექტი გააპროტესტა. აქციის მონაწილეების განცხადებით, ადამიანის უფლებათა დაცვის კომიტეტის მიერ წარმოდგენილი პროექტი დისკრიმინაციულია: **„ჩვენი აქცია მიმართულია იმ ცინიზმის წინააღმდეგ, რომელსაც ეკა ბესელია და მისი კომიტეტი ავლენს. დოკუმენტი, რომელიც 17 მაისის მოვლენებთან დაკავშირებით ადამიანის უფლებათა დაცვის კომიტეტმა შეადგინა, აბსოლუტურად დისკრიმინაციულია. მასში საუბარია, რომ 17 მაისის აქცია პროპაგანდისტური იყო, რაც, ჩვენი აზრით, სიცრუეა. იმედი გვაქვს, კომიტეტის წევრებს შევხვდებით და ისინი ჩვენს პრეტენზიებსა და მოთხოვნებს გაითვალისწინებენ“,** — განაცხადა აქციის ერთ-ერთმა მონაწილემ, რომელიც სასტუმრო „რედისონის“ წინ ე.წ. ტაბურეტკით მივიდა: **„აქციაზე „ტაბურეტკით იმიტომ მოვედი, რომ სკამი დასაჯდომად გამოიყენება და არა თავში ჩასარტყმელად ან ვინმეზე ძალადობის განსახორციელებლად“.** აქციის მონაწილეებს ეკა ბესელია გამოეხმაურა და ხაზგასმით განაცხადა, რომ დასკვნაზე მუშაობა გრძელდება და ამ პროცესში დოკუმენტში გარკვეული ცვლილებები შევა: **„მთლიანობაში 17 მაისს მომხდარ ძალადობას ვგმობთ, რადგან ვისი მხრიდანაც უნდა მომდინარეობდეს და ვის მიმართაც უნდა იყოს ის მიმართული, ძალადობა დანაშაულია. მომხდართან დაკავშირებით, საჭიროა რეაგირება, სათანადო გამოძიება და სწორედ ასეთია კომიტეტის რეკომენდაციაც“.**

მოგვიანებით აქციის მონაწილეებს ადამიანის უფლებათა დაცვის კომიტეტის თავმჯდომარის მოადგილე გედევან ფოფხაძე შეხვდა და მათ 21 ივნისს, იუსტიციის სახლში დაგეგმილ შეხვედრაზე მონაწილეობა შესთავაზა. ფოფხაძე „რედისონის“ წინ შეკრებილ ადამიანებს დაპირდა, რომ შეხვედრაზე მოსაზრებების ღიად დაფიქსირების საშუალება მიეცემათ: **„აქციის მონაწილეებს შეუძლიათ 17 მაისის მოვლენებთან დაკავშირებით მომზადებული პროექტის შესახებ საკუთარი მოსაზრებები და შენიშვნები გაგვიზიარონ. თანაც ჯერ ეს პროექტი და დამტკიცებული ვარიანტი არ არის და მასში ცვლილებების შეტანასაც არ გამოვრიცხავთ“.**

გედევან ფოფხაძესა და აქციის ორგანიზატორებს შორის შეთანხმების მიღწევის შემდეგ, აქციის სამი მონაწილე, სასტუმრო „რედისონში“ კომიტეტის ანგარიშის პრეზენტაციასაც დაესწრო.

„ვერსიანიუსი“

ირაკლი ღარიბაშვილი არასამთავრობოების წარმომადგენლებსა და მედიასაშუალებების ხელმძღვანელებს სამალავში აღმოჩენილი ვიდეოფირები გააცნო

20 ივნისს, შინაგან საქმეთა მინისტრი ირაკლი ღარიბაშვილი, არასამთავრობო სექტორის წარმომადგენლებსა და მედიასაშუალებების ხელმძღვანელებს შეხვდა. დახურულ შეხვედრაზე მინისტრმა დამსწრე საზოგადოებას სამეგრელოში, სპეციალურ სამალავებში აღმოჩენილი ვიდეოფირები გააცნო, ჩვენების შემდეგ კი, ამ თემასთან დაკავშირებით დასმულ ყველა კითხვას უპასუხა.

მედიისა და არასამთავრობოების წარმომადგენლებს წამებისა და დამამცირებელი მოპყრობის ამსახველი ორი, 30-წუთიანი ეპიზოდი უჩვენეს. მინისტრის განცხადებით, ვიდეომასალებში განსაკუთრებით სასტიკად ორი პირის წამებაა ასახული, სადაც აღბეჭდილია სამართალდამცავების მიერ მათი გაუპატიურების სცენები. შს მინისტრმა ჩვენების წინ ჟურნალისტებსა და არასამთავრობო სექტორს თხოვნით მიმართა, კადრების შინაარსი არ განესაჯაროებინათ, რადგან საქმე უაღრესად სენსიტიურ თემას ეხება.

შეხვედრა საათზე მეტ ხანს გაგრძელდა, რომელსაც 50-მდე ჟურნალისტი ესწრებოდა, თუმცა დასრულებას ნაწილი ბოლომდე არ დაელოდა და ძირითადად იმის გამო, რომ წამების ამსახველი კადრების ნახვა არ სურდა, დარბაზი ჩვენების დაწყებამდე დატოვა. მათ შორის, „პირველი არხის“ ჟურნალისტებმა ეკა კვესიტაძემ და დავით პაიჭაძემ, ასევე „ნეტგაზეთის“, „24 საათისა“ და „ლიბერალის“ რედაქტორებმა, „საქართველოს ახალგაზრდა იურისტთა ასოციაციის“ თავმჯდომარე კახა კოჟორიძემ, „სამართლიანი არჩევნების“ ხელმძღვანელმა ნინო ლომჯარიამ და „საერთაშორისო გამჭვირვალობა – საქართველოს“ წარმომადგენელმა ეკა გიგაურმა. ვიდეოჩვენებას ბოლომდე დაესწრნენ „კონსტიტუციის 42-ე მუხლის“ წარმომადგენლები და ექსპერტები. კახა კოჟორიძის განცხადებით, შეხვედრაზე კადრების ჩვენება მიზანშეწონილი არ იყო და უპრიანი იქნებოდა, მათი განადგურებისა და გამოძიების ფაქტებზე მსჯელობა.

„კონსტიტუციის 42-ე მუხლის“ წარმომადგენელმა თამარ გაბისონიამ კი კადრებში პიროვნებების იდენტიფიცირების შესაძლებლობა კატეგორიულად გამორიცხა, რადგან კადრებს ხმა გათიშული ჰქონდა, სახეები კი დაშიფრულად იყო წარმოდგენილი.

ჟურნალისტებს შორის შინაგან საქმეთა სამინისტროს მიერ სამეგრელოში აღმოჩენილი კადრების საზოგადოებისთვის ჩვენებას მომხრეებიც გამოუჩნდნენ. მათი განცხადებით, საზოგადოებამ უნდა იცოდეს, როგორი მძიმე დანაშაულები ხორციელდებოდა მაღალჩინოსანი პერსონების მიერ.

ტელეკომპანია „იმედის“ საინფორმაციო დეპარტამენტის ხელმძღვანელმა ბაია ცანავამ მოითხოვა პასუხი კითხვაზე, ვინ დგას მსგავსი სისასტიკის უკან. მედიაორგანიზაციებისა და არასამთავრობო სექტორის წარმომადგენლებამდე, შინაგან საქმეთა მინისტრი ირაკლი ღარიბაშვილი საქართველოში აკრედიტებული დიპლომატიური კორპუსის წარმომადგენლებს შეხვდა და მათაც სამეგრელოში სპეციალურ სამალავებში აღმოჩენილი ვიდეოფირები გააცნო. შეხვედრა დიპლომატებმა კომენტარის გარეშე დატოვეს, თუმცა მოგვიანებით, ვიდეოფირების საქმეს საქართველოში აშშ-ს ელჩი რიჩარდ ნორლანდი გამოეხმაურა. მან ხელისუფლებას სამეგრელოში აღმოჩენილ ჩანაწერებში დაფიქსირებული ფაქტების დაუყოვნებლივ გამოძიებისკენ მოუწოდა. რიჩარდ ნორლანდის განცხადებით, რომელიც შინაგან საქმეთა მინისტრთან წინასწარი დანიშნული შეხვედრის გამო არ იმყოფებოდა, საელჩოს წარმომადგენლებისგან კადრების შინაარსის შესახებ დანვრილებით შეიტყო და აღნიშნა, რომ შოკირებული და გაოგნებულია.

საქართველოს შინაგან საქმეთა მინისტრის განცხადებით, შესაძლოა, ვიდეოჩანაწერების ჩვენება უმაღლეს საკანონმდებლო ორგანოშიც გაიმართოს: **„პარლამენტში დახურული ჩვენების მოწყობა აუცილებელია, რათა უმრავლესობისა და უმცირესობის დეპუტატებმა იხილონ, თუ რა ხარისხის დანაშაულთან გვაქვს საქმე და პოლიტიკურმა ოპონენტებმა აღნიშნული საკითხის გარშემო სპეკულაციები შეწყვიტონ“.**

შინაგან საქმეთა სამინისტროს სახელმწიფო უსაფრთხოების სააგენტოს თანამშრომლებმა, ჩატარებული ოპერატიულ-საგამოძიებო ღონისძიების შედეგად, იარაღის უკანონო შეძენა-შენახვის, თავისუფლების უკანონო აღკვეთისა და წამების ბრალდებით შსს-ს სამეგრელო-ზემო სვანეთის სამხარეო მთავარი სამმართველოს სამი მოქმედი თანამშრომელი — გ.შ, მ.ხ, გ.ჭ. და ყოფილი თანამშრომელი პ.ქ. უკვე დააკავეს. ასევე დაკავებულია თ.უ, რომელიც ვიდეომასალაზე აღბეჭდილ პირებზე სექსუალურ ძალადობას უშუალოდ ახორციელებდა.

გამოძიებამ დაადგინა, რომ აღნიშნული პირები მონაწილეობდნენ დაკავებულების წამებასა და მათ მიმართ არაადამიანურ მოპყრობაში. ბრალდებული პირების იდენტიფიცირება მოხდა სამეგრელოში შენიღბულად მოწყობილ, სპეციალურ სამალავებში აღმოჩენილი ვიდეოფირების საშუალებით. ამავე სისხლის სამართლის საქმეებზე დადგენილია შსს-ს ყოფილი მაღალჩინოსნების: მეგის ქარდავას, კოხტა კოდუასა და დავით ჩაგინავას ბრალეულობა. გამოძიების ინფორმაციით, კოხტა კოდუა და დავით ჩაგინავა ამჟამად საქართველოში არ იმყოფებიან, შესაბამისად, მათზე საერთაშორისო ძებნა გამოცხადდება. მეგის ქარდავა ინტერპოლის წითელი ცირკულარით უკვე იძებნება.

ამ დროისთვის, საგამოძიებო მოქმედებები მიმდინარეობს ექვსი პირის მიმართ, მათ შორის არიან: თავდაცვის სამინისტროს მოქმედი თანამშრომელი კ.თ, სამეგრელო - ზემო სვანეთის სამხედრო პოლიციის ორი ყოფილი თანამშრომელი ბ.ბ. და გ.ბ, ასევე ზუგდიდის პოლიციის ყოფილი უფროსი რ.შ. და ზუგდიდის პოლიციის ყოფილი თანამშრომელი ლ.ქ.

შსს აღნიშნულ სისხლის სამართლის საქმეებთან დაკავშირებით, გამოძიებას აგრძელებს.

„ვერსიანიუსი“

„არ შეიძლება აფხაზეთის თემაზე ფილმისთვის ფული დაგენანოს“



საქართველოში კინო გადაიღონ პედერასტებზე და აფხაზეთის თემაზე ფილმის გადაღებაში თანხა დაგენანოს. ჩემთვის კი არ ვიღებ ამ ფილმს, ჩემს ქვეყანას, ჩემს ხალხს სჭირდება. არ ვიცი რატომ, აფხაზეთის თემა რატომღაც აშინებთ კინოცენტრის მესვეურებს“.

კინორეჟისორმა ლევან ანჯაფარიძემ წელს უკვე მეოთხედ ვერ გაიმარჯვა ეროვნული კინოცენტრის მიერ ჩატარებულ, სრულმეტრაჟიანი ფილმების კონკურსზე და პროტესტის ნიშნად, კულტურის სამინისტროს წინ, უვადო შიმშილობა გამოაცხადა. მას რამდენიმე მოთხოვნა აქვს: შეისწავლონ ჟიურის წევრთა კომპეტენტურობა; გაათავისუფლონ კინოცენტრი არაპროფესიონალებისგან; გადახედონ კინოცენტრის კონკურსის შეფასების კრიტერიუმებს; გააბათილონ სრულმეტრაჟიანი ფილმების კონკურსის შედეგები; პრიორიტეტულად აირჩიონ ქართულ კინემატოგრაფიაში ქვეყნის ტერიტორიული მთლიანობის აღდგენის საკითხი.

კულტურის სამინისტროსა და ეროვნული კინოცენტრის წარმომადგენლები უკვე შეხვდნენ ანჯაფარიძეს, რომელიც მიიჩნევს, რომ ეს მხოლოდ ფორმალური შეხვედრა იყო. რეჟისორი მანამ არ შეწყვეტს შიმშილობას, სანამ მის ყველა მოთხოვნას არ დააკმაყოფილებენ: **„შეხვედრას ესწრებოდნენ კულტურის მინისტრის მოადგილე მანანა ბერიკაშვილი, ეროვნული კინოცენტრის თანამშრომლები და კომისიის წევრები, რომლებმაც ჩემს სცენართან დაკავშირებით, უარყოფითი დასკვნა გამოიტანეს. შეთანხმება ვერ შედგა — ჩემი მოთხოვნების პირველივე პუნქტზე ვერ შევთანხმდით და მომდევნო პუნქტებზე მსჯელობას აზრიც აღარ ჰქონდა. შეხვედრას ესწრებოდა ეროვნული კინოცენტრის ხელმძღვანელი ნანა ჯანელიძე, რომელიც ჯიუტადაა დარწმუნებული კომისიის წევრების კომპეტენტურობაში. მე კი განსხვავებული აზრი მაქვს — არ შეიძლება 20-22 წლის ახალგაზრდა იყოს კომისიის წევრი, იღებდეს ფილმებს, იგებდეს პრიზებს... ღმერთმა მრავალი მოაგებინოს, მაგრამ არ მგონია, ეს შემთხვევით ხდებოდეს და კინოცენტრში მიკერძოებას არ ჰქონდეს ადგილი. მეგონა, ახალი ხელისუფლება მაინც უშველიდა ქართულ კინოხელოვნებას, მაგრამ არაფერი შეცვლილა. ვერც კინოცენტრის ხელმძღვანელის შეცვლამ მოიტანა შედეგი — არაპროფესიონალები წყვეტენ შემოქმედი ადამიანების ბედს. სწორედ, ამიტომ ვერ მოხვდა ჩემი სცენარი გამარჯვებულთა შორის. არ მინდა, ვინმეს შეურაცხყოფა მივაყენო, მაგრამ პირველ და მეორე ადგილებზე გასული სცენარების გარდა, ვერ ვხვდები, სხვებს რა დამსახურების გამო მიენიჭათ ადგილები“.**

ლევან ანჯაფარიძის მიერ კონკურსზე წარმოდგენილი სცენარი „ციცინათელები“ აფხაზეთის თემაზეა. რეჟისორის აზრით, იგი კიდევ ერთხელ წინ წამოწევდა ქვეყნისთვის პრიორიტეტულ თემას: **„არ შეიძლება, 900 ათასი გადაიხადო, რომ საქართველოში კინო გადაიღონ პედერასტებზე და აფხაზეთის თემაზე ფილმის გადაღებაში თანხა დაგენანოს. ჩემთვის კი არ ვიღებ ამ ფილმს, ჩემს ქვეყანას, ჩემს ხალხს სჭირდება. არ ვიცი რატომ, აფხაზეთის თემა რატომღაც აშინებთ კინოცენტრის მესვეურებს“.**

რეჟისორი უვადო შიმშილობას განაგრძობს და აცხადებს, რომ საზოგადოებისგან დიდ მხარდაჭერას გრძნობს: **„შიმშილობის არ შევწყვეტ. აქ, კულტურის სამინისტროს წინ დავიწყებ ფილმის გადაღებას. მგონი, მსოფლიოს არ ახსოვს პრეცედენტი, რეჟისორს მსგავსი მოთხოვნით შიმშილობა დაეწყოს და სამინისტროს წინ კარავი გაეშალა. სხვა გზა არ დამიტოვეს. ღირსებას არავის გავათელინებ!“**

ნათია ვასაძე

ვეტერანები პოლიტიკაში მოდიან!

რომელ საპრეზიდენტო კანდიდატს დაუჭერს მხარს ახალი კოალიცია, სავარაუდო სახელით — ქართველ მამულიშვილთა კავშირი

მარი შათირიშვილი

პირველად უკანასკნელი 20 წლის განმავლობაში – საქართველოს ვეტერანები უარს ამბობენ სოციალურ მოთხოვნებზე და პოლიტიკაში მოდიან! სად, როდის, როგორ და ვისთან ერთად — ამის თაობაზე „ვერსიას“ ეროვნული გვარდიისა და შეიარაღებული ძალების ომის ვეტერანთა და ინვალიდთა კავშირის გაერთიანების თავმჯდომარე დავით მარტიაშვილი ესაუბრა.

— ბატონო დავით, ხელისუფლების შეცვლის შემდეგ ვეტერანები ახალი ენთუზიაზმით ალაპარაკდით თქვენს პრობლემებზე. დღეს ვეღარ გატყობთ ამ ენთუზიაზმს და პოლიტიკურ განცხადებებზე გადახვედით. რა ხდება?

— მიმდინარე მოვლენებმა დაგვანახა, რომ მიზანი, რომელიც 20 წლის განმავლობაში გვამოძრავებდა, მიუღწევადია! იმედისმომცემი იყო 2012 წლის დეკემბერში თავდაცვის მინისტრის განცხადება, რომ 2013 ვეტერანებსა და მათ ოჯახებზე ზრუნვის წელი იქნებოდა, მაგრამ 8 თვე გავიდა და პროგრესი ვერ ვნახეთ. მეტიც, სადაც რაიმე შეხება გვქონდა, განგვიხილავდნენ, როგორც ისტორიის კუთვნილებას. მივედით დასკვნამდე, რომ ასეთი ფორმით მიზანი მიუღწევადია. ალბათ, სწორედ ამ მიზნითაც იყო სპეცსამსახურების მიერ შემოგდებული აზრი და განწყობა, თითქოს ვეტერანები აპოლიტიკურები უნდა ვყოფილიყავით. ამ გადასახედიდან მივხვდით, რომ ეს იყო ჩვენი ყველაზე დიდი შეცდომა — 20-წლიანი მათხოვრობის რეჟიმში ჩაგვაყენეს, დაგვავიწყეს სოციალური პრობლემებიც. საქართველო, რომლისთვისაც ვიბრძოდით, არანაკლებ ტკივილს განიცდის, ვიდრე ომის დროს. ქვეყანაში ვეტერანების განეიტრალებით ხელისუფლება მუდმივად ძალადობდა საკუთარ ხალხზე და პასუხის მომთხოვნი არავინ იყო.

— ანუ პოლიტიკაში მოსვლის თაობაზე აკეთებთ განცხადებას?

— დიახ, მაგრამ ეს არ ნიშნავს, რომ პოლიტიკურ პარტიად გადავკეთდებით და სახეს არ შევინარჩუნებთ. 22 წელია, საქართველო დამოუკიდებელია და თავისი გეოპოლიტიკური მდგომარეობიდან გამომდინარე, ხალხი კეთილდღეობაში ცხოვრობდეს, უკიდურეს სიღატაკეში ვართ. 22 წელიწადში 4 ხელისუფლება გამოვიცვალეთ! არ შევჩერდები ზვიად გამსახურდიაზე, მაგრამ ვიტყვი, რომ მას არ ეყო ძალა და გამოცდილება, აღეკვეთა სამოქალაქო დაპირისპირება. ედუარდ შევარდნაძემ ნახევარი საქართველო ცეცხლის ალში გახვია, ნახევარი – გააძარცვინა გარკვეულ ჯგუფებს, სააკაშვილი დიდხანს დარჩება ჩვენი ქვეყნის ანომალიად, ახლა კი, „ქართული ოცნება“... მისი საწინააღმდეგო რა მაქვს, მაგრამ იყო მოლოდინი, რომ 1 ოქტომბრის შემდეგ სხვა საქართველოს მივიღებდით. 1 ოქტომბერი ჩვენი, ყველას ერთობლივი მონაპოვარია. ასეთი ტემპით განვითარება ჩვენთვის მიუღებელია და მრავალ კითხვის ნიშანს აჩენს. ჩემს მიერ ჩამოთვლილ ყველა ლიდერს ჰქონდა არჩევანი – დაემსახურებინა ხალხის სიყვარული ან სიძულვილი. ბიძინა ივანიშვილსაც აქვს ეს არჩევანი.

— რადგან პოლიტიკაში მოსვლა გადაწყვიტეთ, უნდა არსებობდეს პოლიტიკური ძალა, რომლის მიმართაც სიმპათია გაქვთ და რომლის გვერდითაც საკუთარ თავს მოიაზრებთ. რომელია ასეთი პარტია?

— ორგანიზაციის შიგნით ამ თემაზე ხანგრძლივი კონსულტაციები გავიარეთ. ჩვენ მონაწილეობას მივიღებთ კოალიციით საპრეზიდენტო არჩევნებში, ხოლო ადგილობრივ და საპარლამენტო არჩევნებში დამოუკიდებლად მივიღებთ მონაწილეობას.

— რა კოალიციაზე საუბრობთ ან საპრეზიდენტო არჩევნებში ვის დაუჭერთ მხარს?

— საპრეზიდენტო არჩევნებამდე 3 თვე დარჩა და ჩამიჩუმი არ ისმის. თითქოს ქვეყანა გაჩერდა! არც ერთი პარტია და არც ერთი კანდიდატი არ აპირებს პროგრამის საჯაროდ გამოტანას! ყურადღებით ვადევნებთ თვალს მიმდინარე პროცესებს. ვხედავთ, რომ არის გადაჯგუფებების ან სულაც ახალი ჯგუფის ჩამოყალიბების მცდელობა. მუდმივად გვესმის „ევროპული“ ან „რუსული“ საქმე. ჩვენ მხარს დავუჭერთ ქართული საქმის გამკეთებელს! 17 მაისიც იყო დასტური, რომ ერი ქართული საქმით უბრალოდ, შიმშილობს.

— და ვინ არის ქართული საქმის გამკეთებელი?

— არავითარ შემთხვევაში, მხარს არ დავუჭერთ ნაციონალებისა და „ქართული ოცნების“ კანდიდატებს. არ მინდა, მოვლენებს გავუსწრო, მაგრამ ჩვენი მზერა შეჩერდა ერთ-ერთ ჯგუფზე, სადაც გაერთიანებულია არაცნობადი, სხვადასხვა პროფესიის ადამიანები. ისინი ცდილობენ, უახლოეს მომავალში წარმოდგნენ კოალიციის სახით...

— ანუ თქვენი არჩევანი არ შეჩერდა არც ბურჯანაძეზე, არც კუკავაზე, არც ნათელაშვილზე?

— დიახ. არ მინდა, მოვლენებს გავუსწრო, მაგრამ თუ შედგა ეს კოალიცია, მისი სახელი, სავარაუდოდ, იქნება „ქართველ მამულიშვილთა კავშირი“. ეს ძალა ცდილობს, დამოუკიდებლად ჩამოყალიბდეს და მიიღოს ქვეყანაში მესამე პოლიტიკური ძალის სახე. აქ გაერთიანდებიან ბიზნესმენები, პროფესორები...

— პოლიტიკური პარტიები ყოველთვის ცდილობდნენ, ვეტერანები თავის სასარგებლოდ გამოეყენებინათ. ამას, არცთუ იშვიათად, ახერხებდნენ კიდეც. ხომ არ იქნება თქვენი გადაწყვეტილება ვიღაცისთვის ვეტერანების სახელის გამოყენების საშუალება?

— ეს ძალიან მტკივნეული საკითხია, რადგან 20 წლის განმავლობაში, ჩვენი არსებობა მუდმივად სპეკულაციის საგანი იყო და ყველა დაპირება შეუსრულებელი რჩებოდა. პირველად ხდება, როდესაც ვეტერანები რომელიმე კოალიციაში წარმოვდგებით, როგორც სრულუფლებიანი სუბიექტი და არა ვინმეს აქტივისტები.

— ანუ თქვენ არ გააკეთებთ „შეფიცულები 2“-ს?

— არა, მხარს დავუჭერთ ახალი კოალიციის კანდიდატს.

— ნაციონალებზე აღარაფერს გეკითხებით. „ოცნების“ კანდიდატს რას უწუნებთ?

— არ შეგვიძლია, მხარი დავუჭიროთ საპრეზიდენტო კანდიდატს, რომელმაც მოადგილედ დაინიშნა ადამიანი, ვისაც ნათქვამი აქვს: ქართველებს 2 სახადი გვაქვს მოსახდელი – ეროვნულობა და ეკლესიაო, მეტიც — შევეწინააღმდეგებით კიდეც მის კანდიდატურას, თუმცა პოლიტიკაში გამორიცხული არაფერია. სხვა კანდიდატურა რომ დაეყენებინათ და არ ეთქვათ, „ჯოხიც რომ ჩაარჭოს ბიძინა ივანიშვილმა, ის გავა პრეზიდენტად“, შეიძლება მხარიც დაგვეჭირა. ვეტერანები ყოველთვის ქართულ, ეროვნულ საქმეს დავუჭერთ მხარს.

ექიმები პოლიკლინიკების ჯანდაცვის სამინისტროსთვის გადაცემას მოითხოვენ!

სამედიცინო სექტორის წარმომადგენლები პერმანენტულ აქციებს კვლავ აწყობენ. ამჯერად, ისინი სახელმწიფო კანცელარიასთან შეიკრიბნენ და პირველადი ჯანდაცვის ობიექტების სახელმწიფოსთვის გადაცემა მოითხოვეს.

პროფილაქტიკური ცენტრის „შუა ქალაქში“ ექიმი მანანა ელიზბარაშვილი აცხადებს: „პირველადი ჯანდაცვის გაკოტრება და ნგრევა ხდება, რათა ეს შენობები ხელში ჩაიგდონ. ბევრი სადაზღვევო კომპანიებთანაა შეკრული. ჯანდაცვის სამინისტროში, ფინანსურ პოლიციაში, პროკურატურაში საქმეები აღძრულია, მაგრამ პასუხი არ გვაქვს. ჩვენი მოთხოვნაა, ჩამოერთვას მერიას ჯანდაცვა და სამართავად ჯანდაცვის სამინისტროს გადაეცეს“.

მარინა ფანიაშვილი, პირველი სამკურნალო პროფილაქტიკური ცენტრის ექიმი, პროფესორი, არასამთავრობო ორგანიზაცია „უფლება და თავისუფლების“ დამფუძნებელი. „მე-13 პოლიკლინიკა, „შუა ქალაქში“, ბავშვთა პოლიკლინიკა, 1-ლი და მე-2 სამკურნალო პროფილაქტიკური ცენტრები, „სამედიცინო გაერთიანება ჯანმრთელობა“, „თერაპიის ინსტიტუტი“, დამწვრობის ცენტრი, მე-4 კლინიკური საავადმყოფო გასხვისდა, ამიტომ ჩვენი აქციები პერმანენტულ ხასიათს მიიღებს. ვითხოვთ, შეჩერდეს უკანონოდ გასხვისებული ობიექტების მფლობელების უკანონო ქმედება და ნუ ათავისუფლებენ სამსახურიდან სამედიცინო პერსონალს. არც მალავენ, რომ მხოლოდ უძრავი ქონება აინტერესებთ. თუ ასე გაგრძელდა, მალე პირველადი ჯანდაცვა აღარ იარსებებს“.

უფლებადამცველი ლაშა ჩხარტიშვილი პირველად ჯანდაცვაში მიმდინარე პროცესებს აპროტესტებს: „დღემდე გაურკვეველია, რა პოზიცია აქვს ხელისუფლებას სამედიცინო ობიექტების მასობრივ გასხვისებაზე. თუ ეს პროცესი არ შეჩერდა, დავზარალდებით“. **უფლებადამცველი დიმიტრი ლორთქიფანიძის თქმით კი:** „ორგანიზებული დანაშაულია ჩადენილი სახელმწიფო მოხელეთა მიერ. ხდებოდა სამედიცინო ობიექტების გამსხვილება და შემდგომ ისეთ კომპანიებზე გასხვისება, რომლებიც თავად არიან მოვალეთა რეესტრში. ამ არაპრივატიზებულ ობიექტებს კომერციულ ბანკებში დებდნენ, თანხების ნაწილს ითვისებდნენ, ნაწილს — აბრუნებდნენ ე.წ. პრივატიზაციის განხორციელებისთვის. ეს დანაშაულია და ვინც ამას არ იძიებს, დანაშაულის მფარველი და მონაწილეა“.

აქციას თბილისის საკრებულოს „ქართული ოცნება — თბილისელების“ თავმჯდომარე გულიკო ზუმბაძეც შეუერთდა: „1 ოქტომბრის არჩევნების შემდეგ, ქონების მართვის სამსახურმა პოლიკლინიკების გასხვისება მოასწრო. მიუხედავად ჩვენი წინააღმდეგობისა, ისინი განაგრძობენ ამ საქმიანობას. მივმართავთ ჯანდაცვის სამინისტროსა და თბილისის მთავრობას, სასწრაფოდ გადახედოს პოლიკლინიკებთან დაკავშირებით გატარებულ პოლიტიკას“.

მოგვიანებით, ექიმები კანცელარიის უფროსმა მაია ცქიტიშვილმა მიიღო, თუმცა ამ შეხვედრამ შედეგი ვერ გამოიღო, ამიტომაც მედიკოსები აქციებს გააგრძელებენ.

ნინო ხარშილაძე

„ატსტუპნიკები“ შიმშილობას იწყებენ!

ე.წ ატსტუპნიკების პრობლემა ვერა და ვერ მოგვარდა. ისინი პერმანენტულ აქციებს მართავენ, ხელისუფლებას კანონის შეცვლასა და წლების წინ მათი წინაპრების ნაყიდი ბინების დაკანონებას სთხოვენ. „ატსტუპნიკების“ ნაწილმა კანცელარიასთან აქცია გამართა. „ვერსია“ რამდენიმე მათგანს გაესაუბრა.

მაია გოგელიძე: „80 წელია „ატსტუპნიკი“ ვარ. ეს ბინა ჩემმა წინაპარმა იყიდა. მაშინ კერძო საკუთრების შესახებ კანონი არ იყო. ბინის პატრონს ფულს აძლევდი, ის კი ბინაში გწერდა. ჩვენი მოთხოვნაა, დაგვიკანონდეს კომუნისტების პერიოდში შეძენილი ბინები. ამ ხელისუფლების მოსვლის შემდეგ არაფერი შეცვლილა, ყოველდღიურად ხალხი უსახლკაროდ რჩება. მიუხედავად ჩვენი მოთხოვნისა, არც აჩერებენ და არც ცვლიან კანონს. კანონში წერია, რომ პირველი სიტყვა მესაკუთრეს ეკუთვნის. 2 კვირის წინ გამოასახლეს „ატსტუპნიკი“ მწოლიარე დედასთან ერთად და ახლაც ქუჩაშია. ვაპირებთ, შიმშილობა დავიწყოთ. სხვა გამოსავალი არაა.

ეთერ ბარაბაძე: „ბინა ჩემმა მშობლებმა იყიდეს. ამ ბინაში დავიბადე და დავბერდი. ჩემი სახლის პატრონი მეუბნება, რა ფასადაც შეაფასეს, ის მომეცი და დაგიმტკიცებო, ბინა 15 ათას ლარადაა შეფასებული და როგორ გადავიხადო?“

აქციაზე პარტია „მომავალი საქართველოს“ თავმჯდომარე გიორგი ლაღიძეც იყო. მან ხელისუფლება ინერტულობაში დაადანაშაულა: „მარტო თბილისში 40 000 „ატსტუპნიკი“ ოჯახია. წელიწადნახევარზე მეტია, საპროტესტო აქციებს მართავენ. მათი ძირითადი მოთხოვნაა იმ ფართების დაკანონება, რაშიც წლების წინ თანხა აქვთ გადახდილი. ხელისუფლება ამ ხალხს ყურადღებას არ აქცევს. სააკაშვილის ხელისუფლების დროს სამართალს ვერ მიაღწიეს. ბიძინა ივანიშვილისა და „ქართული ოცნების“ წინასაარჩევნო დაპირება იყო, რომ ბინათმოსარგებლეების პრობლემას გადაწყვეტდნენ, ახლა კი ეს პრობლემა სულ დაავიწყდათ. არაერთხელ გავმართეთ აქცია კანცელარიასთან, შევხვდით პარლამენტის თავმჯდომარეს, პარლამენტის ადამიანის უფლებათა დაცვის კომიტეტის თავმჯდომარეს... ამ ხალხს აქამდე მაინც არაფერი ეშველა, ამიტომ ისინი პროტესტის უკიდურეს ფორმებს მიმართავენ. არაა გამორიცხული, შიმშილობაც დაიწყონ. აქციებს გააგრძელებენ მანამ, სანამ არ დაკმაყოფილდება მათი მოთხოვნები“.

ნინო ხარშილაძე

„ვინც კარგი პოლიციელი გვეგონა, მეზობელ სპეცსამსახურებთან შეკრული სადისტი აღმოჩნდა!“

დავით დარჩიაშვილი ხელისუფლებას „კომპრომატების ომის“ დაწყებაში ადანაშაულებს

ირუსუდან შელია
557-100-768

პატიმრების წამებასა და ადამიანების უფლებების შელახვას ნაციონალური მოძრაობის სახელით მოქმედ ორმაგ აგენტებს მიაწერს, გუნდის პოლიტიკურ პასუხისმგებლობაზე საუბარი კი უჭირს. ამბობს, რომ კოალიცია მხოლოდ საკუთარი ინტერესებით მოქმედებს და ნაციონალური მოძრაობის პოლიტიკური სივრციდან გაძევებას ცდილობს. უკანონოდ მოპოვებულ ფარულ ჩანაწერებსა და პარტიის მომავალზე „ვერსიას“ საპარლამენტო უმცირესობის წევრი ДАВИТ ДАРЧИАШВИЛИ ესაუბრა.

— ყოველთვის არსებობს ეჭვი, რომ ხელისუფლების მიერ წარმოდგენილი დოკუმენტური თუ ვიდეოფაქტები გაყალბებულია, რადგან რეალურად, მმართველი გუნდის მიზანს ნაცმოძრაობის განადგურება წარმოადგენს. თანაც, ვერ დავიჯერებ, რომ პრემიერი, რომელმაც მთელი თავისი შეგნებული ცხოვრება კრიმინალურ სივრცეში გაატარა და ფინანსური თუ პოლიტიკური კაპიტალი საეჭვო გარიგებებით შექმნა, ადამიანის უფლებების დაცვაზე ზრუნავს. დიახ, დღეს სახეზე გვაქვს კომპრომატების ომი და არა მოქალაქეების ინტერესების ზრუნვის მცდელობა.

— ნაცმოძრაობა ადამიანის უფლებების დამცველი იყო თუ პოლიტიკურ პასუხისმგებლობას ადამიანების წამებასა და გაუპატიურებაზე ვერ გრძნობთ?

— დიახ, ნაცმოძრაობა ადამიანის უფლებებზე ზრუნავდა და ქვეყანას ეროვნული ინტერესების გათვალისწინებით მართავდა, თუმცა ეს განცხადება იმ ადამიანებს არ ეხება, რომლებიც პარტიის სახელით მსგავს სასტიკ ქმედებებს სჩადიოდნენ. საქართველოს ისტორიაში არაერთხელ გვინახავს, მმართველი ძალის გარკვეული ჯგუფი დრაკონად როგორ გადაქცეულა, რაც შემდეგ სხვა დრაკონებს სათავისოდ გამოუყენებიათ.

— ვინ გახდა თქვენ გუნდში დრაკონი, ნაცმოძრაობის „ხერხემალი“ ვანო მერაბიშვილი, რომლის სახელსაც სამეგრელოში აღმოჩენილ სამალავებსა და ფარულ ჩანაწერებს უკავშირებენ?

— ამ შემთხვევაში, საქმე პოლიტიკურ ინტერესთან გვაქვს და არა სამართლებრივ ქმედებასთან. შესაბამისად, ეს ის საკითხია, რომელიც ორივე პოლიტიკურმა ძალამ საერთაშორისო დონეზე უნდა გაიტანოს, თანაც იმ ფონზე, როცა დღეს ბედუკაძე გმირია. დიახ, არ გამოვრიცხავ, მსგავსი ფაქტები ხელისუფლებაში ჩვენი ყოფნის დროს, მაგალითად, 2010 წელს მართლაც ხდებოდა, მაგრამ პირადად მე, ვვარაუდობ, რომ ოპერატიული სამსახურის, კუდ-ისა და სოდ-ის მაღალჩინოსნებსა და ლაშა ნაცვლიშვილს შორის გარკვეული კავშირები არსებობდა. ჩანს, ამ ადამიანებს სურდათ, ნაცმოძრაობის ამ ფორმით დისკრედიტაცია მომავალში პოლიტიკური და ფინანსური თვალსაზრისით გამოეყენებინათ.

— წლების განმავლობაში, სოდ-ის უფროსი დათა ახალაია იყო, კუდ-ის კი ერეკლე კოდუა. ლაშა ნაცვლიშვილთან კავშირზე ქვეტექსტებით ამ ორ ადამიანზე საუბრობთ?

— ხელს არავის ვადებ, მაგრამ ფაქტია — თუ გავრცელებული კადრები და ინფორმაცია რეალურია, ყველაფერი ოპერატიული სამსახურის მაღალი რანგის პირებთან მიდის, რომლებიც ქვეყანაში პოლიტიკურ კლასს კომპრომატებით იმორჩილებდნენ. პირიქით, შესაძლოა, ამ შემთხვევაში დათა ახალაია მართალიც კი იყოს და საქმე სხვა უფრო მაღალჩინოსნებამდე მიდიოდეს. კითხვებზე: ვინ მისცა ჩვენება ფარულ ჩანაწერებთან დაკავშირებით, რატომ იდო იარაღებთან ერთად კასეტები, რომელთა ანალოგი 2006 წლის შემდეგ არ გამოიყენებოდა, პასუხი ხელისუფლებამ უნდა გაგვცეს. ფაქტია, მმართველი გუნდი ყველაფერს აკეთებს, რომ ხალხს მსგავსი კითხვები არ დაასმევინოს და მხოლოდ საზოგადოების ემოციებით ისარგებლოს.

— იგივე კითხვებზე პასუხის გაცემა ნაციონალებსაც მოუწევთ. დააკონკრეტეთ, ვის გულისხმობთ დათა ახალაიაზე მაღლა მდგომ მაღალჩინოსანში — ვანო მერაბიშვილს?

— ერთი რამ დანამდვილებით ვიცი — აბსოლუტური არარაობიდან საქართველო სახელმწიფოდ ჩამოყალიბდა, თუმცა ქვეყნის შენების პარალელურად, საკმაოდ მძიმე დაავადებამ იჩინა თავი, ამიტომ ბოლომდეა გამოსაძიებელი წინა ხელისუფლებიდან ვინ მონაწილეობდა მეტასტაზების გამრავლებაში. არაერთი ქვეყნის მაგალითი შეგვიძლია გავიხსენოთ, როცა ოპერატიული თანამშრომლები, რომლებიც პოლიტიკურ პროცესებში არ მონაწილეობენ, ჩუმად ქვეყნის საზიანო საქმეს აკეთებენ. პირველ რიგში, გამოძიება უნდა დაინტერესდეს, რა კავშირი ჰქონდა პოლიტიკურ ფიგურებს მეზობელი ქვეყნის სპეცსამსახურებთან. დიახ, ვინც კარგი პოლიციელი გვეგონა, მეზობელ სპეცსამსახურებთან შეკრული სადისტი აღმოჩნდა!

— ამ განცხადების ადრესატიც ვანო მერაბიშვილი ხომ არაა, რომლის შესახებაც ვახტანგ მაისაია აცხადებს, რუსულ სპეცსამსახურებთან თანამშრომლობდაო?

— ვახტანგ მაისაია 2008 წლის აგვისტოს ომის დროს, ქართული ნაწილების გადაადგილების შესახებ ინფორმაციას მტერს აწვდიდა. ასე რომ, მსგავსი ადამიანების მიერ გავრცელებული ინფორმაცია ჩემთვის ნაკლებად დამაჯერებელია. ფაქტია, საკმაოდ მძიმე მემკვიდრეობა გვერგო და ქვეყანაში ორმაგი აგენტებიც მრავლად გვყავს. ეჭვს ვიდეომასალების გამომზეურების დროც ბადებს. ცალსახაა, რომ ხელისუფლება მსგავს ინფორმაციებს საზოგადოებას დოზირებულად, პოლიტიკურ კრიზისში ყოფნისას აწვდის — როგორც კი ამერიკის კონგრესთან პრობლემა გაჩნდა, ადამიანების წამების შესახებ ინფორმაციამ წინა პლანზე წამოიწია. არადა, ამ დროს, რაფალიანცისა და გელა ხვედელიძის საქმე ბოლომდე დღემდე არ მიუყვანიათ. არ ვამბობ, რომ დამნაშავეები უნდა გამართლდნენ. პირიქით, თუ სასამართლო ყოფილი მაღალჩინოსნების დანაშაულს გამოავლენს, ისინი აუცილებლად უნდა დაისაჯონ, მაგრამ მთავარია, შეთითხნილი ინფორმაციით პოლიტიკური პროცესების მანიპულირება არ მოხდეს. თანაც, ამ ყველაფრის ორგანიზატორად ლაშა ნაცვლიშვილი გვევლინება, რომელიც ქვეყანას კახა თარგამაძესთან ერთად მართავდა. ასე რომ, ბუნებრივია, დანაშაული არავის ეპატიება, მაგრამ ქვა იმან მაინც ისროლოს, ვინც უცოდველია.

— რამდენიმე დღის წინ განაცხადეთ, რომ საპრეზიდენტო კანდიდატის გამოსავლენად პრაიმერს ჩაატარებთ. ნაციონალური მოძრაობის მისამართით გაჟღერებული ბრალდებების ფონზე, ფიქრობთ, საზოგადოებაში რეიტინგი ჯერ კიდევ გაქვთ?

— ღმერთმა დაიფაროს საქართველო, პოლიტიკური არენიდან ნაციონალური მოძრაობა გაქრეს! დიახ, ღმერთმა ნუ დაგტოვოთ ლაშა ნაცვლიშვილის ხელში.

— ახლა მხსნელების როლშიც გვევლინებით?

— თუ ნაციონალური მოძრაობა პოლიტიკური არენიდან გაქრება, მერწმუნეთ, პროცესი დამახინჯდება და ქვეყანაში სიმართლის მთქმელიც არ დარჩება. ამ შემთხვევაში მხოლოდ მონოპოლისტ „ქართულ ოცნებას“ მივიღებთ, რომელიც საკუთარ დანაშაულს ჩაყლაპავს და მხოლოდ სხვის დანაშაულზე ისაუბრებს.

— ნაცმოძრაობის პოლიტიკური სივრციდან გაქრობის ალბათობა თქვენთვის უკვე რეალურია?

— ზოგადად, ქვეყნის გაქრობის საფრთხეს ვხედავ. საქართველოში პირველად გვქონდა შანსი, ერთი პოლიტიკური გუნდი მეორეს ყოველგვარი ანგარიშსწორების გარეშე ჩაენაცვლებინა, რითაც პოლიტიკური პროცესი სრულად გამოჯანსაღდებოდა. ამ შანსსაც ვუშვებთ ხელიდან. ხელისუფლება ყველა მეთოდს იყენებს ჩვენი პოლიტიკური გუნდის გასანადგურებლად, რაც, დარწმუნებული ვარ, კაგებე-სა და ფეესბე-ს წიაღშია აპრობირებული. მიუხედავად ყველაფრისა, თუ აღმოჩნდა, რომ ჩემი თანამებრძოლი, პარტიის რიგითი წევრი ან ყოფილი მაღალჩინოსანი უკანონო ქმედებებს სჩადიოდა, პირადად მე, სერიოზულ მორალურ პასუხისმგებლობას ვიგრძნობ, თუმცა მანამდე, ეს ყველაფერი სასამართლომ უნდა დაამტკიცოს.

ტურიზმი

ყაზბეგში, წითელსოფელსა და ზუგდიდში ტურისტული ცენტრები შეიქმნება

რატომაა წელს საქართველოში რუსი ტურისტების ბუმი და რა პრობლემებს აწყდებიან ისინი საქართველოში ჩამოსვლისას

ირუსუდან შელია
557-100-768

საქართველოს ტურიზმის ეროვნული ადმინისტრაციის ახალმა ხელმძღვანელმა, გიორგი სიგუამ საზოგადოებას ქვეყანაში ტურიზმის განვითარების ახალი კონცეფცია და სამოქმედო გეგმა გააცნო. მან ის ძირითადი მიმართულებებიც გამოყო, რაც ამ ეტაპზე, ტურიზმის ადმინისტრაციისთვის პრიორიტეტს წარმოადგენს. კერძოდ, Twinnimg-ის პროექტის რეკომენდაციების გათვალისწინებით, ტურიზმის კანონის მომზადება, ასევე რეგიონული მართვის ორგანიზაციების ჩამოყალიბება, საკონვენციო ბიუროს შექმნა, ვებ-გვერდ Georgia.Travel-ზე ინოვაციური ფუნქციის, ონლაინმარკეტის დამატება... ტურიზმის ეროვნული ადმინისტრაციის ხელმძღვანელის განცხადებით, ტურისტებისთვის ცხელი ხაზიც ამოქმედდება, რომელიც 24 საათის განმავლობაში იმუშავებს: **„ჩვენი მთავარი მიზანი, ამბიცია და ამოცანა ტურიზმისა და ეკონომიკის განვითარებაა, რასაც შრომით, მთავრობის მხარდაჭერით, კერძო სექტორსა და საერთაშორისო ორგანიზაციებთან თანამშრომლობით აუცილებლად განვახორციელებთ. წინა ხელისუფლების პირობებში, სახელმწიფოს ტურიზმის განსავითარებლად არავითარი გეგმა და სტრატეგია არ არ გააჩნდა, ყველაფერი მხოლოდ პიარსა და ერთი ადამიანის ნება-სურვილზე იყო დაფუძნებული“.**

გიორგი სიგუამ ცოტა ხნის წინ ჩატარებული კვლევის შედეგებიც წარმოადგინა და განაცხადა, რომ საერთაშორისო ტურიზმის კვლევის შედეგების თანახმად, საქართველოში შემოსული ვიზიტორებისგან მხოლოდ 57% შეიძლება ტურისტად ჩაითვალოს, დანარჩენი 43% კი სტუმარია. ამავე სტატისტიკის თანახმად, საქართველოში ვიზიტორთა უმეტესობა შვებულების გასატარებლად და დასვენება–რეკრეაციის მიზნით ჩამოდის, 20% — მეგობრებისა და ნათესავების მოსანახულებლად, ხოლო 19% საქართველოს, როგორც სატრანზიტო ქვეყანას სტუმრობს. ამასთან, საქართველოში ჩამოსულ ტურისტთა 62% ქართულ ბუნებასა და ლანდშაფტს ეცნობა, 59% — ქართულ კერძებს, ხოლო 34% ქართულ ღვინოს აგემოვნებს. კვლევის შედეგების მიხედვით, ტურისტებში განსაკუთრებული პოპულარობით თბილისი და ბათუმი სარგებლობს.

გიორგი სიგუას ინფორმაციით, ტურისტული ცენტრები და რეგიონული მართვის ორგანიზაციები ჩამოყალიბდება, პირველ ეტაპზე, ყაზბეგში, წითელსოფელსა და ზუგდიდში: **„პრობლემა, რასაც თანამდებობაზე დანიშვნისას წავაწყდი, იყო ის, რომ ტურიზმის ადმინისტრაცია სრულიად ცენტრალიზებული დამხვდა. ეს საბოლოო ჯამში, რეგიონებთან კომუნიკაციას ართულებს. შესაბამისად, 2014 წლისთვის რეგიონული მართვის ორგანიზაციები შეიქმნება, რომლებიც ადგილობრივი ტურიზმის განვითარებაზე იზრუნებენ და ჩვენც ინფორმაციას მაქსიმალურად მოგვაწვდიან. ასე რომ, მომავალში მჭიდროდ ვითანამშრომლებთ ყველა იმ სუბიექტსა თუ კერძო პირთან, რომელსაც ამ დარგის განვითარებაში თუნდაც მცირე წვლილის შეტანა შეუძლია“.**

„ვერსიის“ ინფორმაციით, თურქეთში დაძაბული პოლიტიკური პროცესების ფონზე, რუსი ტურისტები საქართველოში დასვენებას ამჯობინებენ, რის გამოც, მოსკოვი-თბილისის მიმართულებით ივნისი-ივლისის ბილეთები წინასწარ გაიყიდა. საქართველოში ჩამოსულ რუს ტურისტებს ადგილზეც პრობლემები ექმნებათ, რადგან უკან დასაბრუნებელი ბილეთები აგვისტომდე წინასწარ გაყიდულია. „ვერსიის“ კითხვაზე, ამ მიმართულებით როგორ უნდა მოგვარდეს პრობლემა? გიორგი სიგუას ამგვარი პასუხი აქვს: **„საქართველოს მიმართულებით ბილეთები საკმაოდ ძვირია. მაგალითად, რუსი ტურისტი თბილისში ჩამოსასვლელად 500 დოლარს იხდის, როცა თითქმის იგივე ფასად სხვა ქვეყნებში მთლიანი ტურის ყიდვაა შესაძლებელი. ხშირად მესიზმრება, რომ საქართველოში იაფი ავიახაზები დაფრინავს... იმედი მაქვს, მალე ცხადშიც ასე იქნება. მიმაჩნია, რომ ბილეთებზე ფასის დასაწევად მთავრობამ უნდა იზრუნოს, თუმცა ეს იმას არ ნიშნავს, ავიაკომპანიებზე კონტროლი განვახორციელოთ. დიახ, საქართველოში რუსი ტურისტები აქტიურად შემოდიან. წელს რუსეთიდან 700 ათასამდე სტუმარს ველოდებით. რაც შეეხება ბილეთებთან დაკავშირებით შექმნილ პრობლემას, კერძო საქმიანობაში ვერ ჩავერევით, თუმცა ყველა ტურისტს ვურჩევ, საქართველოში აგვისტოს ბოლომდე დარჩეს. სექტემბრიდან კი ბილეთების შეძენაც გამარტივდება“.**

სკანდალი მათემატიკის ინსტიტუტში

მაია მიშელაძე
593-51-90-12

საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის ნიკო მუსხელიშვილის სახელობის გამოთვლითი მათემატიკის ინსტიტუტის თანამშრომლებმა მთავარ პროკურატურას, იუსტიციისა და განათლების სამინისტროებს, ასევე პარლამენტს განცხადებით მიმართეს, რომ მათი კუთვნილი შენობა, რომელიც ნაციონალური მოძრაობის მმართველობის დროს უკანონოდ გაიყიდა, ინსტიტუტის საკუთრებაში დაბრუნდეს. ინსტიტუტის კუთვნილი შენობა, რომელიც სპორტის სასახლის უკან, აკურის ქუჩაზე მდებარეობს, 2012 წლის 5 სექტემბერს, ეკონომიკის სამინისტრომ, პრემიერ ვანო მერაბიშვილის რეზოლუციის საფუძველზე, პირდაპირი მიყიდვის წესით, კომპანია „ახალ თბილისს“, რომელსაც ახლა „ნიუ თბილისი“ ჰქვია, საბაზრო ღირებულებაზე ბევრად ნაკლებ ფასად დაუთმო. არაოფიციალური ინფორმაციით, „ნიუ თბილისის“ უკან ბიზნესმენი დავით კოდუა მოიაზრება. „ვერსიას“ ნიკო მუსხელიშვილის სახელობის გამოთვლითი მათემატიკის ინსტიტუტის დირექტორი ვახტანგ კვარაცხელია ესაუბრება.



KA020138500765212

საქართველოს
ეკონომიკისა და მდგრადი
განვითარების სამინისტრო

MINISTRY OF ECONOMY
AND SUSTAINABLE
DEVELOPMENT OF GEORGIA

0108 თბილისი, ჩიტაურის ქ. N12
12, G. Chanturia str., 0108 Tbilisi, Georgia

Tel.: (+995 32) 2 99 11 05; 2 99 31 11
Fax: (+995 32) 2 921534

№ 06/18488

29 / აგვისტო / 2012 წ.

საქართველოს პრემიერ-მინისტრს
ბატონ ივანე მერაბიშვილს

№ 1769
29. 08. 2012
თბილისი

ბატონო ივანე,

მოგახსენებთ, რომ საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტროში შემოსულია „შპს "სახელმწიფო მომსახურების ბიურო"-ს 2012 წლის 21 აგვისტოს №0726 და სსიპ "საწარმოთა მარეგის სააგენტო"-ს 2012 წლის 21 აგვისტოს №33/2451 წერილები, რომლითაც, დასმულია საკითხი შპს "სახელმწიფო მომსახურების ბიურო"-ს კაპიტალში რიცხული ქ. თბილისში, აკურის ქ. №8-ში არსებული **7604** კვ.მ. არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთის და მასზე განთავსებული 7 ერთეული შენობა-ნაგებობის და №7 და №9 ლიციონის კონსტრუქციის (მიწის (უძრავი ქონების) საკადასტრო კოდი №**01.10.13.033.100**) საჯარო და ელექტრონული აუქციონის მოწყობის გარეშე, პირდაპირი მიყიდვის ფორმით **1770000** (ერთი მილიონ შვიდასსამოცდაათი ათასი) აშშ დოლარის ექვივალენტ ლარად (დღგ-ს ჩათვლით) შპს „ახალ თბილისზე" მიყიდვის თაობაზე. შემდეგი პირობებით:

1. საპრივატიზებო თანხის გადახდა შესაბამისი ხელშეკრულების გაფორმებიდან 3 (სამი) თვის განმავლობაში, შემდეგი გრაფიკის მიხედვით:
   1.1 შესაბამისი ხელშეკრულების გაფორმებიდან 15 დღის განმავლობაში 590 000 აშშ დოლარის ექვივალენტი ლარის გადახდა.
   1.2 2012 წლის 30 ოქტომბრამდე 590 000 აშშ დოლარის ექვივალენტი ლარის გადახდა.
   1.3 2012 წლის 30 ნოემბრამდე 590 000 აშშ დოლარის ექვივალენტი ლარის გადახდა.
2. გადასაცემ მიწის ნაკვეთზე ბიზნეს ცენტრისა და სასტუმროს მშენებლობა და მათი დასრულება შესაბამისი ხელშეკრულების გაფორმებიდან 2 (ორი) წლის განმავლობაში.
3. ამ წერილის მე-2 პუნქტით გათვალისწინებული საპრივატიზებო პირობის შესრულების მიზნით არანაკლებ 2 000 000 (ორი მილიონი) აშშ დოლარის ექვივალენტის ეროვნულ ვალუტაში ინვესტიციის განხორციელება.
4. შპს "ახალი თბილისი" ვალდებულია უზრუნველყოს შესაბამისი ხელშეკრულების გაფორმებამდე პირველი, მე-2 და მე-3 პუნქტებით ნაკისრი ვალდებულების შესრულების უზრუნველსაყოფად განსახორციელებელი ინვესტიციის არანაკლებ 10%-ის ოდენობის უპირობო და გამოუშვმობი საბანკო გარანტიის წარმოდგენა, რომლის ვადაც საინვესტიციო ვალდებულების შესრულების ვადას უნდა აღემატებოდეს არანაკლებ ორი თვით.

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, გთხოვთ, თქვენს თანხმობას შპს "სახელმწიფო მომსახურების ბიურო"-ს მიერ მის კაპიტალში რიცხული უძრავი ქონების გაყიდვასთან დაკავშირებით.

პატივისცემით,

მინისტრის მოადგილე — დავითი გოლგაძე



საქართველოს პრემიერ-მინისტრი

ქალბატონ ვერა ქობალიას

გავეცანი

ივანე მერაბიშვილი

№ 1769
29.08.2012წ.

ინფორმაციით, კომპანიის უკან დავით კოდუას ინტერესები მოიაზრებოდა. „ტიფლის დეველოპმენტმა“ ამ შენობაში საცხოვრებელი სახლი და ბიზნესცენტრი განათავსა: **„ჩვენი შენობის ნაწილი გაიყიდა, მაგრამ ხელისუფლება დროებით შეგვეშვა. წინა ხელისუფლების დროს, თსუ-ს რექტორმა გია ხუბუამ შემომთავაზა, რომ ჩვენი ინსტიტუტი უნივერსიტეტს შეერთებოდა. ინსტიტუტის თანამშრომლებს უნივერსიტეტის კულტი კი გვაქვს, ძირითადად, უნივერსიტეტელები ვართ, მაგრამ ხუბუასთან ურთიერთობა არ გვინდოდა, რადგან თავის დროზე, მან უნივერსიტეტის პროფესორ-მასწავლებლებს პოლიცია დააყენა თავზე. შეთავაზებაზე უარი ვთქვით. 2010 წელს, სხვა გამოსავალი აღარ გვქონდა, რადგან ბიუჯეტიდან დაფინანსებას ვეღარ მივიღებდით და გადავწყვიტეთ, თუ რომელიმე ინსტიტუტს უნდა შევერთებოდით, ისევ ტექნიკური უნივერსიტეტის შემადგენლობაში ყოფნა სჯობდა. სამწუხაროდ, სახელმწიფოს დაფინანსების გარეშე ინსტიტუტი ვერ იარსებებს. ერთადერთი გამოსავალი იყო, გამოთვლითი მათემატიკის ინსტიტუტს, ტექნიკური უნივერსიტეტის შემადგენლობაში გაეგრძელებინა ფუნქციონირება, რაც რექტორის, არჩილ ფრანგიშვილის პიროვნულმა ფაქტორმაც განაპირობა. შესაბამისად, 2011 წლის 1 იანვრიდან, ტექნიკური უნივერსიტეტის შემადგენლობაში ვართ“.**

კვარაცხელიას თქმით, არჩილ ფრანგიშვილმა, 2011 წლის 14 თებერვალს, ეკონომიკის სამინისტროს თხოვნით მიმართა, რათა სამინისტროს ბალანსზე მყოფი ინსტიტუტის კუთვნილი შენობა ტექნიკურ უნივერსიტეტს გადასცემოდა. სამინისტრომ მოთხოვნა დააკმაყოფილა, მაგრამ 2012 წლის მარტში, ხელისუფლებამ გადაწყვიტა, სსიპ-ები, არაკომერციულ არასამეწარმეო იურიდიულ პირებად (ააიპ) გარდაექმნა:

დასასრული მე-6 გვერდზე

საპროტესტო აქციების ტალღა „მოროდიორი, თაღლითი და აფერისტი“ ვანო ჩხარტიშვილის წინააღმდეგ

რუსუდან შელია
557-100-768

„მოროდიორების ადგილი ციხეშია“, „ვანო ჩხარტიშვილი ვაზელინია, რომელიც ყველა ხელისუფლებას მოერგო“, „ვანოს ადგილი ვანოს გვერდითაა“, „დააბრუნე ბადრი პატარკაციშვილის ოჯახისთვის მოპარული ქონება“, — ამ შინაარსის ლოზუნგებით, 19 ივნისს, ბიზნესმენთა ფედერაციის ყოფილ ოფისთან, ვანო ჩხარტიშვილის წინააღმდეგ აქცია გაიმართა. საპროტესტო აქცია, რომლის ძირითადი პათოსი ჩხარტიშვილის მიერ უკანონოდ მითვისებული ქონების დაბრუნება იყო, მელორ ვაჩნაძის ინიციატივით დაიგეგმა და მას მეანაბრეებიც შეუერთდნენ: **„ვანო ჩხარტიშვილი საქართველოს სირცხვილია, ის 90-იან წლებამდეც საბჭოთა ახალგაზრდული გაერთიანების დირექტორი იყო. დიახ, სწორედ კომუნისტმა ჩხარტიშვილმა სრულიად საქართველო გაძარცვა და ეს ისე მოახერხა, რომ ყველა ხელისუფლებას მოერგო, ამიტომ ვანო ჩხარტიშვილის მეტსახელი ვაზელინია, რომლის ადგილი დღეს საქართველოში აღარ არის. მხოლოდ ადეიშვილი, მერაბიშვილი და კეზერაშვილი არ არიან დამნაშავეები. არავის უნდა ჰქონდეს ილუზია, რომ ხელისუფლების შეცვლის შემდეგ ჩადენილი დანაშაულის გათეთრებას ფულით შეძლებს. ნამდვილად არ მინდა, ქვეყანას ისეთი ხელისუფლება ჰყავდეს, რომელიც ვანო ჩხარტიშვილს ბიზნესების გათეთრების საშუალებას მისცემს. მოვითხოვთ, ჩხარტიშვილის დაპატიმრებასა და მის წინააღმდეგ სისხლის სამართლის საქმის აღძვრას. რამდენიმე დღეში დოკუმენტებს გამოვაქვეყნებთ, თუ რა გზებით ართმევდა ვანო ჩხარტიშვილი მოქალაქეებს სახლებსა და ბიზნესებს. ასე მოხდა ბადრი პატარკაციშვილის შემთხვევაშიც. ჩხარტიშვილმა გაჭირვების ჟამს მეგობარ ბადრი პატარკაციშვილს წიხლი ჰკრა და პატარკაციშვილის ოჯახის მიერ დროებით სამართავად ჩაბარებული ქონება უკანონოდ მიისაკუთრა. დიახ, ვანო ჩხარტიშვილი აფერისტი და თაღლითია, რომელიც 20 წლის განმავლობაში ქართველებს ძარცვავდა. მასთან შეხვედრასაც ვითხოვთ, თუმცა ალბათ ჩვენთან საუბარს ვერ გაბედავს. მან ბიზნესმენთა ფედერაციის შენობაც, სადაც აქციას ვმართავთ, უკანონოდ მიითვისა“.**


ბაჯის შენობაც
ეროვნული
ბანკი
ეროვნული
ბანკი
ბანკი
ეროვნული
ბანკი
ეროვნული
ბანკი
ეროვნული

„ამ სისტემურ დანაშაულში, ბრალი ხელისუფლებას მიუძღვის!“

რატომ ამბობს უარს საკონსტიტუციო კომისიის თავმჯდომარეობაზე და „ვერსიის“ რა კითხვები აღიზიანებს ვახტანგ ხმალაძეს

ნინო კომახიძე
599-95-33-16

საკანონმდებლო უფლებამოსილების ეშხში შესული პარლამენტი საკონსტიტუციო ცვლილებას ცვლილებაზე იღებს და როგორც არაერთი გამოცდილი იურისტი აღნიშნავს, ამას ისე აკეთებს, უკან არ იყურება. ზოგიერთ ცვლილებას ჩიხში თავად პარლამენტი შეჰყავს, ზოგს — მთავრობა, ერთ-ერთ მათგანს კი — მთელი ქვეყანა! სამწუხაროდ, არც ის საკონსტიტუციო კომისია ჩანს ჰორიზონტზე, რომელიც ოქტომბრის მერე „დღე-დღეზე“ იქმნება და რომელმაც ცვლილებათა პაკეტი, ხალხთან შეთანხმებით უნდა შეიმუშაოს. კიდევ უფრო სამწუხარო ისაა, რომ ყველა კითხვა თუ განსხვავებული მოსაზრება კანონმდებლების აგრესიას იწვევს.

პარლამენტის იურიდიულ საკითხთა კომიტეტის „რეს-პუბლიკელი“ თავმჯდომარე, **ვახტანგ ხმალაძე** მედიას მიმდინარე პოლიტიკურ თემებზე ესაუბრა. პირველი, რაზეც ხმალაძემ ვრცელი განმარტება გააკეთა, სამეგრელოში აღმოჩენილი იარაღის, ნარკოტიკისა და ვიდეოფირების საქმეა: **„არსებობს იმის საკმაოდ საფუძვლიანი ვარაუდი, რომ ეს დანაშაული სისტემური პრობლემა იყო და რეჟიმის მოქმედების წესიდან გამომდინარეობდა, თუმცა ამას ჯერ კიდევ დამტკიცება სჭირდება. რეჟიმის მოქმედების წესი სრულად უნდა შეისწავლონ. თუ ასეთი სამალავები ხელისუფლების მიერ იყო შექმნილი, ცხადია, ეს იყო უკანონო მოქმედება. უნდა დადგინდეს, რა მიზნით იქმნებოდა, ვინ ქმნიდა... თეორიულად, ახლა თქვენც და მეც შეგვიძლია წავიდეთ, სამალავი გავაკეთოთ და იარაღი ჩავყაროთ. ამ შემთხვევაში, ჩვენ დამნაშავეები ვიქნებით და კანონი დაგვსჯის. თუ ამას აკეთებს ხელისუფლების ცალკეული წარმომადგენელი, არასისტემურად, ისიც დამნაშავე იქნება და მას თავად სისტემა დასჯის, მაგრამ თუ ეს კეთდება სისტემურად და ამას ქმნის რეჟიმი — ეს სისტემური დანაშაულია, რაშიც დამნაშავეა მთელი ხელისუფლება და არა ცალკეული თანამდებობის პირი!“**

ხმალაძე ვენეციის კომისიის მიერ რამდენიმე დღის წინ დადებულ დასკვნას გამოეხმაურა, „ოცნების“ მიერ დაანონსებული კომისიის შექმნაზე, რომელმაც სასამართლოს განაჩენებს უნდა გადახედოს და შეეცადა, პოპულარულ ენაზე აეხსნა, რა გავლენა ექნება კომისიას, რომელიც, სავარაუდოდ, მომავალი წლიდან ამოქმედდება: **„პირადად არ ვმონაწილეობ მართლმსაჯულების ხარვეზების დამდგენი კომისიის შექმნაში. ველი პროექტის შემოსვლას პარლამენტში. კანონ-პროექტი, რომელიც მზადდება, არ ითვალისწინებს კომისიის მიერ სასამართლოს გადაწყვეტილებების გადასინჯვასა და ახალი გადაწყვეტილებების გამოტანას — ანუ ეს კომისია ვერ გააუქმებს ძველს და არ მიიღებს ახალ გადაწყვეტილებებს! კომისიამ მხოლოდ ის უნდა დაადგინოს, იყო თუ არა დარღვევები თავად სასამართლოს მიერ გადაწყვეტილებების მიღების პროცესში და გამოკვეთოს ახალი გარემოებები, რომელთა გათვალისწინების შემთხვევაში, შესაძლოა, სასამართლოს სხვა გადაწყვეტილება მიეღო. კომისია ამას დასკვნაში დაწერს, რომლის საფუძველზეც, სასამართლომ და არა კომისიამ, თავიდან უნდა განიხილოს ეს საქმე. პარალელური სასამართლოების შექმნა რომ არ შეიძლება, კარგად ვიცით და ამის გაკეთებას არ ვაპირებთ“.**

ხმალაძემ „ვერსიის“ კითხვას უპასუხა პარლამენტის მიერ მიღებულ საკონსტიტუციო ცვლილებათა მთელ პაკეტზე და ისე დაგვემშვიდობა, რამდენიმე კითხვის დასმა ვეღარც მოვახერხეთ:

— საკონსტიტუციო ცვლილებებზე საუბრისას, ბევრს მხედველობიდან ერთი რამ გამორჩა: ჩანაწერის მიხედვით, 2010 წელს ნაციონალების მიერ მიღებული ცვლილებების პაკეტი, პრეზიდენტის არჩევნების მერე უნდა ამოქმედდეს — 2013 წლის ოქტომბრის მორიგი საპრეზიდენტო არჩევნების შედეგად არჩეული პრეზიდენტის ფიცის დადების მომენტიდან. ანუ, ეს ცვლილებები მხოლოდ იმ შემთხვევაში ამოქმედდებოდა, თუ არჩევნები 2013 წელს, ოქტომბერში გაიმართებოდა, თანაც იქნებოდა მორიგი და არა რიგგარეშე. თუ 2013 წლის ოქტომბრამდე პრეზიდენტი თანამდებობიდან რაიმე მიზეზით გადადგა, ვერც ერთი ეს ცვლილება ვეღარ ამოქმედდება. ამიტომ ცვლილებების პაკეტში ერთ-ერთი პუნქტი ისაა, რომ ამ ფორმულიდან ვიღებთ ორ სიტყვას — „ოქტრომბრის“ და „მორიგი“. ეს ცვლილებები ამოქმედდება 2013 წლის საპრეზიდენტო არჩევნების შემდეგ, იქნება ეს არჩევნები მორიგი თუ არა და ჩატარდება თუ არა ოქტომბერში.

— ანუ პრეზიდენტის გადადგომისგან თავი დაიზღვიეთ?

— კი, ეს, გარკვეულწილად, თავის დაზღვევაცაა. არა მგონია, პრეზიდენტი თანამდებობიდან ვადამდე წავიდეს, არც ჩვენ ვაპირებთ იმპიჩმენტის გამოცხადებას. ვადამდე მისი წასვლის ალბათობა ძალიან დაბალია, მაგრამ არაა ნულის ტოლი! მეორე ცვლილება, რომელიც ოქტომბრის შემდეგ უნდა ამოქმედდეს, 81 პრიმა მუხლია. ამ ნორმის მიხედვით, **მთავრობას შესაძლებლობა აქვს, პარლამენტს ხელები „გადაუგრიხოს“ და ისეთი კანონი მიაღებინოს, რაც პარლამენტს არ სურს. თანაც, ცვლილების გარეშე. თუ პარლამენტი უარს იტყვის კანონის მიღებაზე, მაშინ იგი დათხოვნის საფრთხის წინაშე დადგება — მან 60%-იანი უმრავლესობით უნდა შექმნას ახალი მთავრობა. თუ ვერ შექმნის, ეს კანონიც მიღებულად ჩაითვლება და პრეზიდენტი პარლამენტს დაითხოვს!**

ახლა ქართულ ოცნებას არ აქვს 60%-იანი უმრავლესობა. 60% 90 ხმაა. „ოცნებას“ პარლამენტში 86 ხმა აქვს და ყველანი, ერთ პოზიციაზეც რომ დავდგეთ, უმრავლესობაში არმყოფი 4 წევრის ხმა დაგვჭირდება. წარმოგიდგენიათ, კოალიციური უმრავლესობა ერთ მთავრობაზე შეთანხმდეს?! ანუ პარლამენტი დილემის წინაშე დგება — იყოს დამჯერი, უპრინციპო ბავშვი მთავრობის ხელში და ყველაფერი უმტკიცოს რაც მოუნდება, თუ პრინციპული პოზიციის გამო დაითხოვონ?!

— რა ფორმით დარჩება ეს მუხლი კანონში?

— არანაირი ფორმით — მას საერთოდ გავაუქმებთ! სამაგიეროდ, დავტოვებთ მუხლს, რომელიც გაუქმდება პრეზიდენტის არჩევნების შემდეგ: მას მერე, რაც მთავრობა მიიღებს პარლამენტის ნდობას, პრეზიდენტსა და პრემიერს უფლება აქვთ, რამდენიმე მინისტრი შეცვალონ, 1/3-ის შეცვლის შემთხვევაში კი, პარლამენტში უნდა მობრძანდნენ და მთავრობის ნდობის საკითხი ხელახლა დააყენონ. ეს ნორმა ოქტომბრიდან უქმდება!

— ახლა უკვე თავს პრემიერისგანაც იზღვევთ?

— თავს ვიზღვევთ გაუაზრებელი, არასწორი მოქმედებისგან! ვცდილობთ, ხელისუფლების შტოთა უფლებამოსილებები გავაწონასწოროთ, თუმცა ჯერ კიდევ არაერთი ცვლილებაა კონსტიტუციაში შესატანი. ეს დინჯად უნდა გავაკეთოთ. \

— კიდევ ერთ საკონსტიტუციო ცვლილებაზე გკითხავთ: ორმაგ მოქალაქეს შეუძლია პრეზიდენტი, პრემიერი და პარლამენტის თავმჯდომარე გახდეს. კონსტიტუციურ ჩიხში ხომ არ შედიხართ — მას არ ექნება წვდომა სახელმწიფო საიდუმლოებებთან, უშიშროების საბჭოში არსებულ ინფორმაციასთან.... ამის შესახებ ვრცლად იურისტმა ლევან ალაფიშვილმაც ისაუბრა...

— ასე არ არის! ლევან ალაფიშვილმა სპეკულაციებს თავი დაანებოს. ალაფიშვილმა იმ 140 კანონს მიხედოს, რომელშიც ცვლილებაა შესატანი, მას მერე, რაც ეს კონსტიტუციური ცვლილებები შემოდგომიდან ამოქმედდება. იგი კონტროლის პალატის მაღალი რანგის თანამშრომელი იყო და მაშინ მიექცია ყურაღება, რომ არც ერთი საკანონმდებლო ცვლილებისთვის შესაბამისი კანონპროექტი მომზადებული არ არის!

— აქ მთავარია, კანონში წერია თუ არა ასე — აქვს თუ არა ეს უფლებები ორმაგ მოქალაქეს?

— რა?! სად წერია?! მე ნამდვილად არ მახსოვს, ეს წერია თუ არა, მაგრამ თუ ეს ასე წერია, მაშინ ჩაიწერება სხვაგვარად!

— საკონსტიტუციო კომისია როდის შეიქმნება?

— ეს პარლამენტზეა დამოკიდებული!

— კი მაგრამ, თქვენ არ მოიაზრებით კომისიის თავმჯდომარედ?

— არა, ბატონო! მე არ მინდა, არ მცალია! არ მაქვს დრო, ბევრი სამუშაო მაქვს!

სკანდალი მათემატიკის ინსტიტუტში

მე-5 გვერდიდან

„ცვლილების მიხედვით, ქონება, რომელსაც ვფლობდით, ისევ სახელმწიფოს საკუთრებაში გადავიდა. ჩანს, სხვაგვარად დაინტერესებული პირები ჩვენს კუთვნილ შენობას ხელში ვერ ჩაიგდებდნენ. ეს იყო მიზეზი, რის გამოც, 2011 წლის მარტში, ჩვენს ინსტიტუტს სტატუსი შეუცვალეს. იმავე წლის ივნის-ივლისში, სხვა ინსტიტუტებსაც (დაახლოებით, 13 სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტი) შეუცვალეს სტატუსი, მაგრამ ტექნიკურ უნივერსიტეტს ყველა შენობა სიმბოლურ ფასად, 1 ლარად დაუბრუნეს. ჩვენი შენობა კი კვლავ ეკონომიკის სამინისტროს ბალანსზე გადავიდა. სხვათა შორის, განათლების მაშინდელი მინისტრი, დიმიტრი შაშკინი ერთადერთი ადამიანი იყო, რომელიც ნაცმოძრაობის მაღალჩინოსნებს ეწინააღმდეგებოდა და ჩვენი ინსტიტუტის კუთვნილი შენობის გაყიდვის ნებართვა არავის მისცა. როგორც კი შაშკინი თავდაცვის სამინისტროში გადაიყვანეს, მაშინდელი ხელისუფლების მაღალჩინოსნებმა თავისი მზაკვრული გეგმა განახორციელეს. 2011 წლის 20 აგვისტოს, იმის გამო, რომ ჩვენი შენობა გაეყიდათ, ეკონომიკის სამინისტროს ბალანსიდან, გამოთვლითი მათემატიკის ინსტიტუტი შპს „სახელმწიფო მომსახურების ბიუროს“ ბალანსზე გადაიყვანეს. ესაა შპს, რომელმაც ქუთაისის პარლამენტის შენობა ააშენა, მაგრამ რაც იმ პერიოდში, ეკონომიკის სამინისტროს ბინძური გაყიდვა ჰქონდა დაგეგმილი, ყველაფერი ამ შპს-ს საშუალებით განახორციელა. არადა, შპს „სახელმწიფო მომსახურების ბიუროს 100%-იან წილს სახელმწიფო ფლობს“.

ვახტანგ კვარაცხელიას თქმით, ვიდრე გამოთვლითი მათემატიკის ინსტიტუტის შენობა ეკონომიკის სამინისტროს ბალანსიდან, შპს-ს ბალანსზე გადავიდოდა, ხელისუფლებამ, ამ შემთხვევაში კი სამინისტრომ, გორის მუნიციპალიტეტის აუდიტორული კომპანია „გეოპროპერთი“ დაიქირავა. არადა, კანონის მიხედვით, თბილისში მდებარე შენობა და მიწის ნაკვეთი, თბილისის მუნიციპალიტეტმა უნდა შეაფასოს. ასეა თუ ისე, გამოთვლითი მათემატიკის ინსტიტუტის შენობა-ნაგებობები (7 500 კვ. მეტრი) და მიწის ნაკვეთი — 7 600 კვ. მეტრი, გორის აუდიტორულმა კომპანიამ საბაზრო ღირებულებაზე ბევრად ნაკლებ ფასად, 3 700 000 ლარად შეაფასა. გამოთვლითი მათემატიკის ინსტიტუტის დირექტორი და მეცნიერ-თანამშრომლები ეჭვობენ, რომ კომპანიამ გორის ფასები მიუთითა და არა თბილისის: **„აუდიტორულმა კომპანიამ ჩალის ფასად შეაფასა მიწა და მასზე განთავსებული შენობა-ნაგებობები, მაგრამ ჩვენი ინსტიტუტი ქალაქის ცენტრში მდებარეობს და მისი რეალური ღირებულება 3 700 000 ლარს, ათჯერ აღემატება. ამის შემდეგ, ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების მინისტრის მოადგილემ, დავით გიორგაძემ მაშინდელ პრემიერ ვანო მერაბიშვილს, 2012 წლის 29 აგვისტოს მიმართა. დავით გიორგაძემ ვანო მერაბიშვილს სთხოვა, შენობა აუქციონის გარეშე გაეყიდა. მერაბიშვილმა საინტერესო პასუხი გასცა, ერთადერთი სიტყვა დაწერა — „გავეცანი“. ჩანს, მაშინდელ ბიუროკრატიულ ელიტაში, სიტყვა „გავეცანი“ ნიშნავდა, თანახმა ვარ, შენობა გაყიდეთო. რაც მთავარია, ვანო მერაბიშვილი იმავე დღეს, 29 აგვისტოს გაეცნო ეკონომიკის მინისტრის მოადგილის მიმართვას. როგორ, პრემიერ-მინისტრს სხვა საქმე არ ჰქონდა? იჯდა და დავით გიორგაძის მიმართვას ელოდებოდა? ასე იყო თუ ისე, 2012 წლის 5 სექტემბერს, ნასყიდობის ხელშეკრულება გაფორმდა, სადაც წერია, რომ პირდაპირი მიყიდვა პრემიერ ვანო მერაბიშვილის 29 აგვისტოს რეზოლუციის საფუძველზე განხორციელდა. ჩვენი კუთვნილი შენობა კი იყიდა კომპანიამ „ახალი თბილისი“, ახლა სახელი შეიცვალა და „ნიუ თბილისი“ ჰქვია, რომელსაც ვინმე გოჩა ჯაიანი ხელმძღვანელობს“.**

როგორც ვახტანგ კვარაცხელია გვიამბობს, „ნიუ თბილისის“ წარმომადგენლები, გამოთვლითი მათემატიკის ინსტიტუტის დირექტორთან 2012 წლის ოქტომბრის მეორე ნახევარში გამოცხადდნენ და შენობის დაცლა მოითხოვეს. თუმცა უნდა აღინიშნოს, რომ მაშინ გოჩა ჯაიანის ნაცვლად, „ტიფლის დეველოპმენტის“ დირექტორი, გიორგი ზაქაიძე აქტიურობდა. გავრცელებული ინფორმაციით, „ტიფლის დეველოპმენტის“ დამფუძნებელი ყაზახეთის მოქალაქე, ბიზნესმენი ჯახუტაშვილია, რომლის სიძეა გიორგი ზაქაიძე. ვახტანგ კვარაცხელიამ არ იცის, რა კავშირია ინსტიტუტის მფლობელ კომპანია „ნიუ თბილისსა“ და „ტიფლის დეველოპმენტს“ შორის, მაგრამ ფაქტია, რომ „ნიუ თბილისის“ ოფისი, სწორედ „ტიფლის დეველოპმენტის“ ბიზნესცენტრშია განთავსებული: **„ჩვენი შენობით ჯერ კიდევ 2005 წელს დაინტერესდნენ და მისი ნაწილი „ტიფლის დეველოპმენტზე“ ამიტომაც გაიყიდა. დაზუსტებით შემიძლია გითხრათ, რომ „ნიუ თბილისი“, 2 000 000 აშშ დოლარის ინვესტიციით, ჩვენს შენობაში სასტუმროსა და ბიზნესცენტრის აშენებას გეგმავდა. ეკონომიკის სამინისტრომ კი პირდაპირი მიყიდვის წესი იმიტომ გამოიყენა, მაქსიმალურად დაბალ ფასად გაეყიდა. რეალურად, ასეც მოხდა, რადგან 3 700 000 ლარად შეფასებული ქონება, 1 770 000 აშშ დოლარად გაყიდეს, მაშინდელი კურსით, 800 000 ლარით ნაკლებად. ნასყიდობის ხელშეკრულებაში გაწერილია გადახდის გრაფიკი, მაგრამ „ნიუ თბილისს“ მხოლოდ პირველადი შესატანი, ანუ თანხის მესამედი აქვს გადახდილი. მიუხედავად ამისა, საჯარო რეესტრმა მაინც გადაუფორმა ჩვენი შენობა და „ნიუ თბილისი“ ოფიციალურ მფლობელად გამოაცხადა. კომპანიას მთლიანი თანხა სამი თვის ვადაში უნდა დაეფარა, მაგრამ ეს თანხა არ გადაუხდია. არადა, თუ მყიდველი, ნასყიდობის ხელშეკრულებაში მითითებულ ვადებში არ გადაიხდის თანხას, ხელშეკრულება უქმდება“.**

ვახტანგ კვარაცხელიამ „ვერსიას“ განუცხადა, რომ ამჟამად საქმე ძიებაშია, გამოძიება კომპლექსურად, შპს „სახელმწიფო მომსახურების ბიუროს“ საქმიანობაზე მიმდინარეობს, რომლის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი ფრაგმენტია გამოთვლითი მათემატიკის ინსტიტუტის საქმე. ინსტიტუტის დირექტორი და მეცნიერ-თანამშრომლები იმედოვნებენ, რომ გამოძიება ობიექტურად წარიმართება და ინსტიტუტის შენობა მის ნამდვილ მფლობელს, ამ შემთხვევაში, ტექნიკურ უნივერსიტეტს დაუბრუნდება.

"ქვეყნის ინტერესი და ჩვენი მიზანი დამოუკიდებელი მართლმსაჯულების მიღწევაა"

ცოტა ხნის წინ მოსამართლეთა კონფერენციამ იუსტიციის უმაღლესი საბჭოს შემადგენლობა და მდივანი აირჩია. 222-ი მოსამართლიდან 205-მა ფარული კენჭისყრით იუსტიციის უმაღლესი საბჭოს მდივნად უზენაესი სასამართლოს მოსამართლე ლევან მურუსიძე აირჩია, რომელთან ინტერვიუსაც ქვემოთ გთავაზობთ.

- ბატონო ლევან, ცოტა ხნის წინ ჩატარდა იუსტიციის უმაღლესი საბჭოს შემადგენლობის არჩევნები, საბჭოს მდივნის პოსტზე მოსამართლეებმა თქვენ აგირჩიეს, რა გეგმები გაქვთ?

- ჩემი გეგმების შესახებ არა ერთხელ განვაცხადე და ახლა კიდევ გავიმეორებ, რომ ჩემს პროგრამაში უმთავრესი ადგილი უკავია ძლიერი, დამოუკიდებელი და სტაბილური სასამართლოს ჩამოყალიბებას. ამ მიზნის მისაღწევად მზად ვარ ვითანამშრომლო ნებისმიერ ადამიანთან, არასამთავრობო ორგანიზაციის წარმომადგენლებთან, მედიასთან, უკიდურესად კრიტიკულად განწყობილ პირთან, ყველასთან, ვისაც მართლმსაჯულების რეფორმა და სტაბილურობა სურს. მოსამართლეთა კონფერენციამ ფარული კენჭისყრის გზით, სრულიად დამოუკიდებლად აირჩია ახალი უმაღლესი საბჭო და ყვლა სიხალე, რაც სისტემის რეფორრებას ისახავს მიზნად საბჭოსთან ერთად უნდა განხორციელდეს. ცვლილებებში საბჭოსთან ერთად მონაწილეობა უნდა მიიღონ თავად მოსამართლეებმაც.

ჩვენი პროგრამის ერთ-ერთი უმთავრესი მიზანია მოსამართლეებს შევუქმნათ საუკეთესო პირობები, რათა მათ არ შეეშალოთ ხელი საქმიანობაში. მოსამართლე ორიენტირებული უნდა იყოს მხოლოდ კონკრეტული საქმის განხილვაზე, მან მხოლოდ გადაწყვეტილებაზე უნდა იფიქროს და არა სხვადასხვა სახის პრობლემებზე. ამიტომაც, ჩვენი უმთავრესი მიზანია, მოსამართლეებს მოვუხსნათ სტრესი, რომელიც მათ მიიღეს და შევუქმნათ ღირსეული პირობები.

ჩვენი მთავარი ამოცანა ახლა მედიასთან აქტიური ურთიერთობა იქნება, ჩვენ გვაქვს ჩვენი პოზიციები, მიზნები და მათ შესახებ საზოგადოებამ დეტალურად უნდა მიიღოს ინფორმაციები.

- განსაკუთრებით ბოლო პერიოდში ძალზე გახშირდა პრეტენზიები სასამართლო სისტემის პოლიტიზირებულობის თაობაზე, სწორედ ამიტომაც დადგა დღის წესრიგში იუსტიციის უმაღლესი საბჭოს რეფორმირების საკითხი, რისთვისაც საკანონმდებლო ცვლილებების მიღებაც გახდა საჭირო. როგორ ფიქრობთ, იუსტიციის საბჭოს ახალი შემადგენლობა გარანტი იქნება იმის, რომ სასამართლო სისტემის დამოუკიდელობის ხარისხი გაიზრდება?

- ამ შეკითხვაზე შემდეგნაირად გიპასუხებთ: ჩემი აზრით, იუსტიციის საბჭოს ძველი შემადგენლობა კანონიერად იყო არჩეული მოსამართლეთა კონფერენციის მიერ და ხელახალი არჩევნების ჩატარება არ იყო აუცილებელი. თუმცა, ეს იყო პოლიტიკური გადაწყვეტილება და მოსამართლეთა კორპუსი დაემორჩილა მას. მოსამართლეთა კონფერენციამ ჩაატარა არჩევნები და მოსამართლეებმა მიიღეს თავისუფალი გადაწყვეტილება, ამ არჩევნებით მათ აჩვენეს, რომ მზად არიან სრული დამოუკიდებლობისთვის.

მოსამართლეთა კორპუსმა მთავრობის მიერ შემოთავაზებული ცვლილებებს მხარი აუბა და თვალს თუ ადევნებდით, ნახავდით როგორ ჩატარდა არჩევნები ხარვეზების გარეშე. ვფიქრობ, რომ სასამართლოს ახლა აქვს უნიკალური შანსი ერთხელ და სამუდამოდ აჩვენოს თავის შესაძლებლობა - გახდეს ძლიერი და დამოუკიდებელი.

- ბატონო ლევან, თქვენ მოსამართლე ხართ და ეს სისტემა თქვენთვის ძალზე კარგად ნაცნობია, მინდა გკითხოთ, საქართველოში სასამართლო სისტემა დამოუკიდებელია?

- რა თქმა უნდა ხარვეზები იყო, მაგრამ არა იმ დოზით, როგორი დარტყმაც მივიღეთ - საშინელი ლანძღვა-გინება დაგვატეხეს თავს. გამოთქმული პრეტენზიების უმრავლესობა რეალობასთან ოდნავაც კი არ დგას ახლოს. მიმაჩნია, რომ ძალზე დიდი შეცდომა დავუშვით, როცა დაუმსახურებელ კრიტიკას და შეურაცხყოფას პასუხი არ გავეცით. ჩვენ დუმილით ვუპასუხეთ დარტყმას და ძალზე შევცდით. თუმცა, როგორც გითხარით, ხარვეზები არსებობდა და ამას ვერ უარყოფ. მაგალითად, არსებობდა კანონმდებლობასთან დაკავშირებული პრობლემები. მაგალითად, თუ საქმე უხარისხოდ იქნებოდა გამოძიებული მოსამართლეს მისი ხელახალ ძიებაში დაბრუნების უფლება არ გააჩნდა; თუ საპროცესო შეთანხმება არ იდებოდა, მოსამართლეს არ ჰქონდა უფლება სასჯელის დანიშვნისას შეღავათი გაეწია... მთელი რიგი საკანონმდებლო ნორმები არსებობდა, რომლებიც მოსამართლეს ზღუდავდა. უნდა გავითვალისწინოთ ისიც, რომ დიდი იყო საქმეების რაოდენობაც, ერთ მოსამართლეს 300-400 საქმე ეწერა, არ არსებობდა პირობები - ერთ ოთახში სამი მოსამართლე საქმიანობდა, მოუწესრიგებელი იყო ინფრასტრუქტურა, ამას ემატებოდა დაბალი ხარისხის გამოძიება, მოუწესრიგებელი კანონმდებლობა და ეს ყველაფერი ქმნიდა უხარისხო მართლმსაჯულებას. ანუ, ობიექტური პირობები განაპირობებდა, გადაწყვეტილების უხარისხობას, თუმცა, ეს არ ნიშნავდა იმას, რომ მოსამართლე იყო მიკერძოებული.

2013 წლის გაზაფხულზე რეფორმის რვა წელი გახდა, ამ ხნის მანძილზე უზარმაზარი სამუშაოები ჩატარდა და თამამად შემიძლია თქმა, სასამართლო სისტემა, რომელიც არ არსებობდა თავიდან შევქმენით. გაიხსენეთ, რა ხდებოდა სასამართლოში 2000-2005 წლებში და მანამდე და შეადარეთ დღევანდელ სიტუაციას - ამჟამინდელი მდგომარეობა რადიკალურად განსხვავებულია. ყველაზე კრიტიკულად განწყობილი ადამიანიც კი ვერ უარყოფს იმ შედეგს, რასაც რვა წლის თავზე მივაღწიეთ.

- სასამართლო სისტემის სახეს მოსამართლის მიერ მიღებული გადაწყვეტილების ხარისხი განსაზღვრავს, არადა, კრიტიკის ობიექტი მუდმივად იყო მოსამართლეთა დაბალი კვალიფიკაცია...

- ვერ დაგეთანხმებით, ჩვენ ძალიან მაგარი მოსამართლეთა კორპუსი გვყავს - ღირსეულები, პროფესიონალები, კვალიფიციურები. შესაძლოა, რაღაც გარკვეული ხარვეზი არსებობდა კონკრეტულ საქმესთან დაკავშირებით, მაგრამ ეს არ ნიშნავს იმას, რომ მოსამართლეს კვალიფიკაცია აკლია. მოსამართლეთა კვალიფიკაციასთან დაკავშირებით პრეტენზიას გამოთქვამს ხოლმე მხარე, რომელმაც წააგო საქმე.

სასამართლო სისტემისთვის კ პრიორიტეტული იყო მოსამართლეთა კვალიფიკაციის ამაღლებაზე ზრუნვა და ეს პროცესი კვლავ გგრძელდება. გვაქვს მოსამართლეთა გადამზადების, დანიშვნისა და მომზადების საკმაოდ გამართული სისტემები, რომელთა შესახებაც უცხოელი ექსპერტები დადებით შეფასებებს გამოთქვამენ. აღიარებენ, რომ კანდიდატ და მოქმედ მოსამართლეთა გადამზადების სისტემა საქართველოში ევროპაში ერთ-ერთი საუკეთესოა.

მოსამართლის კვალიფიკაცის ყოველდღიურად უნდა იზრდებოდეს, სხვანაირად ის ვერ იქნება პროფესიონალი. მოსამართლის გადაწყვეტილება იმდენად დასაბუთებული უნდა იყოს, რომ მას ნაკლი ვერავინ მოუძებნოს. როცა მოსამართლე პროფესიონალია, აქვს მაღალი კვალიფიკაცია, მის მიერ გამოტანილი გადაწყვეტილება უმაღლესი ხარისხის იქნება და პრეტენზიებიც უსაფუძვლო. ამიტომაც, როგორც გითხარით, კვლავ აქტიურად ვიმუშავებთ ამ მიმართულებით. ეს ძალზე მნიშვნელოვანი დეტალი სასამართლოს გამართულად მუშაობას განაპირობებს.

- აქტუალურია მოსამართლეთა უვადოდ დანიშვნაც, რას ფიქრობთ ამ საკითხზე, რას შეცვლის ის სასამართლო სისტემაში?

- მოსამართლეთა უვადოდ დანიშვნა მართლმსაჯულების სრული დამოუკიდებლობის გარანტიაა. მოსამართლეთა უვადო დანიშვნა. უვადოდ დანიშნული მოსამართლეს დამოუკიდებლობის, პრინციპულობის და სტაბილურობის უფრო მეტი განცდა აქვს. მოსამართლეს უნდა გაუჩნდეს განცდა, რომ ხელისიფლების ცვლილებასთან ერთად, არ შეიცვლება მათი სამუშაო პირობები, მოსამართლე არ უნდა იყოს დამოკიდებული პოლიტიკურ სიტუაციებზე და გადაწყვეტილების გამოტანისას ის არ უნდა ფიქრობდეს სამსახურის შენარჩუნებაზე თუ სხვა სახის სოციალურ პრობლემებზე. როცა მოსამართლე უვადოდაა დანიშნული, ის მაღალი ხარისხის პროფესიონალია, რომლის მიერ გამოტანილი გადაწყვეტილებაც კვალიფიციურადაა დასაბუთებული, უკვე ძნელია საუბარი მიკერძოებულობასა და დამოუკიდებლობის პრობლემაზე.

- არსებობს მოსაზრება, რომ უვადოდ დაინიშნება მოსამართლეების ახალი ნაკადი და არა დღეს მოქმედი მოსამართლეები...

- ეს მიუღებელია და იუსტიციის უმაღლესი საბჭო მსგავსი გადაწყვეტილების წინააღმდეგი იქნება. როგორც გითხარით, ქვეყნისთვის უმნიშვნელოვანესია და ჩვენი მთავარი მიზანია დამოუკიდებელი მართლმსაჯულების მიღწევა, ჩვენ აბსოლუტურად გახსნილი ვართ ჯანსაღი კრიტიკისთვის, მაგრამ მსგავს ქმედებას ვერ მივიღებთ, რადგან ეს არ იქნება სწორი. მე მიმაჩნია, რომ დღეს სასამართლოში ღირსეული პროფესიონალები არიან, კვალიფიციური იურისტები და ყველა რეფორმა, რომელიც სასამართლოს შეეხება მათთან შეთანხმებით უნდა განხორციელდეს.

მოსამართლეთა კორპუსმა სახე ცოტა ხნის წინ გამართულ მოსამართლეთა კონფერენციაზე აჩვენა, დადასტურა, რომ ღირსეულ პროფესიონალთა გაერთიანებაა. კონფერენციამ იუსტიციის უმაღლესი საბჭოს შემადგენლობა დამოუკიდებლად აირჩია, არჩევნებს თვალს ადევნებდა უამრავი ჟურნალისტი, არასამთავრობო ორგანიზაციების წარმომადგენლები და არა ერთი სხვა დაინტერესებული პირი და არც ერთი უმნიშვნელო ხარვეზიც კი არ გამოვლენილა.

აქვე მინდა, ჩემს კოლეგებს ვუთხრა - მათ უდიდესი ნდობა გამომიცხადეს და ვპირდები, რომ ამ ნდობას გავამართლებ

სასამართლოს განაჩენი

თბილისის საქალაქო სასამართლომ დაასრულა სისხლის სამართლის საქმის განხილვა ბრალდებულ დავით ხიზანიშვილის მიმართ, კანონიერი ქურდობის, ცეცხლსასროლი იარაღისა და საბრძოლო მასალის მართლსაწინააღმდეგო შეძენა, შენახვა და ტარების, ასევე დიდი ოდენობით ნარკოტიკული ნივთიერების უკანონო-შეძენა შენახვისა და ექიმის დანიშნულების გარეშე პირადი მოხმარების ფაქტებზე.

საქმის მასალების თანახმად, 2012 წლის აგვისტოში დავით ხიზანიშვილი საქართველოს ფარგლებს გარეთ მყოფი "კანონიერი ქურდების" მიერ აღიარებულ იქნა "კანონიერ ქურდად". შემდეგ მან დაიმკვიდრა კრიმინალური ავტორიტეტი, გარკვეულ პირთა წრეში მოიპოვა გავლენა, მათზე დაამყარა კონტროლი და ქურდული სამყაროს წესებით არჩევდა საქმეებს".

ღია სასამართლო სხდომაზე, დ. ხიზანიშვილმა თავი არ ცნო დამნაშავედ.

თბილისის საქალაქო სასამართლომ, საქმეში წარმდგენილ მტკიცებულებათა შეფასების შედეგად, დ. ხიზანიშვილი კანონიერი ქურდობის" ბრალდების ნაწილში უდანაშაულოდ ცნო და გაამართლა. კერძოდ, სასამართლომ მიიჩნია, რომ არ არსებობდა პირის დამნაშავედ ცნობისათვის საჭირო ერთმანეთთან შეთანხმებული, აშკარა და დამაჯერებელ მტკიცებულებათა ერთობლიობა, რაც დაადასტურებდა პირის ბრალეულობას შერაცხულ დანაშაულში, ხოლო, ცეცხლსასროლი იარაღისა და საბრძოლო მასალის მართლსაწინააღმდეგო შეძენა, შენახვა და ტარების, ასევე დიდი ოდენობით ნარკოტიკული ნივთიერების უკანონო-შეძენა შენახვისა და ექიმის დანიშნულების გარეშე პირადი მოხმარების ფაქტებზე სასამართლომ მის მიმართ გამამტყუნებელი განაჩენი დაადგინა.

დ. ხიზანიშვილის მიმართ წარდგენილი ბრალდება დადასტურებულ იქნა საქმეში წარმოდგენილ უტყუარ მტკიცებულებათა ერთობლიობით: მოწმეთა ჩვენებებით, მოსამართლის განჩინების საფუძველზე ჩატარებული დაკავების და პირადი ჩხრეკის ოქმით, ნარკოლოგიური გამოკვლევის დასკვნით, ქიმიური და ბალისტიკური ექსპერტიზის დასკვნებით. მსჯავრდებულის მიმართ გავრცელდა "ამნისტიის შესახებ" საქართველოს კანონი და საბოლოდ, სასჯელთა შთანთქმის პრინციპის გამოყენებით მას სასჯელის სახედ და ზომად განესაზღვრა 6 წლის და 9 თვის ვადით თავისუფლების აღკვეთა," - ნათქვამია თბილისის საქალაქო სასამართლოს განცხადებაში.

გადაწყვეტილება შეიძლება გასაჩივრდეს განაჩენის გამოტანიდან 30 დღის ვადაში, თბილისის სააპელაციო სასამართლოში.

პროექტს ახორციელებს
"საზოგადოებრივ ინიციატივათა ჯგუფი"
ელ-ფოსტა: samartalis3@gmail.com

„მხოლოდ ბიძინა ივანიშვილის იმედი დაგვრჩა, რადგან კოალიციიდან ზესტაფონისკენ არავინ გამოიხედა“

ნინო კომახიძე
599-95-33-16

ზესტაფონის აგრარული ბაზრის გარშემო აჟიოტაჟი დიდი ხნის წინ ატყდა. დაახლოებით ერთი კვირაა, ბაზარი დაიკეტა. როგორც თვითმხილველები ყვებიან, ბაზრის ტერიტორიაზე სამართალდამცველები გამთენიისას, დახლების გაღებამდე შევიდნენ. ოფიციალური ვერსიით, ზესტაფონის საკოლმეურნეო ბაზრის დაკეტვის მიზეზი ბაზარში არსებული ანტისანიტარია იყო. სურსათის უვნებლობის ეროვნული სააგენტოს ბრძანებაში წერია — ბაზარი არსებული სანიტარული მდგომარეობის გამო, დროებით დაიკეტა. მონიტორინგის შედეგად აღმოჩნდა, რომ ბაზრის გარეტერიტორია ნაგავსაყრელადაა ქცეული, შენობა კი — მღრღნელების, ქვეწარმავლებისა და ფრინველების თავშესაფრად. ზესტაფონის გამგებელი ნუგზარ ქამუშაძე აცხადებს, რომ რამდენიმეკვირიან ვადაში პირობები გაუმჯობესდება და ბაზარი კვლავ ამუშავდება. ესაა ოფიციალური ინფორმაცია. „ვერსიას“ კი თემურ კაპანაძე, ბაზრის წილის 16%-ის მფლობელი ბიზნესმენი ესაუბრება, რომელიც ბაზრის დაკეტვის პოლიტიკურ მოტივებზე და უკვე ოდიოზურ ფიგურადქცეული ექსდეპუტატის, მერაბ სამადაშვილის ინტერესებზე ღიად გვიამბობს.

— შპს „ბარაქას“ ერთ-ერთი დამფუძნებელი, ზესტაფონის საკოლმეურნეო ბაზრის თავდაპირველად 100%-იანი მოწილე ვიყავი. ბოლო წლებში კი 16% დამიტოვეს. წილი მერაბ სამადაშვილმა წამართვა. ეს კაცი ჯერ მხედრიონიდან გვებრძოდა, მერე შევარდნაძის დროს პარლამენტარი გახდა, მერე ნაციონალების რიგებიდან გვაწიოკებდა. მის გარდა, ამ საქმეში ჩართულნი იყვნენ პავლე კუბლაშვილი და მაშინდელი გენპროკურორი ზურაბ ადეიშვილი. 2006 წლიდან სულ ბრძოლაში ვართ. ამ ყველაფრის მერე, თინა ხიდაშელი ჩვენთან ერთად აცხადებდა, სამადაშვილი შევარდნაძის ნავიდან სააკაშვილის ნავში გადახტაო და ახლა მას ვეკითხები — საინტერესოა, დღეს ვის ნავშია მერაბ სამადაშვილი?!

— ახლა წილების მფლობელი ისევ სამადაშვილია?

— მერაბ სამადაშვილი, უფრო სწორად, მისი ძმა ომარ სამადაშვილი, რომელზეც მან ეს წილები გადააფორმა, როცა დეპუტატი იყო. ეს ხალხი კორუმპირებულია. მათ უკვე 7 მილიარდამდე ლარი მოპარეს ზესტაფონს.

— სამადაშვილმა თქვენი ბიზნესი როგორ წაიღო?

— 2009, 2010 და 2011 წლებში, ამ წილებიდან დივიდენდების სახით 120 000 ლარი მერგებოდა, მაგრამ მერე ჩემი წილი, ვითომ ჩემი სახელით, 100 000 ლარად გაყიდეს. აბუჩად ამიგდეს. დოკუმენტები გაყალბდა. ჩემთვის კი ამის შემდეგ გახდა ცნობილი, თითქოს სამადაშვილს ჩვენს ტერიტორიაზე იმის უფლება მივეცი, ლიცენზია მოეპოვებინა. ჩემი ხელმოწერა რაღაც გაუგებარ დოკუმენტზე ქსეროქსითაა გადატანილი. ამის ექსპერტიზა არსებობს. ხელმოწერის ორიგინალი არ მოიპოვებაო, ამბობს პროკურორი. კაცი იმასაც მეუბნება, ვერ ვამტკიცებ, ხელმოწერა გაყალბებულია თუ არაო და აბა, მე როგორ დავამტკიცო?! ვაცხადებ — ეს ჩემი ხელმოწერა არ არის. მეტი რა ვქნა? რაც შეეხება ლიცენზიას, ეს ბაზრის ტერიტორიაზე წიაღისეულის მოპოვების უფლებისმიმცემი დოკუმენტია. გამოდის, სამადაშვილი ჩემს ტერიტორიაზე ჩემივე ხელმოწერით შემოიშვა. მითხარით, რა გავაკეთო — პროკურატურაში ვიჩივლო, ბუნებრივი რესურსების სააგენტოს ვუჩივლო, თუ რა ვქნა?!

— მაჟორიტარი ვერ გეხმარებათ?

— მაჟორიტარი დეპუტატი გოგი ქავთარაძე ამ ყველაფერს წინ ვერ აღუდგა. მან გვითხრა, ამ საკითხზე არჩილ კბილაშვილს შევხვდი, ის დაგელაპარაკებათო, მაგრამ კაციშვილს არ მოუკითხავს ჩვენი ამბავი. ბოლო 1 კვირაა, ყოველდღე ვცდილობთ, მაჟორიტარს შევხვდეთ, მაგრამ არ სცალია, სულ სხდომებზეა... ამ დღეებში სამი საჩივარი შევიტანეთ ზესტაფონის სასამართლოში: ერთი მე, როგორც მესაკუთრემ, მეორე გამგეობამ, რომელსაც ვალდებულება ჰქონდა აღებული, რომ იმ ტერიტორიაზე ბაზარი არ უნდა მოშლილიყო და მესამე — კერძო მესაკუთრეებმა, რათა ბაზრის ნგრევა დროებით შეჩერებულიყო. სამივე სარჩელზე უარი იმავე დღეს გვითხრეს. მერაბ სამადაშვილმა კი ზესტაფონში უკვე ხმები დაყარა, რომ ბაზარს ბიძინა ივანიშვილის ბრძანებით ანგრევენ!

— ვის მიმართეთ დასახმარებლად?

— 2013 წლის 14 იანვარს დაზარალებული მეწილეები და 500 მოვაჭრე ივანიშვილთან შესახვედრად ჩამოვედით. მისგან მთავარ პროკურორთან გადაგვამისამართეს, რომელმაც გვითხრა — პოლიციას უფლება არ აქვს, ტერიტორიიდან გამოგყაროთ, რადგან იქ შეჭრილები არ ხართო, მაგრამ გამოგვასახლეს. სამადაშვილს ზესტაფონში კიდევ 5 ფირმა აქვს და ჩვენს კერძო საკუთრებას ებრძვის. რაც ნაციონალებს არ უკადრიათ, ისიც კი იკადრა „ქართულმა ოცნებამ“ — ხალხი სავაჭროდ არ შეუშვეს ბაზარში და პროდუქტს გადაუარეს! როგორც იურისტები მეუბნებიან, საოლქო პროკურატურაში, სადაც ჩვენი საქმე უკვე 7 თვეა დევს, არაფერი კეთდება. ადგილობრივ უწყებებში თაღლითები არიან — დამნაშავეები 180-ე მუხლით უნდა გასამართლდნენ, მაგრამ საქმე 362-ე და 218-ე მუხლებითაა აღძრული. 218-ე მუხლი ეკონომიკურ და ფინანსურ ზარალს ეხება, 362-ე კი ყალბი დოკუმენტების დამზადებას. პროკურორი ამბობს, ეს მუხლი ამნისტირებულიაო. თუ დოკუმენტი 2003 წელს გაყალბებული იყო, იმ ლიცენზიითა და იმ დოკუმენტით დღესაც როგორ გვანგრევენ? ანდა, როგორ მოქმედებს ეს ამნისტირებული დოკუმენტი დღემდე?!

— სამადაშვილის ინტერესებში რატომღაა ამ ბაზრის დანგრევა?

— ბაზრის ტერიტორიის ქვეშ რამდენიმე ასეული დოლარის ღირებულების სილიკო-მარგანეცის მარაგია. ზესტაფონში სულ ორი ბაზარია — ერთი სამრეწველო, მეორე სურსათის და ხალხს ორივედან დევნიან. ორივედან სილიკო-მარგანეცის ქერქული ნარჩენები ამოიღეს. 1 კვირის წინ პარლამენტის ადამიანის უფლებათა დაცვის კომიტეტის წევრებს შევხვდი. გედევან ფოფხაძემ მითხრა, სახელმწიფო თუ არ დაგეხმარათ, სამადაშვილს როგორ დაამარცხებთო. სახელმწიფო კი ჩაერია, მაგრამ საბოლოოდ, მაინც ჩვენ ჩაგვწიხლა — ტერიტორიიდან გაგვყარა! ამის შემდეგ ჩვენ ნაციონალების კი არა, „ოცნების“ ხელისუფლების მიერ დაზარალებულებად ჩავითვლებით! ივანიშვილი რომ ამბობს, ენდეთ ჩვენს პროკურორებსო, არც ერთი მათგანი სანდო არ არის. შევხვდით ეკა ბესელიას. თქვა, არ მინდა თქვენი ახსნა, სამადაშვილი კრიმინალი რომაა, ყველამ იცისო და წავიდა. თეა წულუკიანსაც შევხვდი არჩევნების დროს, ყველა საბუთი მიგვატანინა. მერე წინასაარჩევნო პერიოდში ყვიროდა, სამადაშვილი კრიმინალიაო. ვფიქრობდით, დაგვეხმარებოდა... მას მერე, ვცდილობთ მასთან შეხვედრას, მაგრამ ჩვენთვის აღარ სცალია!

— საქმე ძიებაშია, უშუალოდ, გენერალურ პროკურატურას თუ მიმართეთ?

— პასუხს მას შემდეგ ველით, რაც საოლქო პროკურატურაში საჩივარი შევიტანეთ. ზესტაფონის პროკურატურა საქმეს ცუდად თუ გამოიძიებს, მთავარ პროკურატურაში გავასაჩივრებთ. თუ სამართალი ვერ ვნახეთ, სტრასბურგშიც წავალთ! „ქართულ ოცნებას“ რომ არ მოეგო ამ არჩევნებში, იმ დღესვე საფრანგეთში უნდა წავსულიყავი: ამ ქვეყანაში სულ დევნილი ვიყავი — ხან დაჭერით მემუქრებოდნენ, ხან ქონებას მართმევდნენ, ხან მეუბნებოდნენ, შენს შვილებს რაღაცას მოვუწყობთო. ახლაც ასეა. ვფიქრობ — საფრანგეთის საელჩოში უნდა წავიდე და პოლიტიკურ თავშესაფარს საფრანგეთში მოვითხოვ! ჩვენ მხოლოდ კონკრეტულად, ბიძინა ივანიშვილის იმედი დაგვრჩა, რადგან თინა ხიდაშელს, გუბაზ სანიკიძეს, ალასანიას პარტიელს, კობა დავითაშვილს, ზვიად ძიძიგურს რამდენჯერმე მივმართეთ, მაგრამ ზესტაფონისკენ არავინ გამოიხედა. საპარლამენტო არჩევნებიდან ლამის 9 თვე გავიდა. ჩანს, სამადაშვილმა ახალ ხელისუფლებასთან უკვე „ჩააწყო“ საქმე, მოაგვარა ურთიერთობები და ახლა ორივე ერთად გვანგრევს!

„კრიმინალური ავტორიტეტების“ დაპატიმრების ახალი სერია იწყება

რა მიზნით უკავშირდებოდა ტარიელ ფოცხვერია რუსეთში მყოფ „ქურდებს“

დავით დევიძე
593-219-042

„კანონიერი ქურდი“ ტარიელ ფოცხვერია, იგივე ტარასა, ამნისტიით მინიჭებული თავისუფლებით ხეირიანად ვერ დატკბა — სამართალდამცავებმა ხელახლა წაუყენეს კრიმინალური სამყაროს წევრობის ბრალდება და შემდგომი რამდენიმე წლის გატარება ისევ ციხეში მოუწევს. ბოლო წლებში, „კანონიერი ქურდების“ წინააღმდეგ განხორციელებულ სამართლებრივ აქტებს თუ გავითვალისწინებთ, ტარიელ ფოცხვერიას შემთხვევაში, ერთ ჩვეულებრივ მოვლენასთან გვაქვს საქმე, მაგრამ არსებობს ერთი კითხვა, რომელიც მთელ, ამ თითქოსდა უფერულ ისტორიას ინტრიგას სძენს: ციხიდან გამოსვლის შემდეგ რატომ არ დატოვა ფოცხვერიამ საქართველო და არ მიაშურა თუნდაც რუსეთს, სადაც მისი „კოლეგები“ გაცილებით კომფორტულ გარემოში ცხოვრობენ? ტარიელ ფოცხვერიამ კარგად იცოდა, რომ საქართველოში დარჩენის შემთხვევაში, ჯანმრთელობის გაუარესება მას იმუნიტეტად არ გამოადგებოდა და, ადრე თუ გვიან, ისევ დაიჭერდნენ. მაშინ რატომ არ დაასწრო მოვლენებს და არ გადაიხვენა ქვეყნიდან? „ვერსიის“ წყაროს ინფორმაციით, არსებობს სერიოზული მიზეზები, რის გამოც, ეს ფოცხვერიამ თუ სხვა ამნისტირებულმა ქურდებმა ვერ მოახერხეს. საქმე ისაა, რომ ბოლო რამდენიმე წელია, რუსეთში, სადაც ქურდული სამყაროს უდიდესი ნაწილია თავმოყრილი, გააფთრებული ბრძოლები მიმდინარეობს ქურდული წილებისა თუ გავლენის სფეროების გადანაწილების გამო. „ვერსია“ პერმამენტულად აშუქებდა ამ მოვლენებს. ძირითადი ბრძოლა მიმდინარეობს ორ ქურდულ დაჯგუფებას შორის. საუბარია „დედ ჰასანისა“ და ტარიელ ონიანის კლანებზე, რომელთა შორის არსებულ სისხლიან გარჩევებს არაერთი „კანონიერი ქურდი“ და კრიმინალური ავტორიტეტი, მათ შორის თვითონ „დედ ჰასანი“ და ცნობილი „იაპონჩიკი“ შეეწირა. ტარიელ ონიანი კი ციხეში აღმოჩნდა. მართალია, დაპირისპირებული კლანის ლიდერი ქურდულ გარჩევებს შეეწირა, მაგრამ მაინც მიიჩნევენ, რომ დაპირისპირებაში გამარჯვებული სწორედ ეს კლანი გამოვიდა, რომელმაც რუსეთში საკმაოდ შეავიწროვა ტარიელ ონიანის დაჯგუფება. ზოგი მოკლეს, უფრო იღბლიანებმა კი რუსეთიდან ევროპაში გაასწრეს. „ვერსიის“ წყაროს ინფორმაციით, სწორედ ამ ბრძოლებს უკავშირდება საქართველოში მყოფი ქართველი „ქურდების“ საკითხიც. როგორც ცნობილია, სააკაშვილის რეჟიმის დროს ციხეში გამოკეტილი „ავტორიტეტების“ აბსოლუტური უმრავლესობა ტარიელ ონიანის დაჯგუფებაში მოიაზრებოდა და მოსკოვში გაჩაღებული დაპირისპირების დროს სწორედ ონიანს უჭერდა მხარს. შემდეგ ამას მოჰყვა ვანო მერაბიშვილის მინისტრობისას „ქურდების“ საკნებიდან კადრების გავრცელება, რაც ქართველი „ავტორიტეტების“ კომპრომეტაციისთვის იყო გათვალისწინებული. საბოლოოდ, ციხეში მყოფ ქართველ „ქურდებს“ მოპირისპირე კლანის წევრები და ვანო მერაბიშვილი ერთდროულად ებრძოდნენ. შედეგი კი იყო ის, რომ ტარიელ ონიანის დაჭერის შემდეგ, არაქურდად გამოაცხადეს ჯერ თვითონ ონიანი, შემდეგ კი, თბილისის ციხეში მყოფი „ქურდები“. პრინციპში, ქართველი „ქურდებისთვის“ ასეთი ცალმხრივი ვერდიქტის გამოტანას არანაირი მნიშვნელობა არ ჰქონდა, რადგან „ქურდული წესებით“ არაქურდად ვინმეს გამოცხადება „სხადნიაკზე“ ხდება. ამდენად, რუსეთიდან საქართველოში მყოფი „ავტორიტეტების“ სტატუსს ვერავინ ვერაფერს დააკლებს. სამაგიეროდ, სხვანაირად იქნება საქმე, თუკი ეს „ქურდები“ რუსეთში გადაწყვეტენ ჩასვლას, სადაც მათ უკვე ერთი-ერთზე მოუწევთ საუბარი იმაზე, რაც ბოლო წლების განმავლობაში მათ სამყაროში ხდებოდა, ეს კი ტარიელ ონიანის დაჯგუფებაში მოაზრებულ „ქურდებს“ კარგს არაფერს უქადდა, ამიტომაც ამნისტირებულმა „ავტორიტეტებმა“, ვიდრე პირდაპირ რუსეთს მიაშურებდნენ, გადაწყვიტეს, საქმე სატელეფონო საუბრებით მოეგვარებინათ. ისინი იმ შემთხვევაში წავიდოდნენ ქვეყნიდან, თუკი უსაფრთხოების გარანტიებს მიიღებდნენ. წინააღმდეგ შემთხვევაში, ერჩივნათ, „კანონიერი ქურდის“ სტატუსით საქართველოს ციხეში ყოფილიყვნენ გამოკეტილნი, ვიდრე თავიანთი „თანამოძმეების“ სამიზნედ ქცეულიყვნენ რუსეთში. იგივეს ცდილობდა ტარიელ ფოცხვერიაც, რომელმაც, როგორც ამბობენ, რაღაც გარანტიები კი მიიღო რუსეთიდან, მაგრამ ავადმყოფობის გამო, საქმის ბოლომდე მიყვანა ვერ შეძლო. სწორედ ეს მცდელობა გახდა მისი დაპატიმრების მიზეზი და არა რაიმე კრიმინალური ქმედება. სავარაუდოდ, სამართალდამცავებმა, ერთგვარი პრევენციის მიზნით, ამნისტირებულ კრიმინალურ ავტორიტეტებს დრო მისცეს, რაც ქვეყნის დატოვებისთვის იყო საჭირო. ამის შემდეგ კი, როგორც ვარაუდობენ, დაპატიმრებათა ახალი ტალღა დაიწყება.

მედია-კავშირი ობიექტივი FM 105.0 www.obieqtivi.net
ობიექტური ვერსია
იპოვეთ თქვენი www.versia.ge ვერსია

რატომაა ელექტრონული ტენდერი მთავრობის შავ-ბნელი სფერო და რა უნდა შეცვალოს ახალმა ხელისუფლებამ?

მაია მიშელაძე
593-51-90-12

მედიაკავშირ „ობიექტივისა“ და გაზეთ „ვერსიის“ ერთობლივი პროექტის მორიგი სტუმარი ორშაბათს, 17 ივნისს, ტელეკომპანია „ობიექტივის“ ეთერში, ანალიტიკოსი დემურ გიორხელიძე იყო, მთავარი თემა კი — ელექტრონული ტენდერები, რაც გასული კვირის სკანდალურ მოვლენად იქცა. შეგახსენებთ, რომ თავდაცვის მინისტრმა, ირაკლი ალასანიამ კვების ტენდერი შეაჩერა, რადგან დასავლეთ საქართველოში ჯარისკაცები მოიწამლნენ. ამის შემდეგ, ნაციონალური მოძრაობის წევრებმა, ირმა ნადირაშვილმა და გივი თარგამაძემ ბრიფინგი ჩაატარეს, სადაც თავდაცვის სამინისტროს კვების ტენდერში არსებული ხარვეზები გამოავლინეს... „ობიექტური ვერსიის“ სტუმარმა, დემურ გიორხელიძემ ხაზგასმით აღნიშნა, რომ თუ ბიძინა ივანიშვილის მთავრობა ელექტრონული ტენდერის სისტემას არ შეცვლის, ეს პრობლემა ვერ მოგვარდება, რადგან ახალი ხელისუფლების პირობებშიც კი, სახელმწიფო ტენდერებში ისევ იმ ჯგუფებმა გაიმარჯვეს, რომლებიც წინა ხელისუფლების პირობებში იმარჯვებდნენ.

დემურ გიორხელიძე:
„შესყიდვების დომინანტი მოთამაშეა სახელმწიფო, ყველა მწარმოებელი კი ამ თამაშის წესების მიმდევარი უნდა იყოს!“

— ბატონო დემურ, ელექტრონულ ტენდერებთან დაკავშირებით, პრობლემები იყო წინა ხელისუფლების პირობებშიც და ეს თემა დღესაც პრობლემად რჩება, რა ხდება?

— მთავარი ისაა, რომ ტენდერები შავ-ბნელი სფეროა მთავრობის საქმიანობაში. 9 წელი ასე იყო და, ბუნებრივია, რამდენიმე თვეში, ეს მექანიზმი ვერ გამოსწორდებოდა. ვფიქრობ, გაცილებით მეტი ინტენსივობით შეიძლებოდა მუშაობა ამ მიმართულებით, მაგრამ სახელმწიფო შესყიდვები, მთავრობის პოლიტიკაა ეკონომიკაზე ზემოქმედების თვალსაზრისით. თუ წინა ხელისუფლება სწორად იმოქმედებდა, ეკონომიკა ასეთ ცუდ მდგომარეობაში არ აღმოჩნდებოდა. ერთი მხრივ, სახელმწიფომ წარმოების სტიმულირება უნდა განახორციელოს, ინფორმაცია უნდა მიაწოდოს, რომ თუკი მისთვის საჭირო პროდუქციას აწარმოებს, მაშინ სახელმწიფო ამ პროდუქციას შეისყიდის. პროტექციონიზმს კი არ ვგულისხმობ, არამედ თუ აშშ-სა და ევროპის მაგალითებს დავაკვირდებით, აღმოვაჩენთ, რომ სახელმწიფო შესყიდვებში, მცირე და საშუალო ბიზნესის წილი 22%-დან 25%-მდეა. გონიერმა მთავრობამ, რომელსაც პასუხისმგებლობის გრძნობა აქვს, კარგად იცის, როგორ შეინარჩუნოს და, კონკრეტულად, რა სტიმული მისცეს ეკონომიკის განვითარებას. შესყიდვებით ეკონომიკაზე ზემოქმედება და სახელმწიფოსთვის მნიშვნელოვანი პრიორიტეტების გამოკვეთა, წარმოების განვითარების სტიმულია. საქართველოში ამის მსგავსი მიდგომები არ არსებობდა და სამწუხაროდ, დღესაც არ არსებობს, რადგან ქართულ ეკონომიკაში მთავარია, ზევით მფარველი გყავდეს. მაგალითად, ნაციონალური მოძრაობა ნიშნავდა ბიზნესმენებს და, ბუნებრივია, პრივილეგირებული ჯგუფებიც არსებობდა, არ მახასიათებს გვარების ჩამოთვლა, მაგრამ ეს საყოველთაოდ ცნობილი გვარებია. ვიღაცას კვების პროდუქტები შემოჰქონდა, ლობისტური და მონოპოლიური ჯგუფები კი ერთმანეთთან შესანიშნავად თანამშრომლობდნენ. საქართველოში მნიშვნელობა არ აქვს, ტენდერში კარგ წინადადებას წარადგენ თუ ცუდს, რადგან ისედაც ყველაფერი განაწილებულია, აქ ყველას თავისი პატრონი ჰყავს და სწორედ ეს აფერხებს ეკონომიკის განვითარებას. ნაციონალურ მოძრაობასთან დაახლოებულ ჯგუფებს პრობლემა არც წელს შექმნიათ, ახალი ხელისუფლების პირობებშიც იმ კომპანიებმა მოიგეს ტენდერები, რომლებიც ადრე იგებდნენ, რადგან სხვა, ალტერნატიული ჯგუფები ჯერ არ გაჩენილა. ეს ქართული ავადმყოფობაა, ამიტომ გვაქვს დანგრეული სახელმწიფო და აუწყობელი ინსტიტუტები.

ძალიან მარტივი რამ უნდა გაკეთდეს, ღია და თავისუფალი კონკურსი უნდა გამოცხადდეს, სადაც ყველას წინასწარ ეცოდინება, რა უნდა სახელმწიფოს, ან რა პირობები აქვს. რამდენიმე გონიერმა ადამიანმა უნდა აირჩიოს საუკეთესო კომპანია, ელექტრონული ან თუნდაც კომისიის მიხედვით. ელექტრონულ ვერსიაშიც არის გაძვრომის უამრავი საშუალება, რადგან ინტერნეტ-პროგრამებს ხომ ადამიანები წერენ! აქ საუბარი იმაზე კი არ არის, რომ ელექტრონული ვერსია უკეთესია, საუბარია შენი ქვეყნისა და საზოგადოების მიმართ პასუხისმგებლობაზე.

შენ, როგორც ჩინოვნიკს, გაქვს თუ არა ამბიცია, საკუთარი მოქმედებებით, წესიერი და ღირსეული სახელმწიფო ააშენო. დღეს ეს ამოცანა არ დგას, არც 9 წლის მანძილზე იდგა და ამიტომ ძარცვავენ, როგორც სახელმწიფოს, ასევე მოქალაქეებს. ბარაქალა, ირაკლი ალასანიას, რომელმაც თავდაცვის სამინისტროს კვების ტენდერი შეაჩერა, მაგრამ კი არ უნდა შეაჩეროს, საერთოდ უნდა დაანგრიოს. როდესაც ქვეყნის 75% იმპორტზეა დამოკიდებული და სახელმწიფო შესყიდვები იმპორტის სტიმულირებას ახდენს, მარტივი დასკვნა უნდა გავაკეთოთ, რომ მაღალი ჩინის ადამიანები წარსულშიც და ახლაც, კარგად ვერ აცნობიერებენ, რა ზემოქმედებას ახდენს ეკონომიკაზე ხელისუფლება, როდესაც ირიბი გზებით, იმპორტის წამახალისებელია, რადგან ტენდერში ყველაზე წარმატებულ და კონკურენტუნარიან წარმოებას ირჩევს. ცხადია, სახელმწიფო შესყიდვები მხოლოდ საკუთარ წარმოებას ვერ დაეფუძნება, ამიტომაა საჭირო გონიერი გათვლა, ის, რაც შენთან არ შეიძლება გაკეთდეს, სხვაგან უნდა იყიდო.

— მაშინ, როდესაც ქვეყანაში ბაზრის დიდი წილი იმპორტირებულ კვების პროდუქტებს უჭირავს, როდესაც ადგილობრივი წარმოება ახლა იდგამს ფეხს, ასეთ ვითარებაში, თუნდაც თავდაცვის სამინისტროს კვების ტენდერში, როგორ უნდა გაიმარჯვოს კომპანიამ, რომელიც ადგილობრივი პროდუქციით მოამარაგებს ჯარს?

— სახელმწიფო შესყიდვები 80-ცენტიანი ინდური ხორცითაა გაჯერებული და მთელი ჯარი ამ ნაგვით მარაგდება. ვინც ოდნავ მაინც იცის სოფლის მეურნეობა, თუ რა პოტენციალი გვაქვს ან როგორი ხარისხის ხორცისა და რძის პროდუქტების წარმოება შეგვიძლია, დამეთანხმება, ამ პრობლემის მოგვარება შეიძლება.

პრობლემა ისაა, რომ სამთავრობო პოლიტიკა არ არსებობს, რადგან ვიდრე სამინისტროებში რჩებიან ადამიანები, რომლებსაც ორთოდოქსალური ბოლშევიკური შეხედულებები აქვთ, მაგრამ შენიღბულები არიან ლიბერტარიანული ეკონომიკური იდეებით, რომ როგორ შეიძლება, სამთავრობო ინიციატივების დონეზე თავისუფალ ბაზარში ჩარევა, როდესაც ასეთი კრეტინული აზრები არსებობს, ძნელია, პრობლემა მოაგვარო.

ადამ სმიტს ამის მსგავსი არაფერი დაუწერია, რომელიც დაახლოებით, 5 კაცს თუ აქვს ბოლომდე წაკითხული. არადა, საბაზრო ეკონომიკა ფუნქციონირებს მაშინ, როდესაც არსებობს სახელმწიფო რეგულატორი, როგორც თამაშის წესების დამცველი, მაგრამ პოლიციელი დიდი ხელკეტით, რომელიც ამ წესების დამრღვევს, ხელკეტს თავში ჩასცხებს.

ჩვენი ხელისუფლება თვითონაა ეკონომიკის სუბიექტი, თვითონ თამაშობს დომინანტის როლს და ამიტომ განადგურდა ირგვლივ ყველაფერი. მიმაჩნია, რომ მთავარი სამინისტროს მოდელია იმ ამოცანიდან გამომდინარე, რაც დღეს ქვეყნის წინაშე დგას. ამ მოდელში არსებობს თანამდებობრივი იერარქია, კონკრეტულ თანამდებობაზე გჭირდება არა კონკრეტული გვარი, არამედ — ადამიანი, რომელიც ნაციონალურ მოძრაობას კი არა, თუნდაც ანარქისტულ პარტიას უჭერდეს მხარს. მთავარია, პროფესიული თვალსაზრისით, შეასრულებს თუ არა ეს ადამიანი მასზე დაკისრებულ მოვალეობას. როდესაც სამინისტროებში, სხვადასხვა მონოპოლიური ჯგუფების ლობები არიან, რომლებიც არაფერს წარმოადგენენ, მაგრამ ვითარებას აკონტროლებენ, ვერანაირი ტენდერი ვერ იმუშავებს და ახალი მთავრობაც განწირულია ამ ტენდერებში, თუ იგი სისტემას არ დაანგრევს.

ყველა დიდი და მთავარი ტენდერი, ძველმა, მონოპოლიურმა ჯგუფებმა მოიგეს, ზოგან ენერგეტიკულმა კომპანიამ მოიგო კვების ტენდერი, მოკლედ, სრული დომხალი და გაურკვევლობაა. შესყიდვების თემა პირველი თემაა საბაჟოსთან ერთად, რადგან ამით რეალურ ინფორმაციას აწვდი ბიზნესს, რას აპირებ. რა უშლიდა მთავრობას, ძალიან სერიოზული, ღია კონკურსით შეერჩია ის მწარმოებლები, რომლებიც მწვანილს, ხორცს, კიტრს, პომიდორს, ნიორს, ხახვსა თუ სხვა პროდუქტს საქართველოში აწარმოებდნენ? სახელმწიფომ უნდა თქვას, რა ტიპის პროდუქცია სჭირდება და შეარჩიოს კომპანია, რომელიც საქმის რეალური გამკეთებელია. მწარმოებლისთვის დიდი სტიმულია სახელმწიფო დაკვეთის მიღება, რადგან სახელმწიფო სტაბილური და გადამხდელი დამკვეთია.

კონტროლის პალატის ერთ-ერთი ხელმძღვანელი ვიყავი და დღეს რომ სახელმწიფო ტენდერები შემამოწმებინოთ, პირობას გაძლევთ, 30-წლიან ციხეს ვერ ასცდებიან სამინისტროების ხელმძღვანელები და ვერც ტენდერის მომგები ფირმების ხელმძღვანელები. ესაა სახელმწიფო ფულის პირდაპირი ძარცვა, ამ ძარცვის მექანიზმი თუ არ შეიცვლება, არაფერი ეშველება.

— იმის თქმა გინდათ, რომ სახელმწიფომ, როგორც დამკვეთმა, ტენდერი კი არა, კონკურსი უნდა გამოაცხადოს?

— გადაწყვეტილებას სახელმწიფო იღებს და ამიტომ თამაშის წესების თვალსაზრისით, სახელმწიფო შესყიდვების დომინანტი მოთამაშე სახელმწიფო, ყველა მწარმოებელი კი ამ თამაშის წესების მიმდევარი უნდა იყოს! ვფიქრობ, ეკონომიკის სტიმულირება წელსაც შეგვეძლო, მაგრამ სახელმწიფო ფულით ისევ თურქეთისა და შუა აზიის ქვეყნების ეკონომიკა დავაფინანსეთ, რადგან ყველაფერი იქიდან შემოგვაქვს. ხარისხის თვალსაზრისით, მხოლოდ ირაკლი ალასანიამ გაბედა და შეაჩერა ტენდერი, რადგან 80-ცენტიან საწამლავს აჭმევდნენ ჯარისკაცებს. რა უდგას წინ ფერმების მოწყობას და ელემენტარულ სტიმულირებას სახელმწიფოსგან? რატომ ხდება, რომ ახალციხიდან და ქვემო ქართლიდან, აზერბაიჯანელებს დიდი რაოდენობით ხორცი გააქვთ, რადგან შესანიშნავად იციან, რამდენად მაღალი ხარისხის ხორცს ამზადებენ საქართველოში?! ჩვენ უნდა ვიცოდეთ საკუთარი რესურსების ფასი, რა უშლის ხელს, სახელმწიფოს სტიმულირებით, სასათბურე მეურნეობები შეიქმნას? რა უშლის ხელს, ადგილზე ჩაის წარმოებას შეუწყო ხელი და ჯარისთვის ჩაი საზღვარგარეთ არ იყიდო?

— სახელმწიფო სტიმულში რას გულისხმობთ?

— ადამიანებისთვის იმ ინფორმაციის მიწოდებას, რა სჭირდება კონკრეტულად — მშენებლობა, კვების პროდუქტები, თუ სხვა მომსახურება. სახელმწიფო ამბობს, რა სჭირდება და იღებს იმ კომპანიისგან, რომელიც საუკეთესო მომსახურებას შესთავაზებს.

— სახელმწიფო ტენდერს არ აცხადებს?

— აცხადებს, მაგრამ, ძირითადად, ეს ტენდერები დახურული და უკვე ლობირებულია. სახელმწიფო შესყიდვები კორუფციის ნიშნებს მეტ-ნაკლებად, ყველა ქვეყანაში შეიცავს, მათ შორის აშშ-შიც. ამერიკის მშპ-ს 9%, ჩრდილოვანი ეკონომიკის წილია, რაც დაახლოებით, 800-900 მილიარდი აშშ დოლარია. ბუნებრივია, კორუფციაა, მაგრამ საქართველოსგან განსხვავებით, სისტემური ხასიათი არ აქვს. ერთი შეხედვით, თითქოს უბრალო საკითხია სახელმწიფო შესყიდვები, მაგრამ სინამდვილეში, გლობალური და უმნიშვნელოვანესი თემაა.

— ბატონო დემურ, ელექტრონულ შესყიდვებში მთავარი პრობლემა „შავი სიაა“, სადაც მხოლოდ კომპანიების ჩამონათვალი გვხვდება, არადა „საერთაშორისო გამჭვირვალობის“ მკვლევარები ამბობენ, რომ კარგი იქნება, თუკი „შავ სიაში“ პერსონებიც შევლენ, რათა სხვა კომპანიის დარეგისტირება და ელექტრონულ ტენდერში, ახლადდარეგისტრირებული კომპანიის სახელით მონაწილეობა ვეღარ შეძლონ. თქვენ როგორ ფიქრობთ?

— არ ვფიქრობ, რომ „შავი სიების“ არსებობა გამართლებულია, რადგან ტენდერი ღია უნდა იყოს და არავითარი „შავი სია“ არ უნდა არსებობდეს. როდესაც ცალკეული კომპანიების მიმართ პრეტენზიები არსებობს, ეს ღია ტენდერზე უნდა გაცხადდეს. როდესაც ჩინოვნიკს ხელში აქტივს აძლევთ, რათა „შავი სია“ შეადგინოს, წადით მერე და უმტკიცეთ, რატომ მოხვდით ამ „შავ სიაში“.

„საყოველთაო ჯანდაცვის პროგრამა ნაჩქარევი და მოუმზადებელია“

მერაბ ბერიძე
599-45-50-26

რა რისკებს შეიცავს სახელმწიფო პროგრამა და რა შეიცვლება მომხმარებლისთვის 1 ივლისიდან

საქართველოს მოსახლეობა იმედოვნებს, რომ საყოველთაო დაზღვევის სახელმწიფო პროგრამა, რომელიც გარკვეული ხარვეზებით მიმდინარეობს, პირველი ივლისიდან სრულყოფილად ამოქმედდება.

პოლიტიკური ოპოზიცია მთავრობას შეცდომებსა და მათი გამოსწორების გზებზე მიუთითებს — ქრისტიან-დემოკრატიული მოძრაობა საყოველთაო ჯანდაცვის პროგრამის ამოქმედებას „ნაჩქარევს და მოუმზადებელს“ უწოდებს. პარტიის ერთ-ერთი ლიდერი **მაგდა ანიკაშვილი** აცხადებს, რომ საყოველთაო დაზღვევის მეორე ეტაპის ამოქმედებამდე, ამ პროგრამის შესახებ არავითარი ოფიციალური ინფორმაცია არ გავრცელებულა: **„ვიცით მხოლოდ ის, რომ 1 ივლისს უკვე არსებულ სადაზღვევო პაკეტს დაემატება გეგმური კომპონენტი. ხელისუფლება დეტალურად არ საუბრობს, რას სთავაზობს საზოგადოებას, უცნობია იმ სერვისების ჩამონათვალი, რომელსაც სახელმწიფო დააფინანსებს; გაურკვეველია ისიც, რა ვადებში გაუწევენ მოქალაქეებს მომსახურეობას, იქნება თუ არა თანაგადახდა, რას გადაიხდის სახელმწიფო ყოველ კონკრეტულ მომსახურებაში, როგორი იქნება თანხის ანაზღაურების წესი, მოაგვარებს თუ არა ეს პროექტი ჯანდაცვის ხელმისაწვდომობის უმნიშვნელოვანეს პრობლემებს, როგორიცაა ონკოლოგიური დაავადებების მკურნალობა, მედიკამენტების დაფინანსება, ძვირადღირებული კვლევები... ინფორმირებულობის დონე დაბალია არა მხოლოდ მოსახლეობაში, არამედ სამედიცინო სექტორში, რაც პროექტის განხორციელებისას, სერიოზულ პრობლემებს წარმოშობს. პროცესი მიმდინარეობს ნაჩქარევად, სერიოზული გათვლებისა და მომზადების გარეშე. ქრისტიან-დემოკრატები მოვუწოდებთ ხელისუფლებას, დაუყოვნებლივ დაიწყოს საინფორმაციო კამპანია, გამოაქვეყნოს პროექტის დეტალური აღწერილობა და ფინანსური გათვლები, რათა ექსპერტებმა და დაინტერესებულმა საზოგადოებამ დაიწყოს კვალიფიციური მსჯელობა საყოველთაო დაზღვევის პროგრამაზე“.**

ამ საკითხთან დაკავშირებით, მთავრობისგან განსხვავებული პოზიცია აქვთ ახალ მემარჯვენეებსაც. პარტიის ეკონომიკური მიმართულების ხელმძღვანელი **ლევან კალანდაძე** „ვერსიასთან“ საუბრისას აცხადებს, რომ სახელმწიფოს უარი სადაზღვევო კომპანიების მონაწილეობაზე, ჯანდაცვის სისტემას სერიოზული დარტყმის ქვეშ დააყენებს: **„სახელმწიფო ქმნის ფონდს, რომელიც სადაზღვევო კომპანიების გვერდის ავლით, მთლიანად გააკონტროლებს ჯანდაცვის სისტემას და პირდაპირ დააფინანსებს ჰოსპიტალურ სექტორს. ეს ძალიან ჰგავს მოდელს, რომელიც შევარდნაძისდროინდელ ან უფრო ადრინდელ საქართველოში, სოციალისტურ პირობებში მოქმედებდა და დღესაც მოქმედებს სოციალისტურად ორიენტირებული ეკონომიკების ქვეყნებში. საუბარია წმინდა წყლის მემარცხენე მიდგომაზე, რაც ჯანდაცვის სისტემის სახელმწიფოს მხრიდან კონტროლზეა დაფუძნებული.**

სადაზღვევო კომპანიებზე დაფუძნებული სისტემის უპირატესობა ისაა, რომ ისინი მოტივირებულნი იყვნენ, თვითკონტროლირებადი გარემო შეექმნათ. პროგრესზე, ხარჯების ოპტიმიზაციაზე, მაღალტექნოლოგიური რეგულაციების დამკვიდრებაზე ორიენტირებული სისტემა მნიშვნელოვნად გამორიცხავდა კორუფციულ ელემენტებს. ე.წ მემარცხენული სისტემა ამ კომპონენტებს არ ითვალისწინებს. შესაბამისად, ჩნდება რისკი, დავუბრუნდეთ იმ წარსულ სისტემას, რომელმაც არ იმუშავა არც ერთ ქვეყანაში, მათ შორის საქართველოშიც. ფონდი და სახელმწიფო მოტივირებული აღარ იქნება, ჰოსპიტალური სექტორი პროგრესზე ორიენტირებული გახადოს, მაღალტექნოლოგიური აპარატურა დაინერგოს და კვალიფიკაცია ამაღლდეს. რაც მთავარია, საბიუჯეტო ხარჯების ოპტიმიზაციის თვალსაზრისით, სერიოზული პრობლემა გვექნება. ჯანდაცვის დაზღვევის სისტემას პრობლემები ჰქონდა, მაგრამ მისი ორგანიზების იდეა სწორი იყო. ამ ხარვეზებს დახვეწა, გამოსწორება, შედეგზე მორგება სჭირდებოდა და არა კარდინალური ცვლილებები“.

ლევან კალანდაძემ ისიც არ იცის, პირველი ივლისიდან, კონკრეტულად, რა ამოქმედდება. მისი თქმით, ხელისუფლებას გათვლილი არ აქვს შესაბამისი ბიუჯეტი და არც სისტემის თანმდევი რისკები: **„28 თებერვლიდან დღემდე, გამოჩნდა ბევრი ხარვეზი, რადგან ბოლომდე დაუმუშავებელი და გაუთვლელი იყო. 1 ივლისის შემდეგ ჯანდაცვის პროგრამას ახალი კომპონენტები ემატება, მათ შორის გეგმური ოპერაციები, მშობიარობა... იზრდება საბიუჯეტო ხარჯი, ამ ფონზე კი, ხელისუფლებას რისკი არ აქვს გათვლილი და რჩება შთაბეჭდილება, რომ ეს ნაჩქარევი და პიარული გადაწყვეტილებაა. როცა სახელმწიფო პროგრამები ორიენტირებულია ფონდის მუშაობაზე, მემარცხენე მიდგომებზე და სადაზღვევო კონკურენციის მაქსიმალურ გამორიცხვას ცდილობენ, სადაზღვევო კომპანიებისთვის ოპერირება და სისტემაში მონაწილეობა მაღალრისკიანია. შესაბამისად, სადაზღვევოები ისევე, როგორც მთელი ბიზნესი, გაურკვეველ მდგომარეობაშია. არავინ იცის, როგორი მომავალი ექნება საყოველთაო ჯანდაცვის პროგრამას. ყველა წინდახედული ბიზნესმენი შეეცდება, რისკების მინიმიზაციის მიზნით, პროცესს დროებით გაერიდოს. თუ ეს სისტემა სადაზღვევო კომპანიებისთვის მისაღები არ იქნა, ხვალ სხვა ორგანიზაციებიც დატოვებენ პროგრამას“.**

ასეთ პესიმისტურ დამოკიდებულებას ეკონომიკის ექსპერტი **დემურ გიორხელიძე** არ იზიარებს და ამბობს, რომ მემარცხენეობასა და სოციალიზმზე აპელირება მიუღებელია, როცა მოქალაქეების უმრავლესობას ექიმთან ვიზიტისთვის მინიმალური თანხა არ მოეპოვება: **„სოციალური პოლიტიკის გატარების თვალსაზრისით, მთავრობას ერთიანი პოლიტიკა არ აქვს, ამიტომ ჯანდაცვის სამინისტროს ცალკეული ღონისძიებების გატარება უწევს და მათ შორისაა საყოველთაო დაზღვევის პროგრამა. ადამიანებს სამედიცინო მომსახურების მიღების საშუალება არ ჰქონდათ — ოჯახის რომელიმე წევრი სერიოზულად თუ გახდებოდა ავად, ლამის მთელ ქონებას ყიდდნენ, ამიტომ პროგრამის განხორციელებაში საკრიტიკო არაფერია. დასაწუნი მთავრობის სოციალური პოლიტიკის არარსებობაა. ის ცალკე ვერ იარსებებს, თუ არ იქნება გააზრებული მთლიანობაში სოციალური პოლიტიკა, რომელიც მოიცავს ჯანდაცვას, განათლებას, მეცნიერებას, კულტურას... ეს არ არის თანხების რაციონალური ხარჯვა, როცა გაცილებით მეტის გაკეთება შეიძლებოდა, მაგრამ უკეთესია იმაზე, რაც აქამდე იყო. აქ არანაირ მემარცხენეობასა და სოციალისტურ მიდგომებზე საუბარი არ შეიძლება იყოს. ვინც ამაზე აპელირებს, უბრალო დემაგოგია. 22 წელია, მოქალაქეები დაჩოქებამდე და სრულ სიღარიბემდე რომ მიიყვანე, რის სახელმწიფო ხარ, თუ დღეს გონიერი სოციალური პოლიტიკა არ გაატარე და მცირედით მაინც ხელი არ შეუწყვე? არსებული პარაზიტული სადაზღვევო ბაზარი, რომელიც დამყარებულია მუქთახორულ განწყობაზე და ორიენტირებულია ფირმებზე, რომლებიც პროგრამულ დაფინანსებას სახელმწიფო ბიუჯეტიდან იღებდნენ (50%-იან მოგებას იტოვებდნენ), ცივილიზებულად უნდა დაინგრეს. სახელმწიფომ უნდა უზრუნველყოს ეს მომსახურება, რაც მისთვის არანაირ პრობლემას არ წარმოადგენს“.**

ექსპერტ **სანდრო თვალჭრელიძის** შეფასებით, საყოველთაო დაზღვევის პროგრამა მდგომარეობის გაუმჯობესების ცივილიზებული მეთოდია. მისივე თქმით, დაპირებები, რომლებიც მთავრობამ ხალხს მისცა, ნელ-ნელა სრულდება:

„მიმდინარეობს მთლიანი სადაზღვევო პაკეტის შემუშავება საქართველოს ყველა მოსახლისთვის. სექტემბერში პროგრამა სრულად ამოქმედდება, ამიტომ, მეჩვენება, რომ თავად ოპოზიციის განცხადებაა ნაჩქარევი. არც ინფორმაციის ნაკლებობაზე ვეთანხმები ოპონენტებს. მოქალაქეს თუ რაიმე ეკუთვნის, ინფორმაცია თავად უნდა მიიღო და კუთვნილი დახმარება მთავრობას მოსთხოვო. ეს არის სამოქალაქო საზოგადოების ერთ-ერთი ძირითადი პრინციპი. მთავრობამ კი არ უნდა გადმოგიგდოს საჩუქარი, შენ უნდა მოსთხოვო ის, რაც კანონიერად გეკუთვნის. დაზღვევის პროგრამა სრულყოფილი რომ გახდეს, ქართული ეკონომიკა უნდა გაიზარდოს, მეტი ფული უნდა ჩაიდოს თუნდაც ამ მიმართულებით. დღეს რაც შესაძლებელია, გააკეთეს. ჯერჯერობით, მეტის საშუალება არაა. ზოგი სადაზღვევო კომპანიისთვის პროგრამაში მონაწილეობა წამგებიანია არა იმიტომ, რომ ფული არ შემოდის, არამედ იმიტომ, რომ მენეჯმენტი არ უვარგათ. სადაზღვევო კომპანიები, რბილად რომ ვთქვათ, სხვა რეჟიმში მუშაობას არიან შეჩვეულნი“.

დაზღვევის საყოველთაო პროგრამაზე გადასვლის ფონზე, ჯანდაცვის ხელმისაწვდომობის გაუმჯობესებას მოსახლეობის მხოლოდ 3% ამჩნევს. ეს შედეგი ამერიკის რესპუბლიკური ინსტიტუტის 3000-ზე მეტი ადამიანის გამოკითხვის შედეგად დაფიქსირდა. გამოკითხულთა 49%-ის აზრით, არაფერი შეცვლილა, ხოლო 40% მიიჩნევს, რომ მდგომარეობა გაუარესდა. იმედია, ეს არასახარბიელო ვითარება, 1 ივლისის შემდეგ გამოსწორდება.

„პრობლემები მართლაც შეიქმნა... ძირითადად, წაგებაზე ვმუშაობთ“

რატომ კვდება საქართველოში „ძონძების ბიზნესი“ და რატომ აღარ ეცანება ედიცა „სექენდ ჰენდის“ ბრენდირებულ საქონელს

ნინო ხარშილაძე
599-55-63-56

საქართველოში მეორადი ტანსაცმლის ბიზნესმა გასული საუკუნის ბოლოს მოიკიდა ფეხი — მაშინ, როცა ომი ახალი დამთავრებული იყო. ქვეყანაში არც პური იშოვებოდა, არც საჭმელი და არც ტანსაცმელი... ამ პირობებში, მაღაზიებში მეორადი ტანსაცმლის გამოჩენა ხალხისთვის შვება იყო და ეს ბიზნესიც უცებ აყვავდა — ღიად თუ მალულად, „სექენდ ჰენდში“, ელიტამაც დაიწყო შემოსვა, პრინციპით — უხარისხო ჩინურ და თურქულ ტანსაცმელს, იქ ნაყიდი ხარისხიანი სამოსი სჯობსო. ხშირად, „ძონძებში“ ნაყიდი ამერიკული, კანადური, ფრანგული... ბრენდების სამოსით „მარიაჟობენ“ კიდეც — თითქოს ძვირადღირებილ „ბუტიკში“ შეიძინეს.

ამ ფონზე, გასაკვირი არაა, რომ მეორადი ტანსაცმლის ფასმა ნელ-ნელა მოიმატა და ზოგ შემთხვევაში, ახლის ფასსაც გაუსწრო. დღეს ამ ბიზნესით დაკავებული ადამიანების უმეტესობა ამბობს, რომ კლიენტმა საგრძნობლად იკლო, ზოგი კი ამას ოქტომბრის არჩევნებს უკავშირებს — არჩევნების მერე მაღაზიაში ხალხი აღარ შემოდის, ხოლო ვინც მოდის, „მუქთად“ უნდა ყველაფერიო. არადა, ამ საქონელში რამდენიმე ათეული ათასი აქვთ გადახდილი. რა კავშირშია „ძონძების“ ბიზნესი და პოლიტიკა, თავად ამ ბიზნესში ჩართულებმაც არ იციან. ქალაქის ცენტრალურ უბნებში გახსნილი მაღაზიების მეპატრონეები აცხადებენ, რომ ფართის ქირა ხშირად სახლიდან მოაქვთ. ბევრი უკვე ფიქრობს, 1-.2 ლარად გაყიდოს ძვირიანი საქონელი და დროზე გაერიდოს ამ საქმეს.

„ვერსიამ“ გაარკვია, რომ „ძონძების ბიზნესის“ ჩავარდნას, რამდენიმე მიზეზი აქვს. კერძოდ, ბევრს უკვე ისე გაუჭირდა, ტანსაცმლის საყიდელი ფული აღარ აქვს. ახალგაზრდების უმეტესობას ურჩევნია, თანხა ტექნიკაში დახარჯოს, ვიდრე „ძონძები“. ბევრისთვის უკვე აღარაფერს ნიშნავს ბრენდირებული სამოსი. ისინი კი, ვინც „ბრენდების ფანია“, შესაბამის მაღაზიებს ფასდაკლებების დროს სტუმრობს ან სამოსს ინტერნეტით იწერს.

ქალაქის ცენტრისგან განსხვავებული ვითარება დაგვხვდა მეორადების ბაზრობაზე — იქ ხალხი სულ ირევა, ყველა რაღაცას ყიდულობს. უკმაყოფილო კლიენტებსაც შეხვდებით, რომლებიც მაღალ ფასებს უჩივიან და ამბობენ, რომ „ციგნების ბაზრობაზე“ სამოსს გაცილებით იაფად იყიდი.

შორენა 20 წელია, მეორადების ბიზნესშია ჩართული და ბაზრობაზე მუშაობს. მოვაჭრეები მაკვალიანებენ, რომ მან, ამ ბიზნესის ავან-ჩავანი ყველაზე უკეთ იცის. შორენამ „ვერსიას“ დაუდასტურა, რომ ამ ბიზნესს პრობლემები მართლაც შეექმნა:

— რამდენიმე თვეა, საბაჟოზე გაძვირდა საქონლის დეკლარირება და იმდენი მოგება აღარ გვრჩება. საქონელს ვერ ვაძვირებთ — აღარავინ იყიდის. ასე რომ, წაგებაზე ვმუშაობთ. თუ ვინმე წუწუნებს, რომ ტანსაცმელს ვერ ყიდის, ვურჩევ, ჩვენსავით, ფასი დააკლოს. თუმცა, არსებობს კიდევ ერთი პრობლემა, რომლის წინაშეც ცენტრალურ უბნებში გახსნილი მეორადების მეპატრონეები დგანან — იქ ელიტური საზოგადოება იმისთვის შედის, მარკიანი სამოსი იყიდოს. დღეს, ფუთების უმეტესობაში, თურქეთში ან ჩინეთში შეკერილი ტანსაცმელი გვხვდება, რაც კლიენტურას აფრთხობს.

— საქონელი, ამერიკისა და ევროპის ნაცვლად, ახლა თურქეთიდან და ჩინეთიდან შემოდის?

— მსოფლიო ეკონომიკური კრიზისის გამო, ევროპამ და ამერიკამ, საქონელი რომ არ გაეძვირებინათ, ქარხნების უმეტესობა ჩინეთსა და თურქეთში გაიტანა. ბუნებრივია, ჩინეთში წარმოებულ პროდუქციას აწერია — „დამზადებულია ჩინეთში“. ხარისხი კარგი აქვს, მაგრამ ელიტური კლიენტურა ამ წარწერის გამო საქონელს აღარ ყიდულობს.

— ფუთების ფასებიც ხომ არ შეიცვალა?

— გააჩნია, რას ყიდულობ. ადრე გაუხსნელ ფუთებს წონით ვყიდულობდით. 300- ლარიან ფუთაში, შეიძლება, მხოლოდ წინდა ამოსულიყო და გვეზარალა. თუმცა, შეიძლება ახალი სამოსი და ძვირფასი ქურქებიც ყოფილიყო და იმ 300 ლარს ერთიოცად დაეტოვებინა მოგება. ახლა ყველა ფუთა იხსნება. ტანსაცმელი ხარისხდება და, შესაბამისად, ფასებიც განსხვავებულია.

ირანის არჩევნების შედეგი — „სამხრეთის გაზის დერეფნის“ გამოწვევა

ზურაბ გამრეკელი

ბაქოში, 2013 წლის 4-5 ივნისს გამართულ მე-20 ენერგეტიკულ კონფერენციაზე „კასპიის ნავთობი და გაზი 2013“ გამოსვლისას, ამერიკის სახელმწიფო მდივნის მოადგილემ ამოს ჰოკსტეინმა განაცხადა, რომ აშშ მხარს უჭერს „სამხრეთის გაზის დერეფანს“. მთავარია, „შაჰ-დენიზის“ მეორე ფაზის გაზი ევროპამდე მივიდეს. მან განმარტა, რომ ამ გაზის ტრანსპორტირება ევროპამდე „ტრანსადრიატიკული გაზსადენით“ მოხდება თუ „ნაბუქო-უესტით“, აშშ-ს არ აინტერესებს, ეს „შაჰ-დენიზის“ კონსორციუმის გადასაწყვეტია.

ბაქოში მიმდინარე კონფერენციას მიესალმა ბრიტანეთის პრემიერი დევიდ კემერონი. მან ხაზი გაუსვა, რომ 2013 წელი „დერეფნის“ პროექტებისთვის გადამწყვეტია — მიიღებენ რიგ საკვანძო გადაწყვეტილებებს, რომლებიც მათ წინსვლას უზრუნველყოფს.

დასავლეთისთვის კასპიის ნავთობის მარაგი, რომ აღარაფერი ითქვას გაზის კოლოსალურ რეზერვებზე, ნამდვილად მიმზიდველია. აშშ-ს ენერგეტიკის დეპარტამენტის ინფორმაციით, კასპიის ნავთობის პოტენციური მარაგები შეადგენს 232 მლრდ ბარელს. 2015 წლისთვის, ნავთობის ექსპორტი ამ რეგიონიდან გაუთანაბრდება დღეში 3.5 მლნ ბარელს, ხოლო 2020 წელს – 5 მლნ ბარელამდე გაიზრდება. ეს მსოფლიოს დღევანდელი მიწოდების 3.5%-დან 7%-მდეა. ეს ვერ შეედრება ციმბირისა და სპარსეთის ყურის მარაგებს, თუმცა ევროპის მომარაგების მრავალფეროვნებისთვის საკმაოდ კარგი წყაროა.

ბაქო არა მარტო მოპოვებას, არამედ მომხმარებლებზე საწვავის რეალიზაციასაც აქცევს ყურადღებას. კერძოდ, აზერბაიჯანის „სოკარის“ პრეზიდენტის როვნაგ აბდულაევის ინფორმაციით, კომპანიამ უკვე დაასრულა ბერძნული გაზგამანაწილებელი ქსელის ოპერატორის, „დესფას“ პრივატიზების სატენდერო პროცედურა და კომპანიის წარმომადგენლები შეუდგნენ ბერძნულ მხარესთან დეტალების შესახებ მოლაპარაკებებს. ქსელის მფლობელი კომპანიის, „დეპას“ განმეორებითი პრივატიზების შესახებ კი, რაც წელს უკვე სამჯერ ჩაიშალა, აბდულაევი აცხადებს, რომ მოლაპარაკებების დროს ეს საკითხიც განიხილება.

ამავე დროს, საერთაშორისო უსაფრთხოების საკითხებზე მომუშავე ცნობილი ინტერნეტ-გამოცემა „სტრატფორის“ დამფუძნებელი ჯორჯ ფრიდმანი, თავის ბოლო დროს გამოქვეყნებულ სტატიებში, აშშ-ს ხელისუფლებას სამხრეთ კავკასიისადმი მეტი ყურადღების გამოჩენისკენ მოუწოდებს. მისი აზრით, კავკასია სამი სუპერძალის: რუსეთის, თურქეთისა და სპარსეთის ინტერესთა შეჯახების ადგილია. ამ შემთხვევაში, ინტერესების ყველაზე მწვავე დაპირისპირება აზერბაიჯანში ხდება. ესაა ქვეყანა, რომელიც სამივე ამ ძალას ესაზღვრება, ამასთან, ის ხდება რეგიონის მთავარი ენერგეტიკული გენერატორი. ამ დროს კი, ფრიდმანის აზრით, ამ ქვეყანას აშშ-ს ყურადღება აკლია.

სამხრეთ კავკასია: ინტერესთა შეჯახების ადგილი

ჯორჯ ფრიდმანის ზემოაღნიშნული გაფრთხილება შემთხვევით არ გაჟღერებულა. უკანასკნელ დროს საექსპერტო წრეებში ოფიციალური ბაქოს იმ განცხადებაზეა საუბარი, რომლითაც ის სომხეთისთვის „გარკვეულ პირობებში“ გაზის შესაძლო მიწოდებაზე გამოთქვამს თანხმობას. საქმე ეხება კომენტარებს, რომლებიც მოჰყვა „სოკარის“ პრეზიდენტის აბდულაევის განცხადებას — „..თუ სომხეთი გაზის საკითხში დახმარებისთვის მოგვმართავს, აზერბაიჯანი უეჭველად დაეხმარება“. გაჩნდა მოსაზრებები, რომ ესაა ყარაბაღის მინსკის ჯგუფის მხრივ ერევანზე განხორციელებული ზეწოლის შედეგი. ექსპერტები იხსენებენ, რომ „საფეხბურთო დიპლომატიის“ პირველივე დღეს, როცა სომხეთისა და თურქეთის პრეზიდენტები ერთმანეთს პირველად შეხვდნენ, ანკარაზე გაბრაზებულმა აზერბაიჯანის მთავრობამ „გაზპრომთან“, კაზიმაგომედ-მოზდოკის გაზსადენით აირის მიწოდების ხელშეკრულება გააფორმა.

ექსპერტების აზრით, ასეთ დიპლომატიურ სვლებს აზერბაიჯანი პერიოდულად არა მარტო თურქეთის, არამედ საქართველოს მიმართაც ახორციელებს. ცნობილი რუსი პოლიტოლოგი გაი ბორისოვი შოვინისტურ ინტერნეტ-გამოცემა „რეგნუმში“ ნიშნისმოგებით აღნიშნავს, რომ „სოკარი“, პრაქტიკულად, გაბატონებულია საქართველოს ენერგოსექტორში, როგორც გაზმომარაგებისა და დისტრიბუციის, ისე საავტომობილო ბენზინით საცალო ვაჭრობის კუთხით. ამას, ბორისოვის აზრით, ბაქო იყენებს დავითგარეჯას სასაზღვრო სამონასტრო კომპლექსთან საზღვრის დელიმიტაცია-დემარკაციის პროცესში თავისი პოზიციების გასამყარებლად. გაი ბორისოვს მიაჩნია, რომ ამის საპასუხოდ პრემიერმა ბიძინა ივანიშვილმა ეჭვქვეშ დააყენა ბაქო-თბილისი-ყარსის რკინიგზის აგების მიზანშეწონილობის საკითხი. ამაზე, აზერბაიჯანმა გაზის ტარიფების მომატების შესახებ მოსაზრება გაახმოვანა, რის საპასუხოდაც ენერგეტიკის მინისტრმა კახა კალაძემ ასტანაში „ყაზტრანსგაზისთვის“ თბილისის გაზგამანაწილებელი ქსელის დაბრუნების წინასწარი შეთანხმება გააფორმა. მან არ გამორიცხა რუსული ქსელით საქართველოში ყაზახეთის გაზის შემოტანაც.

შეიძლება თუ არა ჰასან როუჰანისთან გაზმომარაგებაზე საუბარი

თავის დროზე, ირანის ისლამური რესპუბლიკის საწინააღმდეგო მრავალეროვნული და ცალმხრივი სანქციების შემოღებამ, მსოფლიოს ენერგობაზარზე ნეგატიურად იმოქმედა. გლობალურ ბაზრებს მოაკლდა ნახშირწყალბადების საკმაოდ მნიშვნელოვანი წყარო. არსებული ინფორმაციებით, ირანის თეოკრატიული შიიტური რეჟიმი საკუთარი ნავთობიდან და გაზიდან მიღებულ შემოსავლებს იყენებდა ისლამური რევოლუციის ექსპორტისა და ბირთვული პროგრამის დაფინანსებისათვის. ფაქტობრივად, ამ საუკუნის დასაწყისში ირანი საერთაშორისო უსაფრთხოებისა და სტაბილურობის ძირითად გამოწვევად გადაიქცა, რომელსაც საერთაშორისო თანამეგობრობა სანქციებით დაუპირისპირდა. მაგალითად, ევროკავშირის მხრივ, ეს სანქციები ძალაში 2012 წლის 1 ივლისს შევიდა, აშშ-სა და იაპონიის სანქციები უფრო ადრე... ზოგიერთი გაანგარიშების თანახმად, სანქციების გამკაცრების შიშმა ბევრი ინვესტორი აიძულა, ირანი დაეტოვებინათ. აშშ სახელმწიფო დეპარტამენტის შეფასებით სანქციებმა, უპირველესად, ირანი დააზარალა: ანტიირანული სანქციები ამ ქვეყნის ენერგეტიკაში 50-60 მლრდ დოლარამდე ინვესტიციის ჩაშლის მიზეზია; სანქციების გამო 2010 წლის აგვისტოდან დღემდე, ირანში ბენზინის იმპორტის 90%-ით შეჩერდა. მაგალითად, „ტოტალმა“ (Total), „გლენკორმა“ (Glencore) და „შელმა“ (Royal Dutch Shell) შეწყვიტეს ირანისათვის ბენზინის მიწოდება; დაიბლოკა მილიარდობით დოლარის ინვესტიციები თხევადი გაზის სექტორში; კონტრაქტები შეუწყდათ სადაზღვევო და სატრანსპორტო ფირმებს, ბენზინის ტრეიდერებს, ბანკებს. მაგალითად, „ვიტოლმა“ (Vitol) და „ტრეფიგურამ“ (Trafigura), ასევე ოთხმა საერთაშორისო სადაზღვევო კომპანიამ, შეწყვიტეს ირანის ენერგეტიკის მოდერნიზაციის რამდენიმე მნიშვნელოვანი პროექტი; სანქციების გამო ჩაიშალა „ირან-პაკისტან-ინდოეთის“ (IPI) სტრატეგიული გაზსადენის პროექტის განხორციელება.

საინტერესოა, ჯერ კიდევ ირანის საპრეზიდენტო არჩევნებამდე რამდენიმე დღით ადრე, სომხეთში ირანის ელჩმა მოჰამად რეისიმ განაცხადა, რომ ირანს შეეძლო გამხდარიყო სომხეთის ქსელით საქართველოსთვის გაზის მომწოდებელი. ქვეყნის პრეზიდენტად რეფორმატორი ჰასან როუჰანის არჩევის შემდეგ, ეს წინადადება შეიძლება რეალური განხილვის საგნად გადაიქცეს. ამის მტკიცების საფუძველს სპეციალისტებს აძლევს ის, რომ ჰასან როუჰანი 2000-იანი წლების დასაწყისში ხელმძღვანელობდა ბირთვული პროგრამის ირგვლივ მოლაპარაკებებს. სწორედ მაშინ „გაყინა“ თეირანმა ატომური პროგრამის რამდენიმე პროექტი. მაშასადამე, როუჰანის არჩევით ირანისა და დასავლეთის ურთიერთობებში, შესაძლოა „დათბობა“ დაიწყოს და სანქციები შესუსტდეს. ამ შემთხვევაში ირანი, რომლის დადასტურებული გაზის მარაგი, ბოლო შეფასებებით, უკვე რუსულსაც კი აღემატება, შეიძლება, კვლავ გამოჩნდეს მსოფლიოს ენერგეტიკულ ბაზრებზე ერთ-ერთი უმთავრესი მომწოდებლის სახით. ეს რეალურია, ვინაიდან უკვე ივლისში, ირანი იწყებს თავისი გიგანტური „სამხრეთის ფარსის“ საბადოს მე-12, მე-15 და მე-16 ფაზების ათვისებას.

ენერგობაზრებზე ვითარების ამ სცენარით განვითარება ევროპისათვის „სამხრეთის გაზის დერეფნის“ — აზერბაიჯანის, საქართველოსა და თურქეთის მარშრუტის მნიშვნელობას კარდინალურად შეამცირებს. ბაქო შესაძლოა, დასავლეთის მხრივ კრიტიკის ობიექტად იქცეს იმ საკითხების გამო, რაზეც დღეს ევროპას „თვალის დახუჭვა“ ურჩევნია — ადამიანის უფლებების დარღვევები, პრესაზე ზეწოლა, ეროვნული და რელიგიური უმცირესობების პრობლემები... საქართველოსაც, ყაზახურ და ირანულ გაზზე იოლი ხელწვდომის მიღების შემთხვევაში, „დამყოლი“ ტრანზიტორის ნაცვლად, ეძლევა შანსი, რომ აზერბაიჯანისთვის გადაიქცეს მომთხოვნ გადამყიდველად, ანუ რეექსპორტიორად, ისეთად, როგორიც ბაქოსთვის თურქეთია.

საინტერესოა ისიც, რომ ირანის გლობალურ ენერგეტიკულ ბაზარზე დაბრუნება შეიძლება რუსეთისთვისაც პოზიტიური იყოს. ევროპისათვის მისაწოდებელი საექსპორტო გაზის საბადოების ამოწურვის და გართულებული ტრანზიტის ფონზე, ძნელი გამოსარიცხია, მოსკოვმა საბჭოთა კავშირის დროინდელი მექანიზმი არ აამოქმედოს. კერძოდ, შეიძლება მოსკოვმა სამხრეთ კავკასიაში თავის სტრატეგიულ მოკავშირეს, სომხეთს („გაზპრომის“ საკუთრებაში მყოფ „არმროსგაზპრომს“) ევროპის მიერ შესყიდული ირანული გაზის თავრიზი-მეგრის გაზსადენით იმპორტის და შესაბამისი ოდენობის რუსული გაზის, როგორც ირანულის, ევროპაში ექსპორტის („სვოპი“) სქემით მუშაობა დაავალოს.

ამის შემდეგ, სავარაუდოდ, რუსეთის ან ირანის მხრივ შეიძლება, ისევ წამოიჭრას რუსეთ-სომხეთის დამაკავშირებელი საქართველოს „ჩრდილოეთ-სამხრეთის მაგისტრალური გაზსადენის“ პრივატიზების საკითხი, ამიტომ ჰასან როუჰანის მთავრობასთან მოლაპარაკება, თუკი ასეთი შედგება, სწორედ ამ გაზსადენის სტრატეგიული ადგილისა და როლის გათვალისწინებით უნდა დაიწყოს. რვა წლის წინ სწორედ ამ გაზსადენის ხელში ჩაგდებას ცდილობდა რუსული სახელმწიფო მონოპოლისტი „გაზპრომი“.

მაგისტრალური გაზსადენის დილემა

რუსული ენერგოკომპანიების, მათ შორის „გაზპრომის“ სტრატეგიას, უპირველესად, მათზე სახელმწიფოს პირდაპირი თუ არაპირდაპირი კონტროლი განაპირობებს, რომელიც აღნიშნულ სამეწარმეო სუბიექტებს, რუსული გეოპოლიტიკური ინტერესების აქტიურ გამტარებლებად აქცევს. აქედან გამომდინარე, ანტიირანული სანქციების გაუქმების შემდეგ, „გაზპრომს“, სავარაუდოდ, დაევალება სომხეთ-საქართველოს გაზის ქსელი რევერსით, ანუ გაზის ნაკადის საპირისპირო მიმართულებით – სამხრეთიდან ჩრდილოეთით გასატარებლად გამოიყენოს, როგორც ირანული გაზის ევროპაში ტრანზიტის გზა.

სწორედ ამით იყო გამოწვეული 2005 წელს „გაზპრომის“ ინტერესი ჩვენი მაგისტრალური გაზსადენის პრივატიზებისადმი. სხვაგვარად ვერ აიხსნება „გაზპრომის“ სურვილი მაღალი სიმძლავრის, მაგრამ დაუტვირთავი (ძირითადი — 1200 მმ, სარეზერვო — 700 მმ მილები სანახევროდაც არაა დატვირთული! მისი საპროექტო სიმძლავრეა 18 მლნ. კუბ/მ, სსრკ-ს დაშლის შემდეგ მოხმარების შემცირების გამო, ის მხოლოდ 9,5 მლნ. კუბ/მ-ს ატარებს წელიწადში) გაზსადენის მიმართ, რომლითაც სომხეთი რუსული გაზით მარაგდება. ამიტომაც არის, რომ 2007 წელს „გაზპრომმა“ მხარი დაუჭირა ირანიდან სომხეთში გაზსადენის მშენებლობას. მეტიც, მან მონაწილეობა მიიღო გაზსადენის მშენებლობის დაფინანსებაში — „გაზპრომიდან“ 140 მლნ. დოლარის კრედიტით გაზსადენის 120 კმ-იანი სომხური მონაკვეთი გაიყვანეს. გაზსადენი 2007 წლის 20 მარტიდან უკვე ფუნქციონირებს.

ამავე დროს, „გაზპრომი“ აქტიურადაა ჩართული ირანის „სამხრეთ ფარსის“ გაზის საბადოს ათვისებაში. იგი ფლობს 30%-იან წილს და აშენებს 56-დუიმიან გაზსადენს ჩრდილოეთ ირანის მიმართულებით. ე.ი. საქართველოზე გამავალი მაგისტრალური გაზსადენის პრივატიზების შემთხვევაში „გაზპრომს“ ექნება საკუთარი (ანუ ირანში მოპოვებული) გაზი და მილი (ანუ ჩვენი „მაგისტრალური გაზსადენი“) ევროპაში გაზის გადასაგზავნად. ამასთან, ვინაიდან 1998 წლის შემდეგ, „არასასოფლო-სამეურნეო მიწის პრივატიზების“ შესახებ კანონის მოთხოვნით, ყველა სახელმწიფო ობიექტი მიწიანად უნდა გაიყიდოს „გაზპრომს“, ამ გაზსადენის პრივატიზების შემთხვევაში, ექნება მილი თავის მიმდებარე მიწიანად. ეს კი რუსეთს საშუალებას მისცემს გაზსადენის უსაფრთხოების დაცვის მოტივით მოითხოვოს გარკვეული სამხედრო კონტინგენტის გამოყენება გაზსადენის ნებისმიერ წერტილში.

1999 წელს, საქართველოში, „გაზის საერთაშორისო კორპორაციის“ შექმნა და მის საწესდებო კაპიტალში მაგისტრალური გაზსადენის ჩადება, თავდაპირველად, სწორედ ერთობლივი რუსულ-ქართული საწარმოს (სახელწოდებაში „საერთაშორისო“ სწორედ ამ მიზეზით გაჩნდა) შესაქმნელად იყო მოფიქრებული.

შეუძლებელია, დაეთანხმო მოსაზრებას, თითქოს „გაზპრომს“ ჩვენი გაზსადენი თურქეთში გაზის ტრანზიტისთვის სჭირდება. აღმოსავლეთ თურქეთის ბაზარი რუსეთსა და ირანს ისედაც ათვისებული აქვს.

ჩვენი მაგისტრალური გაზსადენის პრივატიზებითა და გაზის ნაკადის მიმართულების შეცვლით, რუსეთი განიმტკიცებს ევროპაში გაზის მონოპოლისტის როლს — ბალტიის ფსკერზე გაზსადენის გერმანიაში გაყვანის შემდგომ, სხვა არსებული გაზსადენებითა და ირანული გაზით, მას გარანტირებული ექნება ევროპაზე ხანგრძლივი გეოპოლიტიკური ზემოქმედება. თანაც ის კიდევ უფრო „მიიბამს“ სტრატეგიულ პარტნიორებს, სომხეთსა და ირანს.

გაზის ქსელების აღნიშნული კონფიგურაცია, შესაძლოა, კვლავ აღორძინდეს, თუ ირანის პრეზიდენტი ჰასან როუჰანი დასავლეთთან ურთიერთობის ნორმალიზებას გადაწყვეტს. ეს მით უფრო გასათვალისწინებელია, რომ ისეთი სატრანზიტო ქვეყნები, როგორიცაა სირია და თურქეთი უკვე ორ წელზე მეტია, ერთმანეთთან შეიარაღებულ დაპირისპირებაში იმყოფებიან.

„იუნესკომ“ ბაგრატის ტაძარი საფრთხეში მყოფი ძეგლების ნუსხაში დროებით დატოვა

კამბოჯაში, მსოფლიო მემკვიდრეობის კომიტეტის 37-ე სესია 17 ივნისს გაიხსნა. კომიტეტის სესიაზე დამკვირვებლის სტატუსით იმყოფება ქართული დელეგაცია კულტურისა და ძეგლთა დაცვის მინისტრის პირველი მოადგილის, მარინე მიზანდარის ხელმძღვანელობით. მისი განცხადებით, „იუნესკომ“ გელათის გამო, ბაგრატის ტაძარი საფრთხეში მყოფი ძეგლების ნუსხაში დროებით დატოვა, რათა ამ სიიდან გელათი არ ამოვარდნილიყო: **„ფორმალურად არანაირი მნიშვნელობა არ აქვს, ბაგრატი საფრთხეში მყოფ ძეგლთა ნუსხაში ერთი წელი იქნება თუ მეტი. ბაგრატის მსოფლიო მემკვიდრეობის ძეგლთა ნუსხიდან ამოღების საკითხი გადაწყვეტილია. იუნესკომ გამოიჩინა კეთილი ნება და ნუსხიდან ბაგრატი ახლა არ ამოიღო, რადგან ბაგრატი და გელათი ერთი ნომინაციის ორი კომპონენტია. მოგვცეს საშუალება, ბაგრატი გელათით ჩავანაცვლოთ და იგი დამოუკიდებლად იყოს წარმოდგენილი. შეიქმნება სამუშაო ჯგუფი, რომელიც გელათის გამორჩეული ღირებულების წარმოსაჩენად და დასადასტურებლად იმუშავებს, თუმცა ეს არ ნიშნავს, რომ „იუნესკო“ გელათს ცალკე ნომინაციაში აუცილებლად შეიყვანს. უპრეცედენტო შემთხვევაა, ერთი ნომინაციის შემადგენელი ორი კომპონენტიდან ერთი ამოვარდეს და მეორე დარჩეს. გელათზეც ფრთხილად საუბრობენ“.**

დამოუკიდებელი ექსპერტი, კულტურული მემკვიდრეობის დაცვის ეროვნული სააგენტოს ყოფილი ხელმძღვანელი ნიკა ვაჩეიშვილი კი აცხადებს, რომ ბაგრატის ტაძარი მსოფლიო მნიშვნელობის ძეგლთა ნუსხიდან ჯერ არ არის ამოღებული. „იუნესკოს“ კომიტეტის 37-ე სესიამ ამასთან დაკავშირებით, მხოლოდ რეზოლუცია მიიღო. ვაჩეიშვილისთვის გაუგებარია მიზანდარის „სიხარულნარევი და წინსწრებად თქმული განცხადება, რომ ბაგრატი ნუსხიდან ამოიღეს“. მისივე თქმით, ბაგრატის ტაძრის მსოფლიო მნიშვნელობის ძეგლთა ნუსხიდან ამოღების საკითხი 2014 წლის ზაფხულში დადგება: **„ცოტა უკეთესი კომუნიკაცია რომ ჰქონოდა კულტურის სამინისტროს იუნესკოს შესაბამის რგოლებთან, უკეთეს რეზოლუციას მიიღებდნენ. ბაგრატის ტაძრის საკითხი გასული იყო და ქართული დელეგაციის წევრები კომიტეტზე შემდეგ ჩავიდნენ. ასეთი უპასუხისმგებლობა გაუგებარია. ინტენსიური შეხვედრების პერიოდია და ბევრი რამ წყდება მსოფლიოს სხვადასხვა კუთხიდან ჩასულ ექსპერტთან შეხვედრისას. „იუნესკომ“ ბაგრატი როცა შეიყვანა მსოფლიო მნიშვნელობის ძეგლთა ნუსხაში, მაშინ ეს აღქმული იყო, როგორც წინგადადგმული ნაბიჯი. ბაგრატი 1994 წელს რეგისტრირებული იყო, როგორც ნანგრევი და მისი აშენება საქართველოს პირდაპირ ეკრძალებოდა. მაშინ ვინმეს ცოტა წინ რომ გაეხედა, ბაგრატის ტაძრის ნანგრევად დატოვება ქართული ეკლესიისა და ქართული საზოგადოების მიერ არ იქნებოდა შეწყნარებული. ბუნებრივია, როდესაც ბაგრატის ტაძარი აღდგა, ის არ აკმაყოფილებს იმ კრიტერიუმს, რითაც შეცდომით შევიდა თავის დროზე“.**

ვაჩეიშვილის თქმით, ბაგრატისა და გელათის ნომინაციის გამიჯვნა ბუნებრივი პროცესია, რომელიც, შეიძლება უმტკივნეულოდ წარიმართოს, თუ კულტურის სამინისტრო უკეთ იმუშავებს.

იუნესკომ დაადასტურა, რომ ბაგრატის ტაძარი იმ ძეგლთა სიაში რჩება, რომელთაც საფრთხე ემუქრებათ. ორგანიზაციის წარმომადგენლის პეტია ტოტჩაროვას თქმით: **„ბაგრატის ტაძარი კულტურული მემკვიდრეობის სიიდან არ არის ამოღებული, ის რჩება იმ ძეგლების სიაში, რომლებსაც საფრთხე ემუქრებათ. კომისიას არ მიუღია გადაწყვეტილება, ტაძარი სიიდან ამოვარდეს მომავალი წლის სესიაზე. ყოველ წელს განვიხილავთ რა უნდა გაკეთდეს, მაგრამ გადაწყვეტილებას წინასწარ არასდროს ვიღებთ. ოფიციალური გადაწყვეტილება 25 ივნისს გამოქვეყნდება“.**

„ვერსიანიუსი“

„ირაკლი მეფეა! მე არ ვარ დედოფალი, მე ვარ მეფის ქეთათო და აუცილებლად ვიტყვი ჩემს სათქმელს!“

ნათია ვასაძე
555-98-61-65

წარმოუდგენელია, ერთხელ მაინც ნახო და მის მიმართ პატივისცემის გრძნობით არ განეწყო... მრავალმხრივი ინტერესებისა და გამორჩეული ხმის მქონე მომღერალი, თავდაპირველად, ყურადღებას მაინც განსაკუთრებული, დასამახსოვრებელი გარეგნობით იქცევს. თავის დროზეც ხომ, სწორედ ამ განსაკუთრებულობის გამო გახდა ირაკლი ჩარკვიანის ცოლი — წარმოუდგენელია, იყო მეფე და „ჩვეულებრივი“ ქალი გყავდეს გვერდით. ალბათ მიხვდით — ქეთათო ჩარკვიანზე ვსაუბრობ, რომელიც ყველაფერთან ერთად, საინტერესო და გულღია რესპოდენტიც აღმოჩნდა.

— ქეთათო, რა შეიცვალა ქვეყანაში ახალი ხელისუფლების მოსვლის შემდეგ?

— არჩევნების გზით ხელისუფლების შეცვლა დემოკრატიული პროცესის განუყოფელი ნაწილია. ქვეყნის სათავეში არავინ მოდის სამარადჟამოდ და ხალხის მიერ გადაცემული ნდობის მანდატი მაქსიმალურად ეფექტურად უნდა გამოიყენონ. ბევრი რამ არ მომწონს ჩვენს ყოველდღიურობაში... კულტურა მხოლოდ უმაღლესის დამთავრებით არ განისაზღვრება. ავტომობილით მავალმა ფეხით მოსიარულეს გზა რომ უნდა დაუთმოს, ეს მხოლოდ კარგი ოჯახისშვილობით გამოწვეული იშვიათი გამონაკლისი კი არა, საზოგადოებაში გამჯდარი რეფლექსი უნდა იყოს. სულ წარსულს რომ მივტირით, სჯობს, საკუთარ თავს ჩავუღრმავდეთ და რეალობას გავუსწოროთ თვალი. ცივილიზაციისკენ უნდა გავიხედოთ. ჩემი მოგონილი ხომ არაა — მოხუცს რომ ადგილი უნდა დაუთმო, ადამიანი რომ არ უნდა გადათელო, ცხოველები რომ არ უნდა აწამო... იცით, როგორ სადისტურად ხოცავენ ცხოველებს საქართველოში?! ეს კოშმარია. მრცხვენია, რომ ამ ყველაფრის ნაწილი ვარ! და რას ვაკეთებთ ამ რეალობის შესაცვლელად?! მხოლოდ ხელისუფლება ამ პრობლემას ვერ უშველის. პირველ რიგში, ამა თუ იმ სოციალურ თემასთან დაკავშირებით, საზოგადოების მიდგომა უნდა შეიცვალოს. სამოქალაქო საზოგადოებამ ქვეყანაში მიმდინარე პროცესებზე სწორი რეაგირება უნდა მოახდინოს.

— ბოლო დროს, რატომღაც მხოლოდ რუსული ესტრადის დაბალ დონეზე საუბრობენ. რუსულ მუსიკას უსმენთ?

— განა ქართული ან უცხოური სიმღერა არ შეიძლება იყოს დაბალი დონის?! „ნაგავი“ არც ჩემი მინდა და არც სხვისი, თორემ ვლადიმერ ვისოცკის, ჟანა აგუზაროვას, ვიკტორ ცოის ვუსმენდი, ვუსმენ და მოვუსმენ.

— მუსიკალური სფეროს წარმომადგენლებთან ნაკლებად მეგობრობთ...

— დიახ, თუმცა ხშირად დავდივარ წვეულებებსა და საზოგადოების თავშეყრის ადგილებში. ირგვლივ უამრავი საინტერესო ადამიანია. პანაცეა არაა მხოლოდ მუსიკოსებთან კონტაქტი.

— მიგაჩნიათ, რომ განსხვავებული მუსიკალური გემოვნება გაქვთ?

— არა მგონია. ყოველ შემთხვევაში, მე და ის ხალხი, ვისთანაც ურთიერთობა მაქვს, დაახლოებით, ერთი ტიპის მუსიკას ვუსმენთ.

— საქართველოში ჩამოყვანილი უცხოელი მომღერლების რეპერტუარი ჯდება თქვენ გემოვნებაში?

— იშვიათად ჩამოჰყავთ ისეთი შემსრულებელი, რომლის კონცერტზე წასვლაზე თვეობით ადრე ფიქრობ და ღელავ. ამას წინ, ჩემი უსაყვარლესი მუსიკოსი „თინქი“ ჩამოვიდა. თითქმის 20 წელია მის მუსიკას ვუსმენ. ის გადარეული, დამთხვეული მუსიკოსია — იგინება, იფურთხება... „ცუდი ბიჭის“ იმიჯი აქვს, მაგრამ ერთადერთია, ძალიან მაგარია...აი, ისეთი, კარგ მანერებს რომ ვერ მოსთხოვ. კონცერტის შემდეგ, უამრავი მისი „ფანი“ დარჩა იმედგაცრუებული, უზრდელი ყოფილაო. ადამიანებს უბრალოდ, ზედმეტი მოლოდინი ჰქონდათ... ხელისუფლების მიმართაც ასეთი განწყობა მაქვს — სასწაული თავისით არ ხდება. მას ადამიანი ახდენს თავისი ცნობიერი, მიზანმიმართული ქმედებებით და საკუთარ თავზე მუშაობით.

— თავად რა ფორმით გამოხატავთ პროტესტს?

— რომელიმე პოლიტიკური ძალის მხარდასაჭერად აქციებზე სიარული საჭიროდ არ მიმაჩნია. პროტესტის ამ ფორმას მხოლოდ მაშინ მივმართავ, თუ საფრთხე აზრის გამოხატვის თავისუფლებას ემუქრება.

— ბოლოს, სექსუალური უმცირესობების მხარდასაჭერ აქციაზე გამოჩნდით...

— ვალდებულად ჩავთვალე თავი, ამ აქციაზე წავსულიყავი და სულაც არ მადარდებს, რომ შეიძლება, ამის გამო ბევრმა უშვერი სიტყვებითაც მომიხსენიოს. მათთვის მხოლოდ ერთი პასუხი მაქვს — არა სიბნელეს!

— რელიგიური ხართ?

— ღმერთის მწამს, თუმცა ყოველ შაბათ-კვირას ეკლესიაში არ დავდივარ. მუდმივად ვაკონტროლებ ჩემს ფიქრებს — ცუდი ქმედების ჩადენა კი არა, ვცდილობ, ჩანასახშივე ჩავკლა ყველანაირი აღშფოთება და გაბრაზება.

— „არა ოკუპაციას!“ — ასე ჰქვია რუსული აგრესიის წინააღმდეგ მიმართულ კლიპს, რომელშიც მონაწილეობთ. ახალი ხელისუფლება სწორ სვლებს აკეთებს ოკუპაციის პრობლემის გადასაჭრელად?

— მოსაზრება, რომ ხელოვანი ადამიანების რუსეთში „ჩასვლა-ჩამოსვლით“ დავიბრუნებთ დაკარგულ ტერიტორიებს, მცდარია. მრჩევლად ვერ გამოვდგები. ყველა ხელოვანმა თავად უნდა გადაწყვიტოს, როგორ მოიქცეს. ყველას თავისი რუსეთი აქვს. რუსეთი, რომელიც მე მიყვარს, იმ ხალხთან ასოცირდება, ვისაც ჩვენი ერი ძალიან უყვარს... არა მგონია, დღევანდელმა ხელისუფლებამ გამოუსწორებელი შეცდომები დაუშვას. რუსეთს ყოველთვის ექნება ინტერესი საქართველოში. ყველაფერი უნდა გავაკეთოთ, რომ მსოფლიომ არ მისცეს მას ჩვენი დაპყრობის საშუალება.

— ნაციონალური ხელისუფლების „ფავორიტად“ რატომ მოგიაზრებენ?

— არ ვიცი... შეიძლება იმიტომ, რომ „ვერის უბნის მელოდიებში“ მივიღე მონაწილეობა, თორემ არც ერთი ხელისუფლების მხარდამჭერი არ ვყოფილვარ. პრივილეგიებიც არასოდეს მქონია. თავის დროზე, „უცნობის“ კლიპში გადაღებაზეც პოლიტიკური მესიჯების გამო ვთქვი უარი.ხელოვნებაში, პირდაპირი მითითებების მომხრე არ ვარ — სხვა ფორმითაც შეიძლება ეფექტურად თქვა სათქმელი...

— ირაკლი რომ არა, მუსიკალურ კარიერას ააწყობდით?

— საერთოდ ვერ წარმომიდგენია, როგორი იქნებოდა ჩემი ცხოვრება, რომ არა ირაკლი... ჩემი ურთიერთობა ირაკლის მუსიკასთან 12 წლიდან დაიწყო. 13 წლიდან — მის პოეზიას ვეზიარე, 16-დან თავად ირაკლისთან დავიწყე ურთიერთობა, უფრო სიღრმისეული ურთიერთობა კი 17 წლიდან დაიწყო... ბედნიერი ვარ და მეამაყება, ირაკლის გვერდით რომ ვიყავი. ეს არის ის, რაც უსასრულოდ გაგრძელდება...

— რა გრძნობა დაგეუფლათ, ირაკლის რუსთაველის სახელობის პრემია რომ მიანიჭეს?

— მესიამოვნა, რომ დააფასეს, თუმცა ვფიქრობ, ირაკლის სიცოცხლეშივე ჰქონდა ყველა პრემია, ჯილდო თუ ძეგლი. შეიძლება ჩემგან, როგორც მისი ოჯახის წევრისგან, ცოტა ქედმაღლურად ჟღერს, მაგრამ არ მომერიდება: გავა დრო და ირაკლი ჩარკვიანით თაობები იამაყებს! ხშირად ვამბობ, რომ ბევრი რამე არ მომწონს ქართველ ხალხში, მაგრამ ერთი მიზეზით მეამაყება ქართველობა — საქართველოში დაიბადა და ცხოვრობდა ირაკლი ჩარკვიანი!

— სხვა ქვეყანაში რომ ეცხოვრა, მეტად დააფასებდნენ?

— მეტადაც დააფასებდნენ და ნიჭის გამოვლენის მეტი შესაძლებლობაც ექნებოდა. ამპარტავანი და შურიანი ერი ვართ, ამიტომ აქ განსაკუთრებით რთულია ნიჭიერი ადამიანის ხვედრი. ირაკლის კი მრავალწახნაგოვანი ნიჭი ჰქონდა. ის მეფე იყო!

— როგორია მეფის გარეშე დარჩენილი ქეთათოს ცხოვრება?

— ყოველდღიურად ვაცნობიერებ ირაკლის ფენომენს და ამით უფრო და უფრო ვუახლოვდები მას. ხელახლა ვკითხულობ მის ლექსებს, რომლებიც ისედაც ზეპირად ვიცი... მისი სტრიქონებით თითქოს ღვთიურ ჭეშმარიტებას ვუახლოვდები... რთულია ირაკლის გარეშე ცხოვრება. უფრო რთულია, მის შემდეგ იპოვო ადამიანი, რომელსაც ენდობი და რომლის რწმენაც გექნება... ბედნიერი ვარ, რომ ნანა ჩემი შვილია. ხშირად ვკამათობთ, მაგრამ ყველაზე მეტად მაინც მის აზრს ვითვალისწინებ. ზოგჯერ მეწინააღმდეგება, მაგრამ თუ მიხვდა, რომ მართალი ვარ, უპრობლემოდ მთანხმდება. ძალიან კარგი გოგონა მყავს — ლაღი, კონტაქტური, ნიჭიერი...

— სამომავლოდ, რა გეგმებს განახორციელებთ?

— სამწუხაროდ, არ მყავს ბენდი. ხან ვარ დატვირთული შემოქმედებითად, ხან არა — არ მაქვს ხშირი რეპეტიციები. ახლახან პიესაზე დავიწყე მუშაობა... მალე, ჩემს შემოქმედებაში სიახლეც იქნება, თუმცა ჯერ ვერ გაგიმხელთ. ძალდატანებით ვერაფერს შექმნი. ის, რაც ხდება, ყოველთვის დროული და ზუსტია იმ მომენტისთვის. აუცილებელი არაა, ხშირად ჩანდე — მთავარია, სათქმელი დაგიგროვდეს, რომ გამოხატო მთელი სიმძაფრით. ირაკლი მეფეა! მე არ ვარ დედოფალი, მე ვარ მეფის ქეთათო და აუცილებლად ვიტყვი ჩემს სათქმელს!

სუდოკუ

ადვილი

2			7					
	9		5					
	6					5	2	3
8			6				3	1
	5		3		9		6	
6	1				7			5
5	4	1					8	
					4		5	
					1			7

სტანდარტი

		6						
4			3		6	5		7
8				2				6
	2		7			3		
3	9						7	4
		4			3		2	
6				7				2
2		9	1		8			3
						8		

რთული

	6				4			
		1		3		5	8	
9		5		1				
	1		9				7	
8								2
	5				2		3	
				4		8		1
	7	8		9		6		
			3				9	

ექსპერტი

		3	2	8	6			4
			5			1	8	
			4					7
9	6					4		
			9		4			
		5					6	8
7					5			
	4	2			9			
5			7	4	2	8		



ძალადობას ბუდას სკულპტურებით შეებრძოლებიან

აშშ-ს ერთ-ერთი ყველაზე საშიში ქალაქის — ჩიკაგოს ბევრი მცხოვრები მიიჩნევს, რომ დანაშაულთან ბრძოლა მხოლოდ პოლიციელების რაოდენობის გაზრდითაა შესაძლებელი, სხვები ირწმუნებიან, რომ ჯერ მშობლებს უნდა ასწავლონ, როგორ გაზარდონ კარგი შვილები... მხატვართა ერთმა ჯგუფმა კი თეორიებს მოქმედება არჩია და ჩიკაგოს მიყრუებულ უბნებში, მოედნებზე, პარკებში — იქ, სადაც ახალგაზრდული ბანდები იყრიან თავს, ბუდას სკულპტურების დადგმა დაიწყო. საზოგადოებამ „ათი ათასი წრე“ ქალაქში უკვე 100 ასეთი ქანდაკება დადგა. როგორც ჯგუფის ხელმძღვანელი, მხატვარი ინდირა ჯონსონი აცხადებს, ბუდას სკულპტურებთან გამვლელები ხშირად ჩერდებიან, უყურებენ მას და საკუთარ ცხოვრებაზე ფიქრობენ. ეს მშვიდობისკენ მოწოდებას ჰგავს და ხალხიც მას უპასუხოდ არ ტოვებს, — ამბობს მხატვარი. ქანდაკებების დადგმა არც ისე იოლი საქმე აღმოჩნდა. საამისოდ, ჯგუფს სახელმწიფო ორგანიზაციების, კერძო კომპანიებისა და რელიგიური საზოგადოებების დახმარება დასჭირდა, ბუდას ქანდაკების დასადგმელად მაქსიმალურად ეფექტური ადგილი რომ მიეღოთ. ოფიციალური სტატისტიკით, ჩიკაგოში შარშან მკვლელობის რიცხვი 17%-ით გაიზარდა.

აბაზანა სხეულის ფორმას იღებს

კომპანია Ideal Standard International-მა გადაწყვიტა, უფრო პერსონალიზებული გაეხადა აბაზანის მიღების პროცესი და შექმნა Soft — აბაზანა, რომელიც ადამიანის სხეულის ფორმას იღებს, ბანაობის დასრულების შემდეგ კი, საწყის მდგომარეობას უბრუნდება. ეს უჩვეულო აბაზანა პოლიეთერისა და პოლიუერთანისგანაა დამზადებული და ტრადიციულ მასალაზე — აკრილზე გაცილებით მსუბუქია. გარდა ამისა, ახალ აბაზანას, მისი მასალის წყალობით, ორჯერ მეტხანს შეუძლია წყლის ტემპერატურის შენარჩუნება... ამ სფეროში კიდევ ერთ სიახლეს კომპანია Water Games Technologies გვთავაზობს, რომელმაც აბაზანა Red Diamond შექმნა — წყლის ტემპერატურის პარამეტრები, შეგიძლიათ მოკლე ტექსტური შეტყობინებით გაგზავნოთ, რადგან აბაზანა GSM-მოდულითაა აღჭურვილი. გარდა ამისა, Red Diamond აღჭურვილია ფერადი ნათებით, მას დეზინფექციის პროგრამული სისტემა და ორი დისპლეიც აქვს — ჩანს, სიახლის ავტორებმა იფიქრეს, რომ უბრალოდ აბაზანის მიღება მეტად მოსაწყენი საქმეა. სურვილის მიხედვით, შეგიძლიათ ფილმს უყუროთ, მუსიკას მოუსმინოთ ან კომპიუტერული თამაშებით გაერთოთ. თანაც, ეკრანები 18-კარატიანი ოქროთი და „სვაროვსკის“ კრისტალებითაა გაწყობილი, ფასიც „შესაბამისი“ აქვს და, დაახლოებით, 50 ათასი დოლარი ღირს.

ᲰᲝᲠᲝᲡᲙᲝᲞᲘ
21 ᲘᲕᲜᲘᲡᲘ

ᲕᲔᲠᲫᲘ — საკმაოდ დაძაბული დღეა, მაგრამ ეგელასფერს თავს გაართმევთ. საღამოს შესაძლოა, უამრავი ახალი ამბავი შეიტყოთ, ამიტომ აუცილებლად დაგჭირდებათ სიმშვიდეში განმარტოება.

ᲙᲣᲠᲝ — დღე შესაძლოა სავსე იყოს მოულოდნელობებით, მაგრამ თქვენი ოპტიმიზმი და სიმტკიცე წარმატებისა და პრობლემებთან გამკლავების სასიკეთო პირობებს შექმნის.

ᲢᲕᲣᲜᲔᲑᲘ — შეეცადეთ, დღეს პროფესიულ საქმიანობაში კონკრეტული შედეგი მიიღოთ. საკუთარ სიმართლეში გარშემომყოფთა დარწმუნების უნარი წარმატებას მოგიტანთ.

ᲙᲘᲠᲩᲮᲘᲑᲘ — თუ ახალი საქმე გაქვთ ჩაფიქრებული, დღეს თამამად შეგიძლიათ დაიწყოთ. მართალია, ახალ ჰორიზონტს არც ისე ადვილად დალაშქრავთ, როგორც გინდათ, მაგრამ წარმატებას მაინც მიაღწევთ.

ᲚᲝᲛᲘ — ვიდრე დაგეგმილ სამუშაოს შეუდგებოდეთ, გაითვალისწინეთ წარსულის შეცდომები და მხოლოდ მთავარზე გააკეთეთ აქცენტი.

ᲥᲐᲚᲬᲣᲚᲘ — დღეს კარგი ამბის მოლოდინი გქონდეთ. ის გულს გაგითბობთ და სწორ გზაზე დაგაყენებთ... ეცადეთ, ნაკლებად კონფლიქტური იყოთ, რადგან ამის გამო თავს ძალიან ცუდად იგრძნობთ.

ᲡᲐᲡᲬᲝᲠᲘ — დღე არ არის კარგი აჩქარებისთვის. ვიდრე საჭირო გადაწყვეტილებას მიიღებდეთ, კარგად დაფიქრდით ან სხვებს ჰკითხეთ რჩევა.

ᲦᲠᲘᲐᲜᲪᲐᲚᲘ — დღეს მაქსიმალურად მიზანმიმართული იყავით და არავითარ შემთხვევაში, თავს სიზარმაცის უფლება არ მისცეს, მხოლოდ თავდაუზოგავი შრომით მიაღწევთ დასახულ მიზანს.

ᲛᲬᲕᲘᲚᲝᲕᲐᲜᲘ — თქვენი სწრაფვა პირველობისკენ, დღეს გარკვეულ პრობლემებს შეგიქმნით გარშემომყოფებთან, უმჯობესი იქნება, კომპრომისზე წახვიდეთ, ოდონდ საკუთარ პრინციპებზე უარი არ თქვათ.

თხის რქა — „ნაცრისფერი“ დღეა, არაფრით გამორჩეული, ეცადეთ, ამან დეპრესიაში არ ჩაგაგდოთ, კარგი იქნება, თუ მეგობრებს მოინახულებთ, მათთან ურთიერთობა მარტოობას დაგვიწყებთ.

მერწყული — ვიდრე სამომავლო გეგმებს დასახავთ, ჩამოყალიბდით მათი განხორციელების გზასა და საშუალებაზე. საკუთარი შესაძლებლობებიც სათანადოდ შეაფასეთ და არსებული პრობლემები ცოტა ხნით დაივიწყეთ.

თევზები — დღეს ჭორებისა და სიცრუის ეპიცენტრში აღმოჩნდებით, არაა გამორიცხული, უსიამოვნებისა თუ გაუგებრობის პროვოცირება თავადვე მოახდინოთ.

სასტუმრო მასხარას ვაკანსიას აცხადებს

ერთ-ერთმა ავსტრიულმა ოტელმა მასხარას ვაკანსია გამოაქვეყნა. დაწესებულების დირექტორის თქმით, ამ თანამდებობის მისაღებად კანდიდატებს კარგი წარმოსახვის უნარი და შემოქმედებითი ნიჭი უნდა ჰქონდეთ და მუსიკალურ ინსტრუმენტებზე დაკვრაც უნდა შეეძლოთ. ამ ინსტრუმენტების თანხლებით, ვაკანსიის დაკავების მსურველები გასაუბრებაზე უნდა მოვიდნენ, სადაც თავიანთ ნიჭს გამოავლენენ. ვისაც ბედი გაუღიმებს და ოტელში სამსახურს მიიღებს, ხელფასი თვეში 1400 ევრო ექნება. როგორც დირექტორი აცხადებს, ეს გადაწყვეტილება იმის გამო მიიღეს, რომ სასტუმროს კლიენტებმა თავი სამეფო ოჯახის წევრებად იგრძნონ.

ქალმა მზით „კვება“ გადაწყვიტა

65 წლის მანდილოსანმა ნისლიანი ალბიონიდან გადაწყვიტა, საკვების მიღებაზე უარი თქვას და ორგანიზმისთვის აუცილებელი ნივთიერებები მხოლოდ მზისგან მიიღოს. როგორც ბრიტანული პრესა წერს, ქალბატონმა ნავინა შაინმა საჭმელი ბოლოს თვენახევრის წინ მირთვა, მას შემდეგ კი მხოლოდ წვენებს სვამდა, რითაც საკუთარი ორგანიზმი საკვების გარეშე ცხოვრებისთვის შეამზადა, ახლა კი ის მხოლოდ წყალზეა და, როგორც ამბობს, სულაც არ განიცდის შიმშილის გრძნობას. ამ უჩვეულო ექსპერიმენტის დაწყების წინ, ნავინამ საკუთარ სახლში ვიდოეკამერები დაამონტაჟა, რომლებიც მის ფიზიკურ მდგომარეობასა და ეგრეთ წოდებული, მზის დიეტის მიმდინარეობას 24-საათიან რეჟიმში აფიქსირებს. დიეტის დაწყებისას ბრიტანელი 72 კილოგრამს იწონიდა, ახლა კი მისი სხეული 14 კილოგრამით შემსუბუქდა. მთავარია, გაექცე საკვებზე ფიქრს, მისი ტყვე არ გახდე და დანარჩენი უკვე ადვილია, — აცხადებს ნავინა. მედიის ცნობით, დღეს მსოფლიოში 5 ათასამდე ადამიანი ცხოვრობს, რომელთაც უარი განაცხადეს საკვების მიღებაზე. თუმცა, მეცნიერები ამ გადაწყვეტილებას არ იწონებენ და ამბობენ, რომ კვება აუცილებელია, რადგან არ არსებობს არანაირი საშუალება, რაც ადამიანს საკვების მიღების გარეშე სიცოცხლეს შეუნარჩუნებს.

Appraisal.llc

შპს „აპპრაისალი“ გთავაზობთ,

უძრავი და მოძრავი ქონების შეფასებას

ალექსანდრე ფურცელაძე
მისამართი: ნუცუბიძის №16ა
ტელ.: (5)99 22 98 33
ელ-ფოსტა: a.purtseladze@gmail.com

ᲰᲝᲠᲝᲡᲙᲝᲞᲘ
22 ᲘᲕᲜᲘᲡᲘ

ᲕᲔᲠᲫᲘ — ეური დაუგდეთ გარშემომყოფების მოსაზრებებს. დღეს საკუთარ თავზე ბევრ საინტერესოს შეიტყობთ, რაც მომავლის უკეთესობისკენ შეცვლაში დაგეხმარებათ, თუმცა, ნუ ჩაუღრმავდებით დეტალებს და დრო სხვა უფრო მნიშვნელოვან საკითხებს დაუთმეთ.

ᲙᲣᲠᲝ — პირადი ცხოვრება უნდა დაივიწყოთ, რადგან მთელი დღე გარშემომყოფების პრობლემების მოგვარებით იქნებით დაკავებული.

ᲢᲕᲣᲜᲔᲑᲘ — დღეს იმაზე მეტს იტვირთავთ, ვიდრე შეგიძლიათ. მაგრამ, საბედნიეროდ, საღამოსთვის ეგელასფერს გაართმევთ თავს. საღამოს კი ეცადეთ, მაქსიმალურად განიტვირთოთ.

ᲙᲘᲠᲩᲮᲘᲑᲘ — დღეს უამრავ ინფორმაციას მიიღებთ. შეეცადეთ, სასარგებლო და უსარგებლო ერთმანეთში არ აურიოთ. ნუ გაართულებთ ცხოვრებას და ნურც სხვას შეუქმნით დისკომფორტს. ეგელასფერი მოგვარდება, მთავარია, ნერვები არ აიშალოთ.

ᲚᲝᲛᲘ — ეგელასფერს ნუ გაასერიოზულებთ, უფრო ლაღად შეხედეთ მოვლენებს. სხვების საკეთილდღეოდ საკუთარი საქმეებიც კი გვერდზე გადადეთ, თუმცა ესეც არ არის ცუდი, ოდესმე სხვაც ასე გაირჯება თქვენთვის.

ᲥᲐᲚᲬᲣᲚᲘ — დღეს ეგელასფერი გეპატიებათ, შეგიძლიათ ცოტა იცელქოთ კიდეც, მაგრამ ზედმეტი არ მოგივიდეთ. თუ ხალხს უჭირს თქვენი გაგება, დამოუკიდებლად იმოქმედეთ და დროს ახსნა-განმარტებებში ნუ დაკარგავთ.

ᲡᲐᲡᲬᲝᲠᲘ — წარმატებული დღე გელით, მაგრამ თუ გულხელდაკრეფილი ეჯდებით, ციდან ვარსკვლავებს არავინ ჩამოგიყრით. თუ იმოქმედებთ, გაფრთხილდით, სიჩქარეში შეცდომები არ დაუშვათ.

ᲦᲠᲘᲐᲜᲪᲐᲚᲘ — თქვენი გულისტკივილი ისეთ ადამიანს გაუმხილეთ, ვინც გულდასმით მოგისმენთ და საჭირო რჩევასაც მოგცემთ. შესაძლოა, დღეს გარკვეული სიურპრიზიც მიიღოთ ახლობელი ადამიანისგან.

ᲛᲬᲕᲘᲚᲝᲕᲐᲜᲘ — დღეს ახლობლების დახმარებით ეგელასზე რთულ პრობლემებსაც ადვილად მოაგვარებთ, მაგრამ ძალიან სწრაფად მოქმედებთ და ნუ გაგიკვირდებათ, თუ ცოტა ხანში მარტო აღმოჩნდებით.

თხის რქა — დილადანვე მოირგეთ ვარდისფერი სათვალე და დატკბით ცხოვრებით. რასაც ვერ შეცვლით, იმაზე ზედმეტად ნუ ინერვიულებთ. უმჯობესია, დღის დიდი ნაწილი შინ, ოჯახის წევრებთან ერთად გაატაროთ. ეს სიამოვნებას მოგანიჭებთ თქვენც და თქვენს ახლობლებსაც.

მერწყული — დღე ისე წარიმართება, როგორც დაიწყებთ. კარგი იქნება, დილადანვე შადგინოთ შესასრულებელი საქმეების სია და იმის მიხედვით იმოქმედოთ. ფულით, რა თქმა უნდა, ეგელასფერს ვერ იყიდით, მაგრამ საკუთარ თავს დღეს უარს ნურავერზე ეტყვით.

თევზები — არ გაგიკვირდეთ, თუ დღეს ეგელასზე უჩვეულო სურვილებიც კი აგისრულდებათ. დიდ წარმატებამდე ერთი ნაბიჯიღა გაშორებთ. შეეცადეთ, მაქსიმალურად ფრთხილად იმოქმედოთ, რათა კვლავ საწუის ეტაპზე არ დაბრუნდეთ.

სუდოკუ

ადვილი

		4	8	9				
7	1				4	2		
	8	5					6	
	9					4		
6		3				9		8
		2					7	
	3					5	2	
		7	5				9	1
				7	2	6		

სტანდარტი

		7		3	2		1	9
	3				4	2		
			9		7	5		
		2			9		6	
				6				
	6		4			1		
		4	7		6			
		1	2				7	
2	7		1	4		3		

რთული

	7			5				
	6	2		7		9		3
		3		2				5
	5							2
		8	7		5	6		
6							3	
2				4		3		
1		5		8		2	7	
				3			9	

ექსპერტი

8	5			3			9	
7		3	1	9				
							3	
		5	3	1		2	8	9
			8		7			
3	8	1		5	9	6		
	6							
				2	5	9		8
	2			8			4	1

ჰოროსკოპი
23 ივნისი

ვერძი — დღეს, შესაძლოა, საკმაოდ რთულ მდგომარეობაში აღმოჩნდეთ გაუთვალისწინებელი სიტუაციის გამო. გამოსავალს ადვილად მოძებნით, თუ ჰანიგაში არ ჩავარდებით, მოთმინებას გამოიჩენთ და ლოგიკას მოუხმობთ. დღის ბოლოს ამ რთული მდგომარეობიდან კვალიც აღარ დარჩება.

კურო — დღეს საპასუხისმგებლო გადაწყვეტილების მიღება მოგიწევთ თქვენს მომავალზე. აუცილებლად კარგად დაფიქრება გმართებთ, ვიდრე ნაბიჯს გადადგამდეთ, დასანანი შეცდომა რომ არ დაუშვათ.

ტყუპები — ტეუუბებისთვის სასიამოვნო დღე დადგა, რომელიც დიდ კმაყოფილებასა და სარგებელს მოუტანს. სავსებით შესაძლებელია, ჰატარა, მაგრამ სასიამოვნო სიურპრიზი მიიღოთ.

კირჩხიბი — დღე მაქსიმალურად გამოიყენეთ თქვენთვის ძვირფას ადამიანებთან ურთიერთობებისთვის. შეცადეთ, მეტი დრო დაუთმოთ მათ და ნურც თბილ სიტყვებსა და კომპლიმენტებს დაიშურებთ. სერიოზული დადებითი ცვლილებები გელოთ ახლობლებთან ურთიერთობაში.

ლომი — მნიშვნელოვნად განმტკიცებთ მდგომარეობას და ავტორიტეტს, თუ მთელ ყურადღებას სამუშაოს დაუთმობთ, მაგრამ ზედმეტი დამაბულობაც არ ვარგა. უბრალოდ, შეასრულეთ თქვენი მოვალეობა და ისე მოიქეცით, მიღებული შედეგი მთელი კოლექტივის მიღწევად ჩაითვალოს.

ქალწული — ქალწულები დღეს უკმაყოფილოები დარჩებიან ახლობლებთან ურთიერთობებით ან ძვირფასი ადამიანის მიერ ნათქვამით, სამაგიეროდ, სამსახურში შეგიძლიათ გამოიჩინოთ თავი და ამას ხელმძღვანელობა აუცილებლად დაგიფასებთ.

სასწორი — შეუფერებელი დროა ჰირადი ურთიერთობის აწყობისთვის ან მეორე ნახევართან კონფლიქტის მოგვარებისთვის. არის შანსი, რომ ვერ გაგიგებენ და ვერანაირი სიტყვები ვერ იმოქმედებს თქვენს სასარგებლოდ.

ღრიანკალი — დღეს ვარსკვლავები ენერგიის დიდ ნაკადს გამოგიგზავნიან. ბედნიერებისგან, უბრალოდ, ანათებთ და ოპტიმიზმით ხართ სავსე. თქვენში გაიღვიძებს ლიდერის თვისებებიც: ადამიანები სიხარულით შეასრულებენ თქვენს თხოვნასა და დავალებებს, მზად იქნებიან, თუნდაც ქვეყნის დასალიერში გამოგყვნენ.

მშვილდოსანი — დღეს სურვილი გაგიჩნდებათ განკარგულებები გასცეთ. გეჩვენებათ, რომ გარშემომყოფები ძალიან ნელა მოქმედებენ და თითქოს სპეციალურად წელავენ საქმეებს. ფრთხილად იყავით, ასეთმა ქცევამ ურთიერთობები არ გაგიფუჭოთ.

თხის რქა — დღეს თქვენს ბრძნულ, მკაცრ და გამჭოლ მზერას ვერავინ და ვერაფერი დაემალება. იცეთ წვრილმანებსაც კი შეამჩნევთ, რასაც სხვა არც კი შეხედავდა.

მერწყული — თუ ადრე მერწყულებს ეჭვი ტანჯავდა მეგობრების ან საყვარელი ადამიანის ერთგულების თაობაზე, დღეს ის გაიფანტება და ჭეშმარიტებას ახდით ფარდას.

თევზები — ვარსკვლავები გირჩევენ, დღეს დაუფიქრებლად არ მოიქცეთ და მხოლოდ ინტუიციასა თუ რჩევებს არ ენდოთ. ნებისმიერი ნაბიჯი საგულდაგულოდ აწონდაწონილი და განალიზებული უნდა გქონდეთ. წინააღმდეგ შემთხვევაში ხიფათს გადააწყდებით.

წინა ნომერში გასული სკანვორდების პასუხები

მე-14 გვერდი: 1. მოლბერტი; 2. ისტორია; 3. ბათისკაფი; 4. რაგუ; 5. აპოთემა; 6. სოლ; 7. ტატიშვილი; 8. რანტიე; 9. ინია; 10. საგა; 11. ტაუერი; 12. ტენტი; 13. ანკორიჯი; 14. რბოლა; 15. იუპიტერი; 16. ისლი; 17. ეოსი; 18. შაირი; 19. „ერთსულოვნება"; 20. ბექრაუნდი; 21. თემა; 22. ნიკ; 23. გიზა; 24. ალგოლი; 25. აკრომეგალია; 26. რუმბა; 27. კაისა; 28. კამეა; 29. „ია"; 30. ინო; 31. აირი; 32. მატერია; 33. აია; 34. ცე; 35. აჯანი; 36. სინჯარა; 37. ფერარი; 38. ოპერაცია; 39. ადა; 40. აზო; 41. პია; 42. ალფა; 43. ჯღა; 44. მაცა; 45. წუა; 46. ამელია; 47. ამაგი; 48. წრე; 49. ადიდა; 50. რაფა; 51. ანჩელოტი; 52. მოცარტი; 53. ებრაელი; 54. აბელი; 55. სესია; 56. ბიზე; 57. აპაში; 58. მანა; 59. ალისა; 60. ოინი; 61. ანდაზა; 62. რაი; 63. ეტი; 64. აბა; 65. „ტეფი"; 66. თლაშო; 67. პაპეეტე; 68. ზევსი 69. ილფი; 70. ელია; 71. პელე; 72. ალიევი; 73. ლეში; 74. ეპიზოდი; 75. ფსტა; 76. სილა; 77. აფშინა; 78. რეპი; 79. ოში; 80. კიი; 81. აი; 82. ბახი.

მე-16 გვერდი: 1. ცენტნერი; 2. ეროსი; 3. ტიტრი; 4. ილია; 5. კონკლავი; 6. ოქრუაშვილი; 7. კაზუარი; 8. აზნაური; 9. პორტრეტი; 10. განგი; 11. ჰაინე; 12. აცრა; 13. ბრეზენტი; 14. ბი; 15. ჭერამი; 16. აიაზმა; 17. ცეცე; 18. აცხა; 19. ჭიპი; 20. არისტოფანე; 21. ჰიგია; 22. ბაბაჭუა; 23. შაირი; 24. იუანი; 25. თამადა; 26. შირერი; 27. შიო; 28. იანძი; 29. ნაი; 30. მდაბიო; 31. თხუნელა; 32. ხარაზი; 33. მარლონ ბრანდო; 34. დონი; 35. იაკობი; 36. არხარი; 37. „ივერია"; 38. მუხრანი; 39. „ისკრა"; 40. იმამი; 41. ტაიბეი; 42. ბაქია; 43. ლანდაუ; 44. ბორეა; 45. იქსი; 46. არი; 47. ბის; 48. ქვაბი; 49. კი; 50. ვარია; 51. ფიფქია; 52. რაბი; 53. დი; 54. ნალბანდი; 55. ბაია; 56. რვა; 57. ნონა; 58. ნო; 59. იო; 60. ზაირი; 61. სელი; 62. აიდი; 63. ინია.

შეყვარებული სახლის დასალაგებლად მოიტაცა

იტალიის ქალაქ გენუის სამართალდამცავთა განცხადებით, ყოფილი შეყვარებულის გატაცებაში ეჭვმიტანილი 43 წლის მამაკაცი დააკავეს. მან გოგონა საკუთარ სახლში მიიყვანა და აიძულა, მისი ტანსაცმელი დაეუთოებინა და ჭურჭელი დაერეცხა. თვითმხილველთა ჩვენებით, მამაკაცმა ყოფილი შეყვარებული ერთ-ერთი ბარიდან ძალით გაიყვანა და მანქანაში ჩასვა, პოლიცია კი გოგონას მეგობარმა გამოიძახა, რომელიც ბარში ახლდა. როგორც სამართალდამცავები აცხადებენ, მამაკაცი ძალიან გაბრაზებული იყო იმის გამო, რომ საყვარელმა ქალმა მიატოვა და შესაძლოა, სწორედ ეს გახდა მიზეზი მისი არაადეკვატური საქციელისა. იტალიელ მამაკაცს, შესაძლოა, ადამიანის გატაცების ბრალდებით, საკმაოდ მძიმე სასჯელი შეუფარდონ.

როგორია ყველაზე მაცდური ქალი?

ბრიტანელმა მკვლევარებმა, ქვეყნის მოსახლეობის გამოკითხვების შედეგებზე დაყრდნობით, „ყველაზე მაცდური ქალის" ავტოპორტრეტი შექმნეს. ამგვარად, ყველა მამაკაცისთვის სასურველ ქალს ჯენიფერ ლოპესის ცხვირი, კელი ბრუკის სხეული და თმა, ანჯელინა ჯოლის ტუჩები აქვს და თეთრ კაბაშია გამოწყობილი, ისეთში, როგორიც მერილინ მონროს აცვია ცნობილ კადრში ფილმიდან The Seven Year Itch. ბრიტანელებმა სწორედ ეს ჩაცმულობა მიიჩნიეს ყველაზე მაცდუნებლად. ნისლიანი ალბიონის მცხოვრებთა ნახევარი თავს სასურველ ქალად მაშინ გრძნობს, როცა შავი კაბა აცვია.

ბევრი ხალი ჯანმრთელობის ნიშანია

ლონდონის სამეფო კოლეჯის სწავლულებმა დაადგინეს, რომ სხეულზე არსებული ხალები ხანგრძლივი სიცოცხლის ნიშანია. კვლევების შედეგად აღმოჩნდა, რომ ადამიანებს, რომელთაც 100-ზე მეტი ხალი აქვთ, ძვლებიც უფრო მტკიცე აქვთ. ასეთ ადამიანს გვიან უჩნდება ნაოჭები, რის გამოც, რეალურ ასაკთან შედარებით, ახალგაზრდულად გამოიყურება. ცნობილია, რომ ხალები იმ უჯრედების სწრაფი დაყოფის შედეგია, რომლებიც მუქი ფერის პიგმენტს გამოიმუშავებენ, განსაკუთრებით ბავშვობაში. საშუალო ასაკში ხალები ქრება, თუმცა, ზოგს ის მთელი ცხოვრების მანძილზე უმრავლდება. ბრიტანელმა სწავლულებმა კვლევის დროს, 18-დან 79 წლამდე ასაკის 1200 ტყუპი ქალი შეისწავლეს.

1. ჩრდ. ამერიკული შავი დათვი
2. სოფელი გორის რაიონში
3. ოდისეევსის სამშობლო
4. სიყვარულის ღმ. რომაულ მითოლოგ.
5. ოთახის დეკორატიული მცენარე
6. დაშინსტ. გერმანიის სამხედრო დაზვერვა
7. ზრდილობიანი დასტური
8. მიმდინარეობა იტალიურ კინოში
9. ყურძნის ტკბილისა და ფქვილის ფაფა
10. პატარა სამურაბე ლამბაქი
11. ოზურგეთის საბჭოური სახლეწოდება
12. გოლიათი არსება ქართულ ზღაპრებში
13. ავი თვალისგან დამცავი ნივთი
14. მღვდლის სამოსელის ნაწილი
15. ნიმფა კალიფსოს ყუნძული
16. „შეგროლეს“ მოდელი
17. უძვ. ქალაქი მ3-ეკამდინარეთში
18. გეომეტრიული სხეული
19. „ომი და მშვიდობის“ პერსონაჟი
20. იაპონელი მხატვარი
21. პატარა ტყე მინდორში
22. გამოუწვავი აგური
23. ისრის წვერი
24. პაპინია ერისთავის ვაჟი
25. ქსოვილის გრძელი ნაჭერი, რომელსაც მუსლიმანი მამაკაცები იხვევენ თავზე
26. მზის შუქი, რაიმეზე დამდგარი
27. ქსოვილის მოხატვის ხელოვნება
28. ამერიკული როკ-ჯგუფი
29. სპორტის სახეობა
30. მდინარე შვეიცარიის დედაქალაქში
31. (ძვ.) ბატკანი ერთ წლამდე
32. ძვ. სიგრძის ერთეული
33. „ლანკომეს“ ფირმის სუნამო
34. სასიყვარულო პოეზიის მუზა
35. მატარებლის შემადგენელი ნაწილი
36. ხორციანი კორკოტი
37. მომღერალი ... ჰიუსტონი
38. ერთ-ერთი წერილი ხმა სიმღერაში
39. მდინარე რუსეთში
40. ყვავის ნაშიერი
41. დედამიწის ქალღმერთი
42. ძველოვანი წანაზარდი მამლის ფეხზე
43. ტოგოს დედაქალაქი
44. იტალიის საფეხბურთო ნაკრები ანუ „სუადრა ...“
45. ღვთისმშობელი მარიამის დედა
46. დღეის მომდევნო დღეს
47. მექანიკური მუშაობის ერთეული
48. კატის ჯიში
49. უმცირესი ორნიშნა რიცხვი
50. ... ჰეერდალი
51. ... ჩარლზი
52. ნახატი ქრისტეს დატირების სცენით
53. ციხე „ვრაფ მონტეკრისტოში“
54. უპირატესობის მიცემა მოწინააღმდეგისათვის
55. ალუბლის ჯიში
56. „იქ“ - ძვ. ქართულში
57. მილა იოვოვიჩის კინოროლი
58. იგივეა, რაც თამბაქო
59. სოფელი სენაკის რაიონში
60. ბასკეთის ეროვნული თამაში ბურთით
61. მომკილი თავთავის კონა
62. თურქეთის ადმინისტრ. ტერიტორ. ერთეული
63. სხვადასხვა რასის ადამიანთა შთამომავალი
64. თაგშეს. თხრილი, საიდანაც ისვრიან
65. შხამიანი გომბეშო
66. მზის ღმერთი ეგვიპტურ მითოლოგ.

შენდემა ყოველდწმინდა ღვთისმშობლის „ყოველთა დედოფლის – პანტანასას“ სახელობის დედათა მონასტერი „ყოველთა დედოფლის საკანე“

„ყოველთა დედოფალი პანტანასას“ ღვთისმშობელი ცნობილია, როგორც ონკოლოგიურ ავადმყოფთა შემწე. სამწუხაროდ, საქართველოში გაიზარდა ამ სენით დაავადებულ ავადმყოფთა რაოდენობა. მრევლისა და ონკოლოგიურ დაავადებათა რესპუბლიკური ცენტრის ექიმებისა და პაციენტების თხოვნით, ათონის წმ. მთაზე, ვატობედის მონასტერში, სადაც დაბრძანებულია ხატის ორიგინალი, შეიქმნა მისი ასლი, რომელიც 2003 წელს ჩამობრძანდა ავჭალის წმ. ქეთევან წამებულის ეკლესიაში. კვირაში 2-ჯერ: ოთხშაბათს და პარასკევს, დღის 2 საათზე, აღევლინება ჯანმრთელობის პარაკლისი და უსასყიდლოდ გაიცემა საკურნებელი ზეთი ღვთისმშობლის კანდელიდან. ხატთან დღემდე აღესრულება სასწაულები. მრავალი ადამიანი განიკურნა, მრავალთა ავადმყოფობამ პროგრესირება შეწყვიტა.

გთხოვთ, თქვენი წვლილი შეიტანოთ მონასტრის მშენებლობაში და დარეკოთ: დერეკეთ: ჯეოსელის აბონენტებმა — 700311; მაგთის აბონენტებმა — 200351; ბილაინის აბონენტებმა — 700311

ზარის ღირებულება 1 ლარი

ავჭალის წმ. ქეთევან წამებულის ეკლესია. სს „საქართველოს ბანკი“ ცენტრ. ფილ. ბანკის კოდი 220101502 ეროვნულ ვალუტაში ა/ა 000700205. გიორგი რაზმაძე (წინამძღვარი). სს „კორ სტანდარტ ბანკი“ კოდი: 220101945 ეროვნულ ვალუტაში ა/ნ 1123598

უფალმა შეგიწიროთ. პანტანასას ღვთისმშობელმა დაგლოცოთ!

საჩუქრად სათადარიგოთა სკამი მიიღეს

დიდ ბრიტანეთში ახალდაქორწინებულმა წყვილმა, საქორწინო საჩუქრად საფეხბურთო კლუბ „კემბრიჯ სიტის“ სათადარიგოთა სკამი მიიღო. 59 წლის ჯონ ეივსისა და მისი რჩეული კეროლაინისთვის ეს უჩვეულო საჩუქარი მეგობრებმა შეიძინეს, როცა შეიტყვეს, რომ საფეხბურთო კლუბი აუქციონს აწყობდა. ამ სიურპრიზის ღირებულება უცნობია, მაგრამ სიძე აღფრთოვანებული დარჩა — იგი ბავშვობიდან „ჯემბრიჯ სიტის“ გულშემატკივარია და კლუბში წლების განმავლობაში ფიზიოთერაპევტად მუშაობდა, ასე რომ, საჩუქარი მისთვის უდავოდ რელიკვიაა.

ვერსია

მისამართი: ქ.თბილისი, სანკტ-პეტერბურგის ქ. 7.
e-mail: versiaprinti@yahoo.com www.versia.ge
UDC(უაკ)070.48:32(479.22)3-387

დამფუძნებელი და მთავარი რედაქტორი
მაია ფურცელაძე (599) 62-88-77
პასუხისმგებელი რედაქტორი: ნინო ლურსმანაშვილი
მედიაჯგუფი: მაია მიშელაძე, ნინო კომახიძე,
ნინო ხარშილაძე, რუსუდან შელია,
დავით დევიძე, ნათია ვასაძე.
სტილისტი: თამარ არათანაშვილი, ნინო ებანოიძე
დიზაინერი – გიორგი ლომსაძე
ტელ: 590 740999; 2942399

ISSN 1987-8699

დაცულია საავტორო უფლებები. რედაქციაში შემოსული მასალები უკან არ ბრუნდება. სტატიაში მოყვანილ ფაქტებსა და ინფორმაციის სიზუსტეზე პასუხს აგებს ავტორი. პრეტენზიის შემთხვევაში დაგვიკავშირდით 14 დღის განმავლობაში.